



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა



N 14
31/03/2017

14-04-4-201703311752



ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის 2016 წლის ანგარიშის მოსმენის თაობაზე

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. ცნობად იქნას მიღებული ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის 2016 წლის ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ქედის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პარამეტრებით გათვალისწინებული სახსრებით დაფინანსებული კულტურული და სპორტული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, შიდა აუდიტის ობიექტების მიერ სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფო სხვა მატერიალური ფასეულობების, სახელმწიფოს ქონებრივი ღირებულებების, არამატერიალური სიკეთეების ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერებისა და მიზნობრიობის შიდა აუდიტორული ანგარიში

დ. ქედა

2017 წელი

I-შესავალი

აუდიტის საფუძველი – ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 28 დეკემბრის №899 ბრძანებით დამტკიცებული შიდა აუდიტის 2016 წლის აუდიტორული შემოწმების წლიური გეგმა.

აუდიტის ობიექტი – ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახური, საფინანსო სამსახური, ეკონომიკური განვითარების სამსახური, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადგილობრივი ტერიტორიული ორგანოები (მახუნცეთი, პირველი მაისი, დაბა ქედა, ოქტომბერი, მერისი, ზვარე, წონიარისი, ცხმორისი, დანდალო) და ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებული შპს-ები და ა. (ა). ი. პ-ები.

აუდიტის თემა – სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფო სხვა მატერიალური ფასეულობების, სახელმწიფოს ქონებრივი ღირებულებების, არამატერიალური სიკეთეების ხარჯვის გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერებისა და მიზნობრიობის შესწავლა და ანალიზი.

აუდიტის ჯგუფი – ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი შოთა ბერიძე და შიდა აუდიტის სამსახურის მთავარი სპეციალისტი თენგიზ თედორაძე.

აუდიტის პერიოდი – 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე.

1) ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის მიზნობრივი პროგრამების მონიტორინგი, სადაც მონიტორინგით გამოვლინდა შემდეგი, კერძოდ:

2015 წელს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30 იანვრის №01-20/15 განკარგულებით დამტკიცდა, ქედის მუნიციპალიტეტში სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა, რომელიც მოიცავდა 44 სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებას, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენდა 70000 ლარს. 2015 წლის 31 აგვისტოს საკრებულოს №38 განკარგულებით პროგრამაში განხორციელდა ცვლილება. პროგრამას დაემატა 4 ღონისძიება, კერძოდ: 1) საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში -2158 ლარი. 2) ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის მუნიციპალიტეტის პირველობა ფეხბურთში -1600 ლარი. 3) ქედის სასპორტო სკოლის მაგიდის ჩოგბურთის ამხანაგური შეხვედრა აბაშის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის

გუნდთან -1200 ლარი. 4) ქედის სასპორტო სკოლის მაგიდის ჩოგბურთის ნაკრები გუნდის ამხანაგური შეხვედრა რაჭის სასპორტო სკოლის გუნდთან -1282,1 ლარი, სულ დამატებული 4 ღონისძიებების საერთო ღირებულებამ შეადგინა 6240,1 ლარი. პროგრამაში ღონისძიებების დამატება მოხდა ელექტრონული ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიის ხარჯზე, რითაც არ შეცვლილა პროგრამის საერთო ღირებულება 70000 ლარი. 2015 წლის 25 დეკემბერს საკრებულოს №79 განკარგულებით მოხდა მიზნობრივი პროგრამის დაზუსტება და საერთო ღირებულებამ შეადგინა 55000 ლარი. რაც მოცემულია ცხრილის სახით:

2015 წლის სპორტული და ახლგაზრდული ღონისძიებები

№	სპორტული ღონისძიებების დასახელება	2015 წლის 30 იანვრის №01-20/15 განკარგულება		I ცვლილება		II ცვლილება	
				2015 წლის 31 აგვისტო №38 განკარგულება		2015 წლის 25 დეკემბრის №79 განკარგულება	
		შესრულების დრო	თანხა	შესრულების დრო	თანხა	შესრულების დრო	თანხა
1	2015 წლის საუკეთესო სპორტმენთა და მწვრთნელთა საპრიზო ფონდი	წლის განმავლობაში	4000	წლის განმავლობაში	4000	წლის განმავლობაში	5533
2	გაუთვალისწინებელი ღონისძიებები	წლის განმავლობაში	3481	წლის განმავლობაში	3481	წლის განმავლობაში	1537
3	ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სპორტული თამაშები	თებერვალი-მაისის	2729	თებერვალი-მაისის	2713,44	თებერვალი-მაისის	2713
4	თავისუფალი ჭიდაობა გ.ჩელეზაძის სახელობის ტურნირი 8 მონაწილე ქ. ქობულეთი	თებერვალი	1390				

5	ქართული ჭიდაობა. აჭარის პირველობა 1994-1996 წწ-ში დაბადებულ სპორცმენები ქ. ბათუმი	თებერვალი	250	თებერვალი	249,8	თებერვალი	249
6	ჭადრაკი აჭარის პირველობა (10 12,14,16,18, წლების ასაკის სასპორტო სკოლა 13 მონაწილე ქ. ბათუმი	თებერვალი	2800	თებერვალი	2794,44	თებერვალი	2795
7	ფეხბურთი დასავლეთ საქართველოს ზონალური ტურნირი (ორი ასაკობრივი გუნდი 16-16 წევრი)	მარტი-დეკემბერი	8500	მარტი- დეკემბერი	8500	მარტი- დეკემბერი	5824
8	თავისუფალი ჭიდაობა . ქოლგიანი დელფინი 8 მონაწილე ქ. ბათუმი	მარტი	1350	მარტი	1320,44	მარტი	1320
9	ქართული ჭიდაობა აჭარის პირველობა 1998-1999 წწ-ში სპორცმენები 8 მონაწილე ქ. ბათუმი	მარტი	250	მარტი	249,8	მარტი	249
10	ჭადრაკი აჭარის პირველობა (8წლამდე ასაკის სასპორტო სკოლა 6 მონაწილე ქ. ბათუმი	აპრილი	900	აპრილი	889,54	აპრილი	889
11	მაგიდის ჩოგბურთი. აჭარის ჩემპიონატი (11 მონაწილე). ბათუმი	მარტი	600	მარტი	524,7	მარტი	524
12	ფეხბურთი აჭარის პირველობა (2002 წლიანები 13 მონაწილე) ქ. ბათუმი	აპრილი	1300	აპრილი	1297,04		
13	ქართული ჭიდაობა. ვლადიმერ მახარაძის სახელობის ტურნირი 8 მონაწილე დაბა ხელვაჩაური	აპრილი	250	აპრილი	249,8	აპრილი	249

14	ქართული ჭიდაობა. აჭარის პირველობა 1999-2000 წწ. 8 მონაწილე შუახევი	აპრილი	250	აპრილი	249,8	აპრილი	249
15	ფეხბურთი. აჭარის პირველობა (2003 წლიანები 16 მონაწილე) ბათუმი	მაისი	1500	მაისი	1479,2	მაისი	1479
16	ფრემბურთი ავთანდილ ბერიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ქედა	მაისი	2550	მაისი	2161	მაისი	2161
17	მაგიდის ჩოგბურთი. გარსევანიშვილის სახელობის ტურნირი 8მონაწილე თელავი	ივნისი-ივლისი	2360	ივნისი-ივლისი	1851		
18	თავისუფალი ჭიდაობა ზ. ბერიაშვილი სახელობის ქ. თბილისი	ივნისი	2350	ივნისი	1686	ივნისი	1686
19	თავისუფალი ჭიდაობა ფ. გაგუასსახელობის ტურნირი 8 მონაწილე ქ. ბათუმი	ივნისი-ივლისი	1100				
20	თავისუფალი ჭიდაობა კობა კაკალაძისსახელობის ტურნირი 8 მონაწილე	ივნისი	1200	ივნისი	1195	ივნისი	1195
21	თავისუფალი ჭიდაობა გ. ჯიჯავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ქედა	ივნისი-სექტემბერი	3000	ივნისი- სექტემბერი	2542,1	ივნისი- სექტემბერი	2542
22	ქართული ჭიდაობა. ამირან მამულაძის ხსოვნის ტურნირი 8 მონაწილე შუახევი	ივნისი	250	ივნისი	211,1	ივნისი	211

23	ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი "ბათუმი2015"	ივლისი	1450	ივლისი	1228,8	ივლისი	1228
24	ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი "შავი ზღვის დელფინი"	აგვისტო	1450	აგვისტო	1228,8	აგვისტო	1228
25	მაგიდის ჩოგბურთი. ამხანაგური შეხვედრა ქ. ბათუმი სასპ. სკ. გუნდთან (13 მონაწილე) ქ. ბათუმი	სექტემბერი	330	სექტემბერი	279,15	სექტემბერი	279
26	მაგიდის ჩოგბურთი. ამხანაგური შეხვედრა ხულოს სასპორტო სკოლა თან 13 მონაწილე	სექტემბერი	330	სექტემბერი	279,15	სექტემბერი	279
27	მაგიდის ჩოგბურთი. დასავლეთ საქართველოს პირველობა	ოქტომბერი-ნოემბერი	2200	ოქტომბერი-ნოემბერი	1392	ოქტომბერი-ნოემბერი	1392
28	რომან რურუას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკები 8 მონაწილე ქ. მცხეთა	მაისი-ივნისი	2300	მაისი-ივნისი	1632		
29	ქართული ჭიდაობა. ვასილ გაროზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი 8 მონაწილე ქ. ბათუმი	სექტემბერი	250	სექტემბერი	211,3	სექტემბერი	211
30	მაგიდის ჩოგბურთი. ზემოაჭარის პირველობა 11 მონაწილე ხულო	ოქტომბერი-ნოემბერი	800	ოქტომბერი-ნოემბერი	800	ოქტომბერი-ნოემბერი	671
31	თავისუფალი ჭიდაობა დ. ციმაკურიძის სახელობის ტურნირი ქ. თბილისი 8 მონაწილე	ოქტომბერი-ნოემბერი	2350	ოქტომბერი-ნოემბერი	1687		

32	ქართული ჭიდაობა. აჭარის პირველობა 2002-2003 წწ-ში დაბადებულ სპორცმენებს შორის 8 მონაწილე დაბა ხელვაჩაური	ოქტომბერი	250	ოქტომბერი	250	ოქტომბერი	249
33	მაგიდის ჩოგბურთი. ქ. ბათუმი "ღია" პირველობა 11 მონაწილე ბათუმი	ნოემბერი	850	ნოემბერი	850		
34	თავისუფალი ჭიდაობა გ. გოგიჩაიშვილის სახელობის ტურნირი 8 მონაწილე ქ. ბათუმი	ნოემბერი	800	ნოემბერი	800	ნოემბერი	796
35	ქართული ჭიდაობა. აჭარის აბსოლიტური პირველობა ფალავნობა დაბა ქედა	ნოემბერი	250	ნოემბერი	250	ნოემბერი	246
36	ქართული ჭიდაობა. დავით მამულაძის ხსოვნის ტურნირი 8 მონაწილე ქ. ბათუმი	დეკემბერი	250	დეკემბერი	250	დეკემბერი	249
37	აჭარის ჩემპიონატი ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?	თებერვალი--აპრილი	500	თებერვალი-- აპრილი	469	თებერვალი-- აპრილი	469
38	მუნიციპალიტეტის პირველობა მხიარულთა და საზრიანთა გუნდებს შორის	აპრილი-მაისი	4800	აპრილი-მაისი	4065,5	აპრილი-მაისი	4065

39	ახალგაზრდების საერთაშორისო დღის აღნიშვნა	აგვისტო- სექტემბერი	1400	აგვისტო- სექტემბერი	1400	აგვისტო- სექტემბერი	1136
40	ეკო ტური დღეები	პერიოდ ულად	2500	პერიოდულად	4700	პერიოდულად	4452
41	"მხიარული რეგიონი" -ში ქედის ნაკრები გუნდის მონაწილეობა	საგაზაფხულო სეზონი	380	საგაზაფხულო სეზონი	347	საგაზაფხულო სეზონი	347
42	ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა	პერიოდულად	1300	პერიოდულად	1300	პერიოდულად	414
43	"ინტელექტის დღე 2015"	აპრილი- მაისი	1400	აპრილი- მაისი	1195	აპრილი- მაისი	1195
44	ლაშქრობის მოწყობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე	პერიოდულად	1500	პერიოდულად	1500	პერიოდულად	646
45	თავისუფალი ჭიდაობა . საქართველოს პირველობა (ჭაბუკები 1 ქ. თბილისი 10 მონაწილე			სექტემბერი- ოქტომბერი	2158		
46	ფეხბურთი მუნიციპალიტეტის პირველობა ადმინისტრაციულ ერთეულებს სორის			სექტემბერი- ოქტომბერი	1600	სექტემბერი- ოქტომბერი	1576

47	ქედის სასპორტო სკოლის მაგიდის ჩოგბურთის ნაკრები გუნდის ამხანაგური სეხვედა აბაშის სასპორტო სკოლის გუნდთან			სექტემბერ-ოქტომბერი	1200	სექტემბერ-ოქტომბერი	1197
48	ქედის სასპორტო სკოლის მაგიდის ჩოგბურთის ნაკრები გუნდის ამხანაგური შეხვედა რაჭის სასპორტო სკოლის გუნდთან			სექტემბერ-ოქტომბერი	1282,1	სექტემბერ-ოქტომბერი	1270
	ჯამი		70000		70000		55000

48 ღონისძიებიდან არ ჩატარდა შვიდი ღონისძიება. კერძოდ:

- 1) აჭარის პირველობა (2002 წლიანები) ფეხბურთში -1297,04 ლარი.
- 2) გარსევანიშვილის სახელობის ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში -1851 ლარი.
- 3) ფ. გაგუას სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში -1100 ლარი.
- 4) რომან რურუას სახელობის საერთაშორისო ტურნირი -1632 ლარი.
- 5) დ.ციმაკურიძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში -1687 ლარი.
- 6) ქ. ბათუმის „ღია პირველობა“ მაგიდის ჩოგბურთში -850 ლარი.
- 7) საქართველოს პირველობა (ჭაბუკები) თავისუფალ ჭიდაობაში -2158 ლარი.

ხოლო, მერვე ღონისძიება გ. ჩელეზაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში - 1390 ლარი, აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობის მიღება ვერ მოხერხდა ხელშეკრულების დავიანებით გაფორმების გამო. სულ 8 ღონისძიების საერთო ღირებულებამ შეადგინა 11965,04 ლარი, ხოლო ჩატარებულ 40 ღონისძიებაზე 2015 წელს სულ ათვისებულია 49467,19 ლარი, ხოლო 5533 ლარი დარჩა ათვისებელი იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტის ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ვალდებულების აღება 30 დეკემბერს ვერ მოხერხდა.

ასევე ჩვენს მიერ დადგენილი იქნა, რომ:

2015 წლის 8 აპრილს სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისად დადებულია №41 ხელშეკრულება ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ი/მ ლევან აბესლამიძეს შორის. ხელშეკრულების ობიექტი იყო კულტურული ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა ღირებულებით 1640 ლარი. ხელშეკრულება შედგებოდა ორი ღონისძიებისაგან, I მუნიციპალიტეტში გამარჯვებული საჯარო სკოლის გუნდის ქ. თბილისში „ინტელექტის დღე“ 2015-ში მონაწილეობა 1226 ლარი და II ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზება 414 ლარი.

მონიტორინგით დადგინდა, რომ ქ. თბილისში „ინტელექტის დღე“ 2015-ზე გადაყვანილ იქნა 11 წამომადგენელი და ტრანსპორტირებისათვის დახარჯულია 815 ლარი, რაც წარმოადგენს საბაზრო ღირებულებაზე მეტს და არ შეესაბამება სხვა მსგავს ქ. თბილისში ტრანსპორტირებისათვის განხორციელებულ ხარჯს. „ინტელექტის დღე“ 2015 არის

სპორტულ და ახალგაზრდულ პროგრამის ერთ-ერთი ღონისძიება, რაც პროგრამითაა გათვალისწინებული, მაგრამ ის ელექტრონულ ტენდერის გამოცხადების დროს ხელშეკრულების ობიექტად მიღებულია როგორც კულტურული ღონისძიებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა, რაც შეცდომაა, რადგანაც სპორტული და ახალგაზრდული მიზნობრივი პროგრამის ღონისძიება არ შეიძლება გამოცხადებული ყოფილიყო კულტურული პროგრამის ღონისძიების ობიექტად.

2015 წლის 27 აპრილს სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისად დადებულია №46 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ღონისძიების ორგანიზება „მუნიციპალიტეტის პირველობა მხიარულთა და საზრიანთა საჯარო სკოლის კლუბებს შორის“. ღონისძიების მიმწოდებელი იყო შპს „ალბატროსი“, რომელმაც აღნიშნული ღონისძიება მიაწოდა შემსყიდველს 2 ივნისს. შპს „ალბატროსი“-ს არ აქვს წარმოდგენილი მონაწილეთა სია, კვებით უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი, ჟიურის წევრებისა და სტუმრების გამასპინძლების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი. 2015 წლის 28 აპრილს სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისად დადებულია №47 ხელშეკრულება ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „ალბატროსი“-ს შორის. ხელშეკრულების ობიექტი იყო სპორტულ ღონისძიებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა. კერძოდ:

- 1) ფრენბურთი ავთანდილ ბერიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ქედამი -2161 ლარი.
- 2) თავისუფალი ჭიდაობა ფ. გაგუას სახელობის ტურნირი (სასპ. სკოლა 8 მონაწილე) ბათუმი - 932 ლარი.
- 3) თავისუფალი ჭიდაობა გურამ ჯიჯავამის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი დაბა ქედამი- 2542,1 ლარი.
- 4) ქართული ჭიდაობა ამირან მამულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი (8 მონაწილე დაბა შუახევი - 211,3 ლარი.
- 5) ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმი-2015“(6 მონაწილე)-1228,8 ლარი.
- 6) ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი „შავი ზღვის დელფინი“ (6 მონაწილე) ბათუმი-1228,8 ლარი.
- 7) მაგიდის ჩოგბურთი ამხანაგური შეხვედრა ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის გუნდთან (13 მონაწილე) -279,15 ლარი.
- 8) მაგიდის ჩოგბურთის ამხანაგური შეხვედრა ხულოს სასპორტო სკოლის გუნდთან (13 მონაწილე) -279,15 ლარი.
- 9) ქართული ჭიდაობა ვასილ გაროზიშვილის ხსოვნის ტურნირი (8 მონაწილე) ქ. ბათუმი-211,3 ლარი.
- 10) ქედის სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა გუნდების დასავლეთ საქართველოს ზონალურ ტურნირში (2014-2015 წლის გათამაშება) III წრის გაგრძელება -1419,4 ლარი.

მონიტორინგით დადგინდა, რომ ხელშეკრულების ღირებულება სულ იყო 10493 ლარი, მაგრამ 2015 წლის 31 ივლისს ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და ამოღებულ იქნა ფ. გაგუას სახელობის ტურნირი 932 ლარის ღირებულების და ხელშეკრულების თანხამ შეადგია 9561 ლარი.

ავთანდილ ბერიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ფრენბურთში ჩატარდა, რაზეც შედგა მიღება-ჩაბარების აქტი 2015 წლის 25 მაისს, მაგრამ შპს „ალბატროსი“-ს არ აქვს წარმოდგენილი ავთანდილ ბერიძის სახელობის ტურნირის 4 მსაჯზე გაცემული დღიური ნორმის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე 60 სტუმრის სია და გამასპინძლებაზე გაწეული ხარჯის დამადასტურებელი ანგარიში.

ასევე შპს „ალბატროსი“-ს არ აქვს წარმოდგენილი თავისუფალ ჭიდაობაში გურამ ჯიჯავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში სტუმრების სია და გამასპინძლების დამადასტურებელი დოკუმენტი. შპს „ალბატროსს“ მსგავსად არ აქვს წარმოდგენილი სხვა ღონისძიებებში მონაწილეთა კვების დამადასტურებელი დოკუმენტები, როცა №46 ხელშეკრულების 4.3.2 პუნქტით მიმწოდებელი ვალდებული იყო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარედგინა გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია და სამსახურის უფროსს ეკატერინე ქაჯაია-კომახიძეს ღონისძიებები მიღებული აქვს აღნიშნული დოკუმენტაციის გარეშე, რაც რისკის შემცველია.

2015 წელს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30 იანვრის №01-20/14 განკარგულებით დამტკიცდა, ქედის მუნიციპალიტეტში კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამები, რომელიც მოიცავდა 20 ღონისძიებას 55000 ლარის ღირებულებით. 2015 წლის 8 აგვისტოს საკრებულოს №35 განკარგულებით პროგრამას დაემატა სამი ღონისძიება, კერძოდ: I -შოთა ანანიძის საიუბილეო საღამო -1500 ლარი, II -ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმისათვის ინვენტარის შეძენა 3089,24 ლარი და III -„საქართველოს ფოლკლორის „ეროვნული ფესტივალი 2015-2016“-ში ქედის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსანმბლის მონაწილეობა -2988,76 ლარი.

ამასთან, 2015 წლის 30 იანვრის საკრებულოს №01-20/14 განკარგულებით გამოყოფილი იყო 3500 ლარი გაუთვალისწინებელ ღონისძიებებზე, აღნიშნული თანხიდან ჩატარებულ იქნა 2 ღონისძიება, კერძოდ:

1. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 1359,8 ლარი.
2. ქედის სახელოვნებო სკოლასთან არსებულ ფოლკლორულ ანსანბლ „ჩანგი“-ს ქ. თბილისში ახალგაზრდული კულტურის ხელოვნებისა და სპორტის ეროვნულ ოლიმპიურ ფესტივალში „ოლიმპიური საქართველო-2015“-ში მონაწილეობა -1209,4 ლარი.

წლის განმავლობაში საკრებულოს განკარგულებით განხორციელდა ორჯერ ცვლილება. კერძოდ:

2015 წლის კულტურული ღონისძიებები

№	კულტურული ღონისძიებების დასახელება	2015 წლის 30 იანვრის №01-20/14 განკარგულება		I ცვლილება		II ცვლილება	
				2015 წლის 8 აგვისტო №35 განკარგულება		2015 წლის 25 დეკემბრის №78 განკარგულება	
1	ვანო პაპუნძის საიუბილეო საღამო	თებერვალი	1500	თებერვალი	1499,19	თებერვალი	1499,19
2	დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	3-8 მარტი	1400	3-8 მარტი	1399,04	3-8 მარტი	1399,04

3	საჯარო სკოლების მასწავლებელთა შორის ინტელექტუალური- შემეცნებითი ღონისძიება "რა სად როდის"	მარტი-აპრილი	500	მარტი-აპრილი	498,6	მარტი-აპრილი	498,6
4	საჯარო სკოლების თვით შემოქმედი ანსანზლების დათვალიერება	მარტი-აპრილი	2030	მარტი-აპრილი	2028,89	მარტი-აპრილი	2028,89
5	საქართველოს ეროვნული ერთიანობის,სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსადმი დაღუპულთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	აპრილი	450	აპრილი	449,89	აპრილი	449,89
6	დედაენის დღე	14 აპრილი	200	14 აპრილი	200	14 აპრილი	200
7	საერთაშორისო ტურისტული გამოფენა ქ. ბათუმი მონაწილეობა	აპრილი-მაისი	3026	აპრილი-მაისი	1452	აპრილი-მაისი	1452
8	"ფრიდონობა"	მაისი	5300	მაისი	473	მაისი	473
9	ქორეოგრაფიულ ანსანზლ "ბეთლემის" 10 წლის იუბილე	ივნისი	2000	ივნისი	1655	ივნისი	1655
10	ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში "არტ-გენი" მონაწილეობა	ივლისი	2555	ივლისი	1500	ივლისი	1500
11	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ექსკურსია ქ. ბათუმი	აგვისტო	725	აგვისტო	610	აგვისტო	501
12	„შუამთობა“ მთა ნაკო- ნაღვარში	აგვისტო	2500	აგვისტო	2095	აგვისტო	2095
13	"აგრო სასურსათო პროდუქციის და ტექნოლოგიების გამოფენა- გაყიდვა	სექტემბერი- ოქტომბერი	3050	სექტემბერი- ოქტომბერი	3050	სექტემბერი- ოქტომბერი	2475
14	სახალხო ზეიმი "შემოდგომა ქედაში"	ოქტომბერი	7000	ოქტომბერი	7000	ოქტომბერი	1878,5
15	სახალხო დღესასწაული "ნამეფვარობა"	ოქტომბერი	3245	ოქტომბერი	3245	ოქტომბერი	
16	მასწავლებელთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	ოქტომბერი	1500	ოქტომბერი	1500	ოქტომბერი	1499,2

17	სახალხო დესასწაული მერისლობა	ნოემბერი	1900	ნოემბერი	1900	ნოემბერი	1849
18	სახალხო-სამოხაო ღონისძიებები	დეკემბერი	7000	დეკემბერი	7000	დეკემბერი	7000
19	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	წლის განმავლობაში	5619	წლის განმავლობაში	5619	წლის განმავლობაში	4500
20	გაუთვალისწინებელი ღონისძიებები	წლის განმავლობაში	3500	წლის განმავლობაში	1556,19	წლის განმავლობაში	2748,19
21	შოთა ანანიძის საიუბილეო საღამო			სექტემბერი	1500	სექტემბერი	1491,3
22	ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმის ინვენტარის შექმნა			სექტემბერი	3200	სექტემბერი	3089,24
23	საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 2015-2016 _ში ქედის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსანბლის მონაწილეობა			ოქტომბერი	3000	ოქტომბერი	2988,76
24	ბავშთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება				1359,8		1359,8
25	ფოლკლორული ანსანბლის "ჩანგი"-ს მონაწილეობა ქ. თბილისში ოლიმპიური საქართველო-2015"-ში				1209,4		1209,4
	ჯამი		55000		55000		45840

2015 წლის 30 იანვრის №01-20/14 განკარგულებით კულტურული ღონისძიებზე გამოყოფილი იყო 55000 ლარი, ცვლილებების შედეგად ღონისძიებების ღირებულება შემცირდა და განისაზღვრა 45840 ლარით.

2015 წლის 6 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისად დაიდო №164 ხელშეკრულება ქედის მუნიციპალიტეტსა და შპს „ჯიჯი-13“-ს შორის. ხელშეკრულების ობიექტი იყო სახალხო ზეიმი „შემოდგომა ქედაში“ ორგანიზებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა, რომლის ღირებულებაც იყო 7000 ლარი. 2015 წლის 7 დეკემბერს ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და ღირებულება შემცირდა 5121,5 ლარით. შპს „ჯიჯი-13“-სა და ქედის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროს ეკატერინე ქაჯაია-კომახიძეს შორის 30 ნოემბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი 1878,5 ლარზე, ანუ

ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიღება მოხდა ნაწილობრივ და ღონისძიება არ ჩატარებულა, მაგრამ შპს „ჯიჯი-13“-ს შესყიდულ საქონელზე გაწეული დანახარჯი აუნაზღაურდა ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შემდეგ, სამსახურის უფროსის ეკატერინე ქაჯაია-კომახიძესა და შპს „ჯიჯი-13“-ს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც რისკის შემცველია.

2015 წლის 30 აპრილს სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისად დაიდო №48 ხელშეკრულება ქედის მუნიციპალიტეტსა და შპს „ნუკრი D“-ს შორის. ხელშეკრულების ობიექტი იყო კულტურული ღონისძიების ორგანიზებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა, კერძოდ:

- საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში (ქ. ბათუმი) მონაწილეობა -1452 ლარი.
- ფრიდონობა -3278 ლარი.
- ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბეთლემი“-ს 10 წლის იუბილე 1655 ლარი.
- ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში „არტ-გენი“ მონაწილეობა 2004 ლარი.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (ქ. ბათუმში) ექსკურსია -610 ლარი.

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა სულ 8999 ლარს. 2015 წლის 15 მაისსა და 31 ივლისში ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება რომლითაც ხელშეკრულების ღირებულება შემცირდა და შეადგინა 5690 ლარი. კერძოდ:

- საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში (ქ. ბათუმში) მონაწილეობა -1452 ლარი.
- ფრიდონობა -473 ლარი.
- ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბეთლემი“-ს 10 წლის იუბილე 1655 ლარი.
- ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში „არტ-გენი“ მონაწილეობა 1500 ლარი.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (ქ. ბათუმში) ექსკურსია -610 ლარი.

მონიტორინგით დადგინდა, რომ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მონაწილეთა კვებით უზრუნველყოფაზე დაიხარჯა 600 ლარი, მაგრამ დოკუმენტაციის არ არსებობის გამო გაურკვეველია მენიუს სახეობის ღირებულების შედარება რეალურ საბაზრო ღირებულებასთან, ასევე არაა სია იმ პირების რომელზეც განხორციელდა კვებითი მომსახურების გაწევა. აღნიშნულ ღონისძიებაში გათვალისწინებული იყო ქედის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელი კულინარიული კუთხის მოწყობა და დაიხარჯა 500 ლარი, მაგრამ გაურკვეველია და რისკის შემცველი, თუ რა სახის, ხარისხის, რაოდენობისა და ღირებულების პროდუქტი იყო წარმოდგენილი ღონისძიებაზე, მაშინ როცა ხელშეკრულების 4.3.2. პუნქტით ვალდებული იყო მიმწოდებელი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარედგინა გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის იფორმაცია და დოკუმენტები. ამასთან მსგავსი ნაკლოვანებებია სხვა ღონისძიებების ჩატარებისას და არაა წარმოდგენილი სრულყოფილად ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები.

„ფრიდონობა“ ჩატარდა ქ. ბათუმში ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის ეზოში, რაზეც 2015 წლის 8 ივნისს შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტი, მაგრამ წარმოდგენილ დოკუმენტაციას არ აქვს მოსაწვევის, აფიშისა და ბანერის დამზადების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბეთლემი“-ს 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჩატარებულ ღონისძიებაში შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტი და წარმოდგენილია ანგარიშ ფაქტურა,

მაგრამ არაა წარმოდგენილი სატრანსპორტო მომსახურების, მოსაწვევის, აფიშისა და ბანერის დამზადების, სასცენო ფეივერკის შექმნის, დიპლომის შექმნის, სურათის ჩარჩოს დამზადების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები, როცა ხელშეკრულების 4.3.2. პუნქტით ვალდებული იყო მიმწოდებელი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარედგინა გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის იფორმაცია და დოკუმენტები.

ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის მიერ ქედის მუნიციპალიტეტში არაა შემუშავებული და დამტკიცებული სპორტული, ახალგაზრდული და კულტურული ღონისძიებების მიზნობრივი პროგრამების სრულყოფილი ფორმა, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი პროგრამის განხორციელების აუცილებლობა, პროგრამის მიზნები, სამოქმედო გეგმა, გასაწევი ხარჯების დეტალური განწერა, მიზნის მიღწევის ინდიკატორები და ა. შ. ჩასატარებელი სპორტული, ახალგაზრდული და კულტურული ღონისძიებები ორიენტირებული უნდა იყოს შედეგებზე.

ობიექტზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურმა (ქალბატონმა ეკატერინე ქაჯაია-კომახიძემ):

- უზრუნველყოს დაგეგმილი ღონისძიებების სრულად და თავისდროულად შესრულება.
- განყოფილებებთან ერთად მუშაობა ისე წარმართოს, რომ საჭირო არ დარჩეს პროგრამებში ცვლილებების შეტანა.
- მიზნობრივი პროგრამების შედგენის დროს დეტალურად იყოს გაწერილი თითოეული ღონისძიების განხორციელების აუცილებლობა, ღონისძიების მიზნები, გასაწევი ხარჯების დეტალური შესწავლა და მისი განწერა, მიზნის მიღწევის ინდიკატორები და ღონისძიება იყოს შედეგზე ორიენტირებული.
- ჩატარებულ სპორტულ, ახალგაზრდულ, კულტურულ ღონისძიებებზე თანხის ჩარიცხვისათვის აუცილებელ დოკუმენტაციას დაემატოს ღონისძიებაში მონაწილეთა სახელობითი სია, კვებაზე გაწეული თანხის დამადასტურებელი ანგარიში, სატრანსპორტო ხარჯის გაწევისას ტრანსპორტისა და მძღოლის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი.
- ტენდერების გამოცხადებისას კონკრეტულად მიეთითოს მიზნობრივი პროგრამის დასახელება და არ მოხდეს ერთმანეთში აღრევა სპორტული და კულტურული ღონისძიებებისა.

2. ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატელეკომუნიკაციო ხარჯების აუდიტი, სადაც მონიტორინგით გამოვლინდა შემდეგი, კერძოდ:

2015 წლის 30 იანვარს კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად დაიდო №8 ხელშეკრულება შპს „მაგთიკომი“-სა და ქედის მუნიციპალიტეტს შორის, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 3400 ლარს, ხოლო მომსახურების მიწოდების ვადა იყო 2015 წლის 1 აპრილამდე. აღნიშნული ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ კვლავ 2015 წლის 25 მარტს კონსოლიდირებული ტენდერის შესაბამისად დაიდო №34 ხელშეკრულება შპს „მაგთიკომი“-სა და ქედის მუნიციპალიტეტს შორის, რომლის ღირებულებამაც შეადგინა

18500 ლარი და მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრა 2015 წლის 1 აპრილიდან 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ხარჯის სახით შპს „მაგთიკომი“-ს ანგარიშზე გადარიცხულია 10390.25 ლარი, აღნიშნული ხელშეკრულებიდან დარჩა ეკონომია 8109.75 ლარი.

ამასთან, 2015 წლის 5 თებერვალს ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გამოიცა №01-08/36 ბრძანება ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეების, საკრებულოს თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეებისათვის მობილური სატელეფონო კავშირის სააბონენტო და პლანშეტური კომპიუტერით ყოველთვიური სარგებლობის ლიმიტის განსაზღვრისა და ნომრების განაწილების შესახებ. აღნიშნული ბრძანებით 2015 წლის 5 თებერვლიდან 97 თანამშრომელი სარგებლობდა მობილური ტელეფონის ნომრით, სამი ერთეული ნომერი პლანშეტური კომპიუტერისათვის იყო განკუთვნილი. ტელეფონის და პლანშეტური კომპიუტერის კორპორაციული ნომრების მომსახურების საერთო ლიმიტი ყოველთვიურად განისაზღვრა 1710 ლარით, საიდანაც 1050 ლარი გამგეობის წილი იყო, ხოლო 660 ლარი საკრებულოსი.

მონიტორინგით დადგინდა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 5 თებერვლის №01-08/36 ბრძანებით არ იყო განსაზღვრული 595-08-43-28 ნომერი, რომელიც სახანძრო-სამაშველო სამსახურის დამლაგებლის ნატალია დოლიძის სახელზე იყო რეგისტრირებული და მასზე ხარჯი გაწეულია თებერვლის, მარტის და აპრილის თვეებში, სულ 15 ლარი, ასევე ბრძანებით არ იყო განსაზღვრული 599-85-12-68 ნომერი, რომელიც სამხედრო გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დამლაგებლის გულნაზი ლორთქიფანიძის სახელზე იყო რეგისტრირებული და მასზე გაწეული იქნა ხარჯი თებერვლის და მარტის თვეებში 10 ლარის ოდენობით.

ამასთან, 595-50-62-82 ნომერი რომელიც რეგისტრირებულია არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსზე, 2015 წლის 5 თებერვალს ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გამოცემული №01-08/36 ბრძანებით დამტკიცებული იყო 20 ლარიანი ლიმიტი, მაგრამ ანგარიშზე ერიცხებოდა 30 ლარი 2015 წლის სექტემბრამდე, ეს ხარვეზი ქედის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 2 სექტემბრის ბრძანებით გასწორდა და სასაუბრო ლიმიტი აღნიშნულ ნომერზე განისაზღვრა 30 ლარით.

2015 წლის მაისის თვეში ტელეფონის კორპორაციულ ნომრებზე შპს „მაგთიკომი“-ს მიერ წარმოდგენილია ხარჯის დამადასტურებელი ინვოისი, სადაც ხარჯი შეადგენდა 124 კორპორაციული ნომრისათვის 1379.53 ლარს. 2015 წლის 20 აპრილს გამგებლის №01-08/137 ბრძანების შესაბამისად გაიზარდა კორპორაციული ნომრების რაოდენობა 22 ერთეულით, ეს ნომრებია : ნაზიმ ჩხეიძე-551-08-86-36, თენგიზ კაკაბაძე-555-08-86-37, მურად აბაშიძე-551-08-86-38, ასლან მახარაძე-551-08-86-42, ბადრი დუმბაძე-551-08-86-46, იასონ თურმანიძე-551-08-86-49, თემურ თურმანიძე-551-08-86-50, რეზო ანანიძე-551-08-86-56, ელგუჯა ლოლობერიძე-551-08-86-60, რეზო თავდგირიძე-551-08-86-62, ირაკლი მახარაძე-551-08-86-69, თემურ ბოლქვაძე-551-08-86-72, ედუარდ ანანიძე-551-08-86-75, თენგიზ გათენაძე-551-08-86-80, მერაბ ჯაყელიძე-551-08-86-82, ემზარ ქადიძე-599-50-63-00, ილია ბერიძე-599-08-56-80, თეა წულუკიძე-599-26-98-00, რამაზ ჩხუბაძე-599-46-87-00, ვაჟა ბალაძე-599-60-14-80, ბონდო გოგიტიძე-599-87-60-70, თეა შარაშიძე-599-32-64-00. ამასთან, ნომერი 591-98-06-60 რომელიც რეგისტრირებულია საკრებულოს დამლაგებელ ქეთევან მელაძე-პაპუნძიძეზე, გამგებლის ბრძანებით აქვს განსაზღვრული 5 ლარიანი ლიმიტი, ხოლო მას მთელი წლის მანძილზე ერიცხებოდა 10 ლარის სასაუბრო ანგარიში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ქედის

მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ 2015 წლის განმავლობაში გამოცემულია შვიდი ბრძანება „გამგეობის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეების, საკრებულოს თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეებისათვის მობილური სატელეფონო კავშირის სააბონენტო და პლანშეტური კომპიუტერებით ყოველთვიური სარგებლობის ლიმიტის განსაზღვრისა და ნომრების განაწილების შესახებ“.

აღნიშნულ ბრძანებაში მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ ცვლილებები განხორციელებულია 2015 წლის 28 იანვარს, ამ ბრძანებით მობილური ტელეფონის კორპორაციული ნომრებით სარგებლობდა 97 თანამშრომელი, 2015 წლის 5 თებერვლის ბრძანებით კორპორაციული ნომრებით სარგებლობდა 102 თანამშრომელი, 2015 წლის 20 აპრილის ბრძანებით სარგებლობდა 124 თანამშრომელი, 2015 წლის 23 ივლისის ბრძანებით სარგებლობდა 102 თანამშრომელი, 2015 წლის 2 სექტემბრის ბრძანებით სარგებლობდა 116 თანამშრომელი, 2015 წლის 4 ნოემბრის ბრძანებით სარგებლობდა 114 თანამშრომელი და 2015 წლის 4 დეკემბრის ბრძანებით სარგებლობდა 119 თანამშრომელი.

მონიტორინგით დადგინდა, რომ წამყვანი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელ მარადი სანიკიძე გათავისუფლებული იქნა სამსახურიდან 2015 წლის 7 აპრილს, მაგრამ მას კიდევ სამი თვის მანძილზე ერიცხებოდა კორპორაციულ ნომერზე განსაზღვრული ლიმიტის თანხა, სულ დამატებით 15 ლარია დარიცხული.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული შედეგია იმისა, რომ ბრძანებით განხორციელებულ ცვლილების თაობაზე ადმინისტრაციული სამსახური დროულად ვერ აწვდის ცვლილებების განხორციელების თაობაზე ინფორმაციას ეკონომიკური განვითარების შესყიდვების განყოფილებას, რომელსაც ახორციელებს სამუშაოების მიღებას აქტის საშუალებით.

2015 წლის 6 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისად გაფორმდა №3 ხელშეკრულება სს. „სილქნეტი“-სა და ქედის მუნიციპალიტეტს შორის, სადაც ხელშეკრულების საგანი იყო ინტერნეტ მომსახურების შესყიდვა, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 5389 ლარს. აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ჩარიცხულია სულ 5144,05 ლარი.

ობიექტზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის შესყიდვების განყოფილებამ (ბატონმა გივი დევაძემ):

- მკაცრ კონტროლზე აიყვანოს კორპორაციულ ნომრებზე არსებული ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტის ოდენობით ჩარიცხვის პროცესი და არ მოხდეს განსაზღვრული ლიმიტის ზემოთ თანხის ჩარიცხვა.
- გამგებლის ბრძანების გარეშე არ განხორციელდეს კორპორაციულ ნომრებზე თანხის ჩარიცხვა.
- დროულად მოხდეს გათავისუფლებულ თანამშრომლების კორპორაციულ ნომრებზე თანხების ჩარიცხვის შეჩერება.

2. ადმინისტრაციულმა სამსახურმა ეკონომიკური განვითარების სამსახურს დროულად მიაწოდოს გამგებლის ბრძანების ამონაწერი გათავისუფლებული თანამშრომლების შესახებ, რათა არ მოხდეს არამიზნობრივად კორპორაციულ ნომრებზე თანხების ჩარიცხვა.

ა.(ა).ი.პ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანები“-ს მიერ 2015 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების მიზნობრივი ხარჯვის აუდიტი, სადაც მონიტორინგით გამოვლინდა შემდეგი, კერძოდ:

ა.(ა).ი.პ. „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანები“-ს 2015 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2014 წლის 23 დეკემბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №44 დადგენილებით, რომლითაც განისაზღვრა მისი ბიუჯეტი და შეადგენდა 920630 ლარს.

ა.(ა).ი.პ. „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანები“-ს 2015 წლის ბიუჯეტში განხორციელდა 3 ცვლილება, კერძოდ, პირველად ცვლილება განხორციელდა 2015 წლის 18 მარტს №10 დადგენილებით და ბიუჯეტი განისაზღვრა 956800 ლარით, მეორედ ცვლილება განხორციელდა 18 სექტემბერს №17 დადგენილებით და ბიუჯეტი განისაზღვრა 876800 ლარით, ხოლო მესამე ცვლილება მოხდა 15 დეკემბერს №18 დადგენილებით და ა.(ა).ი.პ. „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანები“-ს ბიუჯეტი განისაზღვრა 853800 ლარით.

ა.(ა).ი.პ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანები“-ს საკასო ხარჯმა 2015 წელს, შეადგინა 853825.99 ლარი, რაც საბოლოოდ დამტკიცებული ბიუჯეტის 100%-ია.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

შრომის ანაზღაურების მუხლით საკასო შესრულებამ შეადგინა 539299.49 ლარი.

საქონელი და მომსახურეობის მუხლით საკასო ხარჯმა შეადგინა 267606.5 ლარი, რომლიდანაც:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 5400 ლარი.
- მივლინებების მუხლით დახარჯულია 597 ლარი.
- ოფისის ხარჯების მუხლით დახარჯულია 95979. ლარი.
- კვების ხარჯების მუხლით დახარჯულია 155817.18 ლარი.
- სამედიცინო ხარჯების მუხლით გაწეულია 434,32 ლარი.
- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯმა 1265 ლარი შეადგინა.
- ტრანსპორტის ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯების მუხლით გაწეულია 4985 ლარი.
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლით გაწეულია 3129 ლარი.

არაფინანსური აქტივების მუხლით ათვისებულია 46920 ლარი, რომლიდანაც 41020 ლარი გამოყენებულია არასაცხოვრებელი შენობების მუხლით, რაც მდგომარეობს ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანები“-ს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების სარემონტო სამუშაოების წარმოებით, 5900 ლარი კი სხვა მანქანა დანადგარების და ინვენტარის შესაძენად.

საანგარიშო პერიოდის პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის

აუდიტით დადგენილია:

2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ა.(ა).ი.პ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს ერიცხება 572082 ლარის ღირებულების შენობა ნაგებობები, 4092 ლარის ღირებულების ავტომანქანა, 59742 ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივები, 16165 ლარის ღირებულების წიგნის ფონდი, 390381 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგი, 1229.5 ლარის ღირებულების გაზის საწვავის ტალონები, 1941 ლარის ღირებულების კვების პროდუქტები, 114 ლარის ღირებულების საკანცელარიო საქონელი, 970 ლარის ღირებულების სანიტარული საქონელი, 154 ლარის მედიკამენტები, 2578 ლარის დიზელის საწვავი, 15 ლარის მცირეფასიანი საქონელი, 162 ლარის ბენზინი, 1809 ლარის შეშა, 440 ლარის სადეზინფექციო ხსნარი. სულ მთლიანი ქონების ღირებულების ჯამი შეადგენს

1051872 ლარს. ამასთან, ა.(ა).ი.პ. „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს ბალანსზე არა ქვს აყვანილი ხუთი ბაგა-ბაღი, კერძოდ: დაბა ქედის №2, დოლოგნის, ცენტრი ცხმორისის, ვაიოსა და დანდალოს ბაგა-ბაღები. რომლის დოკუმენტაციის მომზადება ევალება ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის განყოფილებას (ბატონ თ. ბერიძეს), რომელმაც უნდა მოახდინოს აღნიშნული შენობა-ნაგებობების და მასზე დამაგრებული მიწის ა.(ა).ი.პ. „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ზე უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემა.

ა.(ა).ი.პ. „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს 2015 წელს შეძენილი აქვს 55518 ლარის სხვადასვა ფასეულობანი, ამავე პერიოდში ჩამოწერილია 29257 ლარის საქონელი, ხოლო 2016 წლის 1 იანვრისათვის ბალანსზე ნაშთის სახით ირიცხება 1080195 ლარი. საანგარიშო პერიოდში მარაგების ჩამოწერის საფუძველია ა.(ა).ი.პ. „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანები“-ს დიექტორის (ა.თებიძე) 2015 წლის 25 ნოემბრის №01-02/152 ბრძანება ა.(ა).ი.პ. „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანები“-ს ბალანსზე რიცხული მცირე ფასიანი ინვენტარისა და სხვა მატერიალური ფასეულობების საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ. ასევე ა.(ა).ი.პ. „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანები“-ს დიექტორის (ა.თებიძე) მიერ 2015 წლის 25 ნოემბრის 01-02/153 ბრძანებით შექმნილია ჩამომწერი კომისია რომელმაც ჩამოწერა უვარგისი და გამოუდგარი ინვენტარი.

მონიტორინგის დროს გაირკვა, რომ არ არის გაკეთებული სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე საინვენტარო ნომერი, ასევე მოსაწესრიგებელია საბუღალტრო დოკუმენტაცია, რომელიც გულისხმობს თვის გასვლის შემდეგ ყველა მემორიალური ორდერის შესაბამის დოკუმენტებთან ერთად დალაგებას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და აკინძვას, ყდაზე უნდა დაეწეროს ორგანიზაციის სრული დასახელება, საანგარიშგებო პერიოდი(წელი და თვე), მემორიალური ორდერის საწყისი და საბოლოო ნომრები, რაც სრულად არაა გაკეთებული. რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების 5-ე მუხლის მე-13 პუნქტი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 დეკემბრის №605 ბრძანება.

2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბუღალტრო ჩანაწერების მიხედვით საწვავის (ბენზინი) ნაშთი შეადგენდა 162 ლარს, ამასთან წლის მანძილზე განხორციელდა 1120 ლიტრი ბენზინის შესყიდვა 3686 ლარის ღირებულებით საიდანაც ათვისებულია 3705 ლარის საწვავი და დარჩენილია 143 ლარის საწვავი (ბენზინი). სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი იქნა 2015 წლის გასათბობი საწვავის (დიზელის) რაოდენობის ნაშთი სულ 4391 ლარი, მაგრამ ჩვენს მიერ ვერ იქნა დაგენილი სტრუქტურულ ერთეულებში გასათბობი საწვავის (სალიარის) ნაშთის რაოდენობა. ამასთან ა.(ა).ი.პ. „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს არ აქვს განსაზღვრული, თუ სტრუქტურულ ერთეულებში დამონტაჟებული გამათბობლები რა რაოდენობის საწვავს ხარჯავს ყოველ საათში.

აქედან გამომდინარე დავადგინეთ, რომ ყოველთვიურად არ ახდენენ საწვავის ინვენტარიზაციას, რაც რისკის შემცველია.

2015 წელს ა.(ა).ი.პ. „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე დადებული აქვს სულ 62 ხელშეკრულება შ.პ.ს-ებთან და ინდივიდუალურ მეწარმეებთან, კერძოდ ესენია: შ.პ.ს. „საქართველოს ფოსტა“, შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“, შ.პ.ს. „ე-2010“, ი/მ „ზებურ ბერიძე“, ი/მ „ავთანდილ შოთაძე“, შ.პ.ს. „ნიკა“, ი/მ „ვარდო ბერიძე“, ი/მ „ემელიანე წილოსანი“, შ.პ.ს. „ბათუმის წყალი“, შ.პ.ს. „ჯეოტექნო“, შ.პ.ს. „ბიემსი გორგია“, შ.პ.ს. „მათიკომი“, შ.პ.ს. „ირინა შანიძე და კომპანია“, შ.პ.ს. „შერვასი“, შ.პ.ს. „უნიფორმაპლუსი“, შ.პ.ს. „ქლინ ვორლდ“, შ.პ.ს. „აჭარაპრესა“ და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ობიექტებთან ა.(ა).ი.პ. „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს 2015 წლის განმავლობაში რაიმე პრეტენზიები ხელშეკრულებით ნაკის ვალდებულებებზე არ ქონია.

საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცულობისა და საკადრო პოლიტიკის მდგომარეობა

ა.(ა).ი.პ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ში 2015 წელს დამტკიცებული იყო, სახელფასო ფონდით 577080 ლარით. 2015 წლის განმავლობაში მუშა-მომსახურეთა მიმართ დარიცხულმა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 539299.99 ლარი.

შიდა აუდიტის სამსახურმა მონიტორინგი ჩაატარა ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანები“-ს ყველა სტრუქტურულ ერთეულში. სტრუქტურულ ერთეულებში საერთო მდგომარეობა (ბავშვთა კვება, სისუფთავე, მომარაგება, საქმის წარმოება) დამაკმაყოფილებელია. ამასთან 2016 წლის მარტის თვეში მონიტორინგი ჩაატარა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ რომელმაც თავისი რეკომენდაციები დაუტოვა ა.(ა).ი.პ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანები“-ს სტრუქტურულ დანაყოფებს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

ამასთან მონიტორინგის დროს ჩვენს მიერ მიეცათ რეკომენდაციები, კერძოდ:

1) ზუნდაგის ბაღა-ბაღში - დაზიანებულია სამზარეულოსა და საწყობის კედლები, შესაძენია სამზარეულოს ინვენტარი. ნედლეულის დასამუშავებელი დაფები ხისაა, რაც არ იძლევა სრულყოფილად რეცხვა/დეზინფიცირების საშუალებას. ჩასატარებელია წყლის ხარისხის დამადასტურებელი ლაბორატორიული (მიკრობიოლოგიური) კვლევა. სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებები არ ინახება იზოლირებულად. ბაგა-ბაღის ტერიტორიაზე არ არის ბავშვებისათვის სათამაშო ეზო და ამის გამო არ აქვთ ბავშვთა ატრაქციონები. საჭიროა აღნიშნული ბაგა-ბაღის შენობის გაზრდა, იმის გამოც, რომ ბავშვები ასაკობრივ ჯგუფებად არ არის გაყოფილი და ბავშვი ერთ ჯგუფში არიან.

2) აწვესის ბაგა-ბაღში - ჩასატარებელია წყლის ხარისხის დამადასტურებელი ლაბორატორიული (მიკრობიოლოგიური) კვლევა. სამზარეულოსა და საწყობის კედლები შესაღებია. ბაგა-ბაღში მოსაწესრიგებელია სათამაშო ეზო და ამასთან ეზოში მრავლადაა მაწანწალა ძაღლები.

3) პირველი მათის ბაგა-ბაღში ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალი არაა ზონარ გაყრილი და ბეჭედ დასმული, ჟურნალში არის უამრავი შეცდომა რომელიც გადასწორებულია, რიგ შემთხვევებში კორექტორით, 2015 წლის 22 მარტის მენიუს მოთხოვნის ფურცელში გადასწორებულია ქათმის წონა და ვაშლის წონა. სამზარეულოში არა არის მოწყობილი პერსონალის ხელსაბანი ნიჟარა აღჭურვილი სათანადო ჰიგიენური საშუალებებით (ერთჯერადი ქაღალდის ხელსახოცით, თხევადი საპონით, ხელის დეზინფექტანტით), ასევე არაა მოწყობილი საწრეტები სამზარეულოს გარეცხილი ინვენტარისთვის. ცხოველური წარმოების პროდუქტების შესანახი მაცივრები არ არის აღჭურვილი ტემპერატურის მზომი ხელსაწყოებით. ჩასატარებელია წყლის ხარისხის დამადასტურებელი ლაბორატორიული (მიკრობიოლოგიური) კვლევა. ხორცის დაფა და სამუშაო მაგიდის ზედაპირები არ არის ისეთი მასალისაგან დამზადებული, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს დაბინძურების რისკს (ხისაა). ფილიალში პროდუქტების შესანახი სათავსო პატარაა.

მონიტორინგის პერიოდში ბაგა-ბაღის გამგეს უნებართვით ქონდა მიტოვებული სამუშაო პროცესი, რაზეც ბაგა-ბაღების გაერთიანების მხრიდან საჭიროა გატარდეს სათანადო ღონისძიება.

4) დაბა ქედის №1 ბაგა-ბაღში ბავშვთა რაოდენობა ნორმაზე მეტია, რის გამოც ერთ ჯგუფში 37 ბავშვი ირიცხება ნაცვლად 30 ბავშვისა. სათამაშო ეზო და ეზოს გალავანი საჭიროებს რეაბილიტაციას, ასევე გასაკეთებელია ბაგა-ბაღის სახურავი, რადგან წვიმის დრო

შენობაში ჩადის წყალი. პროდუქტების შესანახი მაცივრები არ არის აღჭურვილი ტემპერატურის მზომი ხელსაწყოებით.

5) წონიარისის ბაგა-ბაღში ბავშვთა რაოდენობა დაშვებულ 4-6 წლამდე ჯგუფში ნორმაზე მეტია, ნაცვლად 30 ბავშვისა არის 32 აღსაზრდელი არ გააჩნიათ საკუთარი ეზო და საბავშვო ატრაქციონები, ამასთან ოთახების სიმცირის გამო პროდუქტების შესანახი სათავსო განთავსებული აქვთ მეორე სართულზე ასასვლელი კიბის ქვემოთ, რომელსაც გაუკეთეს ჰაერის გამწოვი, მაგრამ მაინც შეიგრძნობა სათავსოში მძაფრი სუნი. ბაგა-ბაღის კვების ბლოკის სამრეცხაო განყოფილება არ არის აღჭურვილი საკმარისი რაოდენობის სამრეცხაო ნიჟარებით, ასევე პროდუქტების შესანახი მაცივრები არ არის აღჭურვილი ტემპერატურის მზომი ხელსაწყოებით. სამზარეულოს კედლის ნაწილი დაზიანებულია და არ იძლევა დეზინფიცირების საშუალებას, ამასთან სამზარეულოს ინვენტარი ძველია და საჭიროებს ახლით შეცვლას. ჩასატარებელია წყლის ხარისხის დამადასტურებელი ლაბორატორიული (მიკრობიოლოგიური) კვლევა.

6) ცენტრ ცხმორისის ბაგა-ბაღის ეზო არის სამშენებლო მასალების ნარჩენებით დაბინძურებული, რის გასუფთავებაც უნდა ჩატარებულიყო ი/მ „ავთანდილ სანიკიძე“-ს მიერ, რომელმაც შეასრულა ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოები. მოსაწყობია საბავშვო ატრაქციონი ეზოში.

7) ხარაულის ბაგა-ბაღში ბავშვთა გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი 16 მარტამდე შევსილია ფანქრით, არის შემთხვევები, რომ ხელშეკრულების შესაბამისად პურს ადგილზე მიტანით არ აწვდის მიმწოდებელი ბაგა-ბაღს და ხდება სხვა მესამე პირის მიერ პურის მიტანა, რითაც ირღვევა ხელშეკრულება. აღრიცხვის ჟურნალები არ არის ზონარგაყრილი, ბეჭედ დასმული და ხელმოწერილი დირექტორის მიერ. სამზარეულოში რემონტია გასაკეთებელი და ახალი ინვენტარია შესაძენი, პროდუქტების შესანახი მაცივრები არ არის აღჭურვილი ტემპერატურის მზომი ხელსაწყოებით. ჩასატარებელია წყლის ხარისხის დამადასტურებელი ლაბორატორიული (მიკრობიოლოგიური) კვლევა. ბავშვებისათვის არ აქვთ ეზოში საბავშვო ატრაქციონი.

8) დოლოგანის ბაგა-ბაღში პერსონალის ხელსაბანი არ არის აღჭურვილი ჰიგიენური საშუალებებით, მაცივარი სადაც ინახება რძის პროდუქტები არ არის აღჭურვილი ტემპერატურის მზომი ხელსაწყოებით, ტუალეტის ხელსაბანი არ არის აღჭურვილი ჰიგიენური საშუალებებით, ჩასატარებელია წყლის ხარისხის დამადასტურებელი ლაბორატორიული (მიკრობიოლოგიური) კვლევა, მოსაწყობია ეზოში საბავშვო ატრაქციონი. ბავშვთა აღრიცხვის ჟურნალში მითითებულ ბავშვთა რაოდენობა 22 მარტს დილის ათის ნახევარზე შეადგენდა 29 ბავშვს, სოფლებიდან 15 წუთის შემდეგ დაემატა 5 ბავშვი და მოხდა მენიუში ბავშვთა რაოდენობის 5 ერთეულით გაზრდა, ფაქტიურად ჩვენს მიერ გადამოწმებული იქნა დოლოგანის ბაგა-ბაღი და ა.(ა).ი.პ. „ქედის ბაგა-ბაღის გაერთიანება“-ში გადმოცემული ცნობის უტყუარობა და ბაგა-ბაღის გაერთიანებიდან სახანძრო სამსახურში ბავშვთა რაოდენობის შესახებ ცნობის გადაცემა, სადაც ორივე შემთხვევაში დაფიქსირებული იყო 34 ბავშვის რაოდენობა და საკვებიც ამ რაოდენობაზე იყო გაცემული. არის შემთხვევები, რომ ხელშეკრულების შესაბამისად პურს ადგილზე მიტანით არ აწვდის მიმწოდებელი ბაგა-ბაღს და ხდება სხვა მესამე პირის მიერ პურის მიტანა, რითაც ირღვევა ხელშეკრულება.

9) მერისის ბაგა-ბაღში სამზარეულოს ინვენტარი ძველია და საჭიროებს ახლით შეცვლას, ამასთან ინვენტარს არ აქვს საინვენტარო ნომერი დასმული, ბავშვთა გამოცხადების ჟურნალი არაა ზონარგაყრილი ბეჭედ დასმული და ხელმოწერილი. ჩასატარებელია წყლის ხარისხის დამადასტურებელი ლაბორატორიული (მიკრობიოლოგიური) კვლევა. საჭიროა ეზოს რე

10) დაბა ქედის №2 ბაგა-ბაღში შესასვლელებში დასაგებია დეზობარიერები, სამზარეულოში დასამონტაჟებელია გამწოვი, გაზის ბალონები უნდა ინახებოდეს დაცულ ოთახში, პროდუქტების შესანახი მაცივრები არ არის აღჭურვილი ტემპერატურის მზომი ხელსაწყოებით.

11) ვაიოს ბაგა-ბაღში ბავშვთა დასწრების ჟურნალი არ არის ზონარ გაყრილი ბეჭედ დასმული და ხელმოწერილი, ამასთან ჟურნალში აღინიშნება შესწორებები. ჩასატარებელია წყლის ხარისხის დამადასტურებელი ლაბორატორიული (მიკრობიოლოგიური) კვლევა.

12) დანდალოს ბაგა-ბაღის ეზოში სანიაღვრე არხზე ზემოდან დამცავი კონსტრუქციის დაგება საჭირო, არ აქვს ბაღს საბავშვო ატრაქციონი. ბავშვთა გამოცხადების ჟურნალში შეინიშნება შესწორებები. ჩასატარებელია წყლის ხარისხის დამადასტურებელი ლაბორატორიული (მიკრობიოლოგიური) კვლევა.

13) სოფელ ცხმორისის ბაგა-ბაღში ჩასატარებელია წყლის ხარისხის დამადასტურებელი ლაბორატორიული (მიკრობიოლოგიური) კვლევა. არის შემთხვევები, რომ ხელშეკრულების შესაბამისად პურს ადგილზე მიტანით არ აწვდის მიმწოდებელი ბაგა-ბაღს და ხდება სხვა მესამე პირის მიერ პურის მიტანა, რითაც ირღვევა ხელშეკრულება.

ამასთან არსებულ ყველა ბაგა-ბაღში მონიტორინგი ჩატარდა პროდუქტების ნაშთების გამოყვანას და ჟურნალში სწორი რაოდენობის ასახვას, პროდუქტები შერჩევით გადაწონილი და შედარებული იქნა ნაშთებთან. არცერთ შემთხვევაში ამ მხრივ დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი პროდუქტები როგორცაა მაწონი და ხაჭო, რომელიც წარმოადგენს მალფუჭებად პროდუქტებს, ზოგ შემთხვევაში ხდება პროდუქტის ჩამოწერა ვადის გასვლის გამო.

ობიექტზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. ა.(ა).ი.პ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანები“-ს დირექტორმა და ბუღალტერმა:
 - მკაცრად დაიცვას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანება “საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის” დამტკიცების შესახებ და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება.
 - ყოველთვიურად მოახდინონ საწვავის (ბენზინი, სალიარის) ინვენტარიზაცია.
 - ა.(ა).ი.პ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანები“-ს სტრუქტურულ ერთეულებში დამონტაჟებული გამათბობლების წვის ნორმის დასადგენად მოიწვიოს ექსპერტები და დაადგინოს საათობრივი წვის ნორმა.
 - ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანები“-ს დირექტორმა (ა.თებიძე):
 - მომავალი წლის ბიუჯეტი ისე დაგეგმოს, რომ არ გახდეს საჭირო ცვლილებების შეტანა.
 - მოაწესრიგოს წონიარისის, ხარაულის, აწვესის, დანდალოს, მერისის, ცენტრ ცხმორისის, ზუნდაგის და დაბა ქედის №1 ბაგა-ბაღების სათამაშო ეზოები.
 - ბაგა-ბაღების ეზოები აღჭურვოს საბავშვო ატრაქციონებით.
 - ბაგა-ბაღებში ჩაატაროს სასმელი წყლის ხარისხის დამადასტურებელი ლაბორატორიული (მიკრობიოლოგიური) კვლევა.
 - უზრუნველყოს წონიარისის ბაგა-ბაღში პროდუქტების შესანახ სათავსოში ძლიერი გამწოვი დანადგარის შეძენა-დამონტაჟება.

– მკაცრ კონტროლზე აიყვანოს ბაგა-ბაღებში ბავშვთა ჯგუფების დაკომპლექტების საკითხი, ისე წარმართოს მუშაობა, რომ ადგილი არ ქონდეს ჯგუფებში ბავშვთა გადატვირთვის ფაქტებს.

– თავისი ბიუჯეტიდან გამომდინარე უზრუნველყოს, ზუნდაგის, წონიარისის, ხარაულისა და დაბა ქედის №1 ბაგა-ბაღების სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

– ბაგა-ბაღებს მიაწოდოს ერთიანი აღივანების ჟურნალები, რომლებიც იქნება ზონარ გაყრილი, დანომრილი, შეკრული, ბეჭედ დასმული და ხელმოწერილი.

– კონტროლზე აიყვანოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის მარტის თვეში მიღებული რეკომენდაციების დროული შესრულების საკითხები.

– ბაგა-ბაღები აღჭურვოს ჰიგიენური საშუალებებით.

– ყოველდღიურად 9 საათსა და 40 წუთზე უზრუნველყოს ბაგა-ბაღის სტრუქტურული ერთეულიდან ცნობა ბავშვთა რაოდენობის შესახებ მიღება და 10 საათსა და 15 წუთზე აღნიშნული ცნობის ქედის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილებაზე მიწოდება.

– კონტროლზე აყვანილ იქნას მიმწოდებლების მიერ მისაწოდებელი საქონლის მიწოდების პროცესი, რომ ადგილი არ ქონდეს სხვა მესამე პირის გავლით საქონლის მიწოდებას.

3. ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურმა უმოკლეს ვადაში განახორციელოს დოლოგნის, დაბა ქედის №2, ვაიოს, ცენტრი ცხმორისისა და დანდალოს ბაგა-ბაღების შენობა-ნაგებობების და მასზე დამაგრებული მიწის ა.(ა).ი.პ. „ქედის ბაგა-ბაღის გაერთიანება“-ზე უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი.

2) შ.პ.ს „ქედის კომუნალურსევისი“-ს მიერ 2015 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების მიზნობრივი ხარჯვის აუდიტი, სადაც მონიტორინგით გამოვლინდა შემდეგი, კერძოდ:

შ.პ.ს „ქედის კომუნალურსევისი“-ს შექმნისა და წესდების დამტკიცების სამართლებრივი საფუძველია - ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 05 სექტემბრის №01-08/96 ბრძანება.

წესდების თანახმად შ.პ.ს „ქედის კომუნალურსევისი“-ს ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს წარმოადგენს:

1. საზოგადოება ახორციელებს საქმიანობას შემდეგი მიმართულებით:

ა) ქუჩების, მოედნების, პარკებისა და სკვერების სანიტარული დასუფთავება;

ბ) დასახლებებში მრავალწლიანი ნარგავების განაშენიანებაზე ზრუნვა და მათი მოვლა-პატრონობა;

გ) ქუჩების, მოედნების, პარკების, სკვერების და ადმინისტრაციული ცენტრების გარე განათების სისტემის კეთილმოწყობა და ექსპლუატაცია.

2.2. საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად, იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის

საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

შ.პ.ს „ქედის კომუნალურსევისი“-ს 2015 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშგების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობა

შ.პ.ს „ქედის კომუნალურსევისი“-ს 2015 წლის საწყისი ბიუჯეტი (არაფინანსური აქტივების ჩათვლით) განისაზღვრა 209000 ლარით, 2015 წლის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა სამი ცვლილება, კერძოდ: I-ი ცვლილებით ბიუჯეტი განისაზღვრა 210000 ლარით, II-ე ცვლილებით განისაზღვრა 225000 ლარით და III-ე ცვლილებით განისაზღვრა 241000 ლარით. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შ.პ.ს „ქედის კომუნალურსევისი“-ს ჩაერიცხა 240998 ლარი. შ.პ.ს „ქედის კომუნალურსევისი“-ს წლის დასაწყისში ნაშთის სახით გააჩნდა 2951,17 ლარი (ჯართის რეალიზაციიდან მიღებული თანხა), ამასთან მას მიღებული აქვს 145 ლარი (მოქალაქისაგან რაც არის ელექტრო ბოძის დაზიანების გამო გადახდილი ჯარიმის თანხა), რითაც სულ შ.პ.ს „ქედის კომუნალურსევისი“-ს ფინანსურმა სახსრებმა 2015 წელს შეადგინა 244094,17 ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 241933 ლარი, რაც არის საბოლოოდ დამტკიცებული ბიუჯეტის 100%-ით ათვისება, ხოლო ნაშთის სახით ფულადი სახსრები 2015 წლის ბოლოს დარჩა 2161,19 ლარი.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

შრომის ანაზღაურების მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 124920 ლარის ასიგნება, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 123421 ლარი. ანუ გეგმის 98.8%-ი.

საქონელი და მომსახურეობის მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 101080 ლარი, გაწეულია საკასო ხარჯი 118512.18 ლარი, ანუ გეგმაზე 17432.18 ლარით მეტი, რაც გამოწვეული არის იმით, რომ შ.პ.ს „ქედის კომუნალურსევისი“-ს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გეგმით გათვალისწინებული თანხა და სხვა მუხლებიდან ნაშთად დარჩენილი თანხა გახარჯული აქვს როგორც საქონელი და მომსახურება, მაშინ როცა გარე განათების ახალი ქსელზე დახარჯული თანხა 9103.6 ლარი წარმოადგენს არაფინანსური აქტივის ზრდას.

საქონელი და მომსახურეობის ხარჯი შემდეგნაირადაა ჩაშლილი მუხლობრივად:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 1400 ლარი.
- სამივლინებო ხარჯმა 315 ლარი შეადგინა.
- ოფისის ხარჯების მუხლით გაწეულია 2123.87 ლარი.
- გარე განათების ხარჯი 37175.4 ლარს შეადგენს.
- ნარჩენების გატანაზე გახარჯულია 25549.9 ლარი.
- ჩამქრალი კირის შეძენაზე დაიხარჯა 114 ლარი.
- სამეურნეო საქონლის ხარჯი შეადგენს 6655.9 ლარს.
- ელექტრო საქონელი შეძენილია 6000 ლარის.
- საპირფარეოს აქსესუარების შეძენაზე დაიხარჯა 1136.95 ლარი.
- გარე განათების ახალი ქსელის მოწყობაზე დაიხარჯა 9103.6 ლარი.
- ცხოველების გაუნებელყოფისათვის გახარჯულია 4000 ლარი.
- სათადარიგო ნაწილებზე გახარჯულია 3610 ლარი
- ტრანსპორტის საწვავის შეძენისათვის დახარჯულია 17127.8 ლარი.
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლით გაწეულია 4199.76 ლარი.

საანგარიშო პერიოდის პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის აუდიტით დადგენილია:

2015 წლის განმავლობაში შ.პ.ს „ქედის კომუნალურსევისი“-ს მიღებული აქვს 109141.9 ლარის სხვადასვა საქონელი მომსახურება და მარაგები, ამავე პერიოდში ჩამოწერილია 24084.73 ლარის მცირეფასიანი საქონელი. საანგარიშო პერიოდში მარაგების ჩამოწერის საფუძველია შ.პ.ს „ქედის კომუნალურსევისი“-ს დიექტორის (მ.სურმანიძე) 2015 წლის 01 სექტემბრის №01-02/26 ბრძანება შ.პ.ს „ქედის კომუნალურსევისი“-ს ბალანსზე რიცხული მცირე ფასიანი ინვენტარისა და სხვა მატერიალური ფასეულობებისა და დაზიანებული საქონლის ჩამოწერი კომისიის შექმნის შესახებ“, (რომლის მეშვეობით ჩამოწერა იქნა განხორციელებული).

2015 წლის 31 დეკემბრის ბალანსზე შ.პ.ს „ქედის კომუნალურსევისი“-ს ნაშთად ერიცხება 78857 ლარის სატრანსპორტო საშუალება, 1020 ლარის მიწის ნაკვეთები, 516 ლარი შენობა-ნაგებობები, 22613 მანქანა-დანადგარები და 2961 ლარის ოფისის აღჭურვილობა.

2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბუღალტრო ჩანაწერების მიხედვით საწვავის (ბენზინი) ნაშთი არ ირიცხება, ხოლო საანგარიშო პერიოდში შ.პ.ს. „აისი“-საგან მიღებულია 15987,8 ლარის ღირებულების ბენზინი, რომელთანაც ქონდა ხელშეკრულება გაფორმებული, ამავე პერიოდში შ.პ.ს. „SESEKO“-სთან დადებული იქნა ხელშეკრულება 11000 ლარის საწვავის მიღებაზე, საიდანაც მიღებულია 1140 ლარის საწვავი, სულ გახარჯული იქნა 17127,8 ლარის საწვავი.

შ.პ.ს „ქედის კომუნალურსევისი“-ს ბალანსზე ირიცხება სამი ერთეული ავტომანქანა და ერთი ტრაქტორი, კერძოდ: 1999 წელს გამოშვებული პეჟო ექსპორტი სახ:№ CCO-848, 1984 წელს გამოშვებული გაზ 53A სახ:№OEO-433, 1999 წელს გამოშვებული უაზ 315126-031 სახ:№ XHX-332 და 2013 წელს გამოშვებული ბორბლებიანი ტრაქტორი „ბელარუსი“ სახ:№BS-016.

2015 წლის 30 იანვარს შ.პ.ს „ქედის კომუნალურსევისი“-ს დიექტორის (მ.სურმანიძე) მიერ გამოცემულია ბრძანება №01-02/09 ავტომანქანებზე საწვავის ლიმიტის განსაზღვრის მიზნით, კერძოდ 1) უაზ-315126-031 სახ. ნომრით XHX-332-ზე ყოველთვიურად ხარჯვის ლიმიტი შეადგენს 450 ლიტრ ბენზინს. 2) ავტომანქანა სახ. ნომრით CCO-804-ზე 150 ლიტრი დიზელი და 3) ბელარუსის ტიპის ტრაქტორის სახ.ნომრით BS-016-ზე დიზელის საწვავის ლიმიტი შეადგენს საათში 13 ლიტრს, ამასთან არაა დადგენილი ყოველ გავლილ კილომეტრზე თუ რამდენს ხარჯავს ავტომანქანა. ბენზინის ჩამოწერას ახდენენ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში და არა გარბენილი კილომეტრების მიხედვით, რაც გასათვალისწინებელია, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ არ ხდება საწვავის ყოველთვიური ინვენტარიზაცია.

მონიტორინგით დადგინდა, რომ 2015 წლის განმავლობაში საწარმოს ტექნიკაზე გაწეული აქვთ 3610 ლარის ტექნიკური მომსახურება. კერძოდ: ტრაქტორზე („ბელარუსი“ სახ:№ BS-016) გაწეულია 572 ლარის ხარჯი, პეჟო ექსპორტზე (სახ:№ CCO-848) გაწეულია 1008 ლარის ხარჯი, უაზ-ზე (315126-031 სახ:№ XHX-332) გაწეულია 2030 ლარის ხარჯი, ხოლო გაზ 53A (სახ:№ OEO-433) ხარჯი გაწეული არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელთან შედარებით 2015 წელს ტექნიკის მოვლა შენახვაზე 4533 ლარით ნაკლები დაიხარჯა, მაგრამ ტექნიკაზე გაწეული 3610 ლარის ხარჯი, მაინც რისკის მატარებელია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ უაზ 315126-031სახის №332 არის მოძველებული და მასზე სარემონტო სამუშაოების გაწევა არაეფექტურია, ამასთან გაზ 53 ავტომანქანა საჭიროებს გასხვისებას თუნდაც იმიტომ, რომ შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსევისი“ აღნიშნულ ტექნიკას არ იყენებს და ყოველწლიურად მასზე ხდება საამორტიზაციო თანხების დარიცხვა.

მონიტორინგით დადგინდა, რომ შ.პ.ს „ქედის კომუნალურსევის“-სა და შ.პ.ს. „N.B.N.“-ს შორის 2015 წლის განმავლობაში გაფორმდა სამი ხელშეკრულება გასანათებელი მოწყობილობისა და ელექტრო ნათურების შესყიდვაზე, 4900 ლარზე, 4000 ლარზე და 4000 ლარზე გამარტივებული შესყიდვის წესით, მაშინ როცა საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე-9 მუხლის მე-3 ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ „შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო (საფინანსო) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვა განიხილება ერთ შესყიდვად, თუ ის ფინანსდება ერთი წყაროდან, გარდა ამ მუხლის 3¹ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების ხელოვნურად დაყოფა შესყიდვის საშუალებების იმ მონეტარული ზღვრებისათვის (5000 ლარი) თავის არიდების მიზნით, რომელიც დადგენილია ამ კანონით“.

ასევე გარკვეული იქნა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არ ახდენენ დადებული ხელშეკრულებების შესრულებაზე მიღება-ჩაბარების აქტის შედგენას, რითაც დარღვეულია ხელშეკრულებების პირობები და კმაყოფილდებიან იმით, რომ მატერიალურ პასუხისმგებელ პირს ირაკლი ხაბაზს საქონლის მიღებაზე ბუღალტერიაში წარდგენილი აქვს სასაქონლო ზედნადებები, რომლითაც დასტურდება საქონლის მიღება.

საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცულობისა და საკადრო პოლიტიკის მდგომარეობა

შ.პ.ს „ქედის კომუნალურსევის“-ში 2015 წელს დამტკიცებულია 37 საშტატო ერთეული სახელფასო ფონდით 124920 ლარი. 2015 წლის განმავლობაში მუშა-მომსახურეთა მიმართ დარიცხული შრომის ანაზღაურება შეადგენს 123421 ლარს, მათ შორის თანამდებობრივი სარგოს სახით დარიცხულია 119821 ლარი, მატერიალური წახალისების (პრემია) სახით კი 3600 ლარი, მაშინ როცა დამტკიცებული ბიუჯეტით პრემიის გაცემა გათვალისწინებული არ იყო და შ.პ.ს „ქედის კომუნალურსევის“-ის დირექტორმა პარტნიორთან შეთანხმების გარეშე გასცა 8 თანამშრომელს პრემია კერძოდ: დირექტორს მალხაზ სურმანიძეს 1000 ლარი, ბუღალტერს აბდულ ვაშაყმაძეს 600 ლარი, იურისტს ნესტან დიასამიძეს 450 ლარი, საწყობის გამგეს ირაკლი ხაბაზს 400 ლარი, მძღოლს ვალიკო გოგიტიძეს 300 ლარი, კურიერს ნესტან ბერიძეს 250 ლარი, მებაღეებს ჯუმბერ მახარაძეს და გოჩა თურმანიძეს 300-300 ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის განმავლობაში საპირფარეშოების აქსესუარების შეძენაზე გაწეულია 1136,95 ლარის ხარჯი, თუმცა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საპირფარეშოებში აქსესუარების ნაკლებობა შეინიშნება და ზოგიერთ შემთხვევაში საპირფარეშოები მოუწესრიგებელი და დაულაგებელიც კი არის.

ცხოველების გაუნებელყოფისათვის გასულ 2015 წელს დაიხარჯა 4000 ლარი, თუმცა რაიონის მთელ ტერიტორიაზე კვლავ შეინიშნება მაწანწალა მალღებისა და კატების რაოდენობის ზრდა.

ობიექტზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- 1. შ.პ.ს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დირექტორმა:
 - წლის დასაწყისში ისე შეიმუშაოს და დაგეგმოს წლიური ბიუჯეტი, რომ შემდგომი თვეებისათვის არ ქონდეს ადგილი ბიუჯეტის ცვლილებას, ამასთან დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯვა განხორციელდეს განსაზღვრული ლიმიტების მიხედვით და ნაშთის ან აუთვისებელი თანხის გამოყენება მოხდეს პარტნიორთან შეთანხმებით.
 - განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ტექნიკის მოვლა ექსპლუატაციის ხარჯების ეკონომიურ ხარჯვას.

- ყოველთვიურად მოახდინოს საწვავის ინვენტარიზაცია და მისი ჩამოწერა უზრუნველყოს გარბენილი კილომეტრების მიხედვით.
- მიიღოს ყველა ზომა ცხოველების გაუნებელყოფისათვის და მუშაობა ისე წარმართოს, რომ მინიმუმამდე შეამციროს მაწანწალა (ძაღვები, კატები) ცხოველების რაოდენობა.
- მკაცრ კონტროლზე აიყვანოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული კვანძების მოწესრიგების საქმე.
- გარე აუდიტის დასკვნის და პარტნიორთან შეთანხმებით მოახდინოს ავტომანქანა გაზ 53A სახ:№OEO-433 გასხვისება.
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად განახორციელოს შესყიდვები.
- საქონლის შეძენისას დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები და საქონლის მიღება აწარმოოს მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2015 წელს მოხმარებულ ელექტრო ენერგიაზე გაწეული ხარჯების აუდიტი, სადაც მონიტორინგით გამოვლინდა შემდეგი, კერძოდ:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტროენერჯიის მიღებისათვის 2011 წლის 26 იანვარს დადებული აქვს №960-1/7-11 ხელშეკრულება ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-სთან. ხელშეკრულების შესაბამისად ელექტროენერჯიის აღრიცხვა ხდება ელექტრო ენერჯიის მიღების წერტილებში მოწყობილი მრიცხველების საშუალებით.

მონიტორინგით დადგინდა, რომ 2011 წლის 26 იანვარს დადებულ №960-1/7-11 ხელშეკრულებას აქვს უვადო მოქმედების ვადა, აქედან გამომდინარე ის მოქმედებდა 2015 წელს, რომლის მიხედვითაც 2015 წელს ჩარიცხულია ელექტრო ენერჯიის ღირებულება სულ 15174,54 ლარი, აღნიშნული ხარჯი ჩაშლილია მოცემულ ცხრილში ელექტრო მრიცხველების ჩვენების მიხედვით:

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2015 წელს ელექტრო ენერჯის მოხმარებაზე გახარჯული თანხა

მისამართი	მრიცხველის №	იანვარი (ლარი)	თებერვალი (ლარი)	მარტი (ლარი)	აპრილი (ლარი)	მაისი (ლარი)	ივნისი (ლარი)	ივლისი (ლარი)	აგვისტო (ლარი)	სექტემბერი (ლარი)	ოქტომბერი (ლარი)	ნოემბერი (ლარი)	დეკემბერი (ლარი)	ჯამი (ლარი)
სამხედრო გაწვევისა და მობილიზაციის სამსახ.	64022329	83,2	79,2	88,6	76,5	35,9	10,0	15,6	59,6	36,9	46,3	66,9	29,4	628,63
დაბა ქედის ადმინისტრაციული შენობა	0,037018	67,8	106,	106,	77,0	31,5	17,6	19,5	24,2	21,2	59,6	83,8	121,	737,56
დაბა ქედა ჭავჭავაძის ქუჩა	0,150333	0	0	0	0,32	0	0	0	0	0	0	0	0	0,32
ხარაულა	0,077890271	6,05	6,53	6,85	8,12	8,28	6,69	8,44	10,3	11,3	12,9	27,6	52,0	165,22

დაბა ქედა ჭავჭავაძის ქუჩა #4	0,712980204	78,8	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	78,8
გამგეობის შენობა	0,682394	1370	930	969	987	687	461	681	1117	870	891	1375	1696	12039
კუჭულა	2736202	13,6	5,89	28,3	11,3	1,43	1,27	1,75	2,78	3,58	22,6	48,8	70,9	212,5
დაბა ქედა(აგრო სერვისი)	64048991	2,71	4,14	1,91	2,07	0,48	0,16	0,32	11,9	0,2	1,99	2,38	4,77	33,05
ზუნდაგა	0,150002	10,3	43,4	50,1	42,9	36,6	35,0	17,5	1,99	4,57	16,2	33,3	47,0	339,4
აბუქეთა	0,3098862	0	0	1,11	3,98	4,3	3,5	3,02	3,1	3,18	3,58	4,97	5,17	35,99
ცხმორისი	0,3110636	29,9	21,8	18,6	8,12	0	4,78	2,71	0,4	0,6	0,2	0	0,2	87,38
კოლოტაური	0,5104926	0	7,8	16,0	0	6,37	0	2,07	2,98	0	0	0	0	35,3
ორცვა	0,3029505	0	4,62	2,39	2,55	0,96	0,32	0,16	0	0,4	0,4	0,2	0,2	12,2
არსენაული	0,0084537	0,96	51,9	76,0	62,4	59,0	36,6	35,3	41,9	43,1	71,3	42,5	72,5	593,79
ვაიო	0,3301161	1,91	35,6	37,2	36,4	3,02	0,48	1,1	2,38	3,18	6,76	8,94	8,35	145,51
მიმდინარე დავალიანება		1665	1298	1403	1320	883	578	788	1280	999	1133	1695	2109	15152
წინა ქვიტორისდავა ლიანება		2130	1586	1298	1403	1319	883	578	788	1279	999,	1133	1695	
გადახდილი თანხა		2209	1587	1298	1403	1320	883	578	788	1280	999	1133	1695	15174
სულ დავალიანება		1586	1298	1403	1319	883	578	788	1279	999	1133	1695	2109	

ამასთან გაირკვა, რომ ელექტრო მრიცხველების მიერ ნაჩვენები ელექტრო ენერჯის ხარჯის აღრიცხვას ახდენს ს.ს. „ენერჯო-პრო ჯორჯი“-ას წარმომადგენელი, რომლის შესაბამისად ხდება ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა გამგეობაში და შესაბამისად საფინანსო სამსახური ყოველი თვის 16 რიცხვში ახდენს თანხების ჩარიცხვას.

მონიტორინგით დადგინდა, რომ მოქმედი ხელშეკრულებით არაა განსაზღვრული პირი საკრებულოს მხრიდან, რომელიც გაუწევს კონტროლს ელექტრო ენერჯის ხარჯვის აღრიცხვას და აღრიცხული ელექტრო ენერჯის ხარჯის მიღებას, ასევე არ ხდება კონტროლი

ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების მიერ მათ სამოქმედო ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ ელექტრო მრიცხველების მიერ დაწერილი ელექტრო ენერჯის ხარჯვის უტყუარობის დადგენისათვის და ელექტრო ენერჯის ეკონომიურად ხარჯვისათვის. ეს დასტურდება იმით, რომ დაბა ქედის ადმინისტრაციული შენობა მდებარეობს მერაბ კოსტავას ქუჩა #1-ზე, რომელსაც ემსახურება (0037018) ნომრით დამონტაჟებული ელექტრო მრიცხველი, რომლის 2015 წლის ელექტრო ენერჯის წლიურმა ხარჯმა შეადგინა 737,56 ლარი, მაშინ როცა დ. ქედის ადმინისტრაცია სარგებლობს არსებული შენობაშის ორ ოთახს და ხარჯის ასეთი მაღალი მაჩვენებელი არ უნდა იყოს, თუმცა ჩვენი დაკვირვებით აღნიშნული გამოწვეულია გათბობისათვის ელექტრო ღუმელების ჩართვით.

ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეზოში არსებულ ბოძზე დაყენებულია ელექტრო მრიცხველი (ნომრით 0682394) რომლის მეშვეობით ხდება ელექტროენერჯის აღრიცხვა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობის, დასაქმების სააგენტოსა და პარლამენტარის იაშა შერვაშიძის ოფისში. აღნიშნულ მრიცხველზე 2015 წელს მოხმარებული იქნა 12039,91 ლარის ელექტრო ენერჯია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოსა და გამგეობას ქონდეს ცალკე დამონტაჟებული ელექტრო მრიცხველი.

სოფ. არსენაულში არის წყლის ბასეინები, სადაც დამონტაჟებულია 00084537 ნომრით ელექტრო მრიცხველი და მისმა 2015 წლის ხარჯმა შეადგინა 593,79 ლარი. აღნიშნული ობიექტი წარმოადგენს გამგეობის საკუთრებას და შესაბამისად გამგეობა ახდენს მოხმარებული ელექტრო ენერჯის ხარჯის ანაზღაურებას, თუმცა აღნიშნული ობიექტი საჭიროებს შ.პ.ს „ქედის წყალკანალი“-სათვის გადაცემას და შესაბამისად ელექტრო ენერჯის ხარჯსაც გადაიხდის შ.პ.ს „ქედის წყალკანალი“.

დაბა ქედაში აგრო სერვისის შენობასთან დამონტაჟებულია ელექტრო მრიცხველი (64048991) ნომრით, რომლის ელექტრო ენერჯის ხარჯმაც 2015 წელს შეადგინა 33,05 ლარი. აღნიშნულ მისამართზე გამგეობის დაქვემდებარებაში ამჟამად არცერთი სამსახური არ არის, აქედან გამომდინარე აღნიშნული ელექტრო მრიცხველი საჭიროებს გაუქმებას ან დროებით შეჩერებას, თუმცა აღნიშნული შენობა მომავლისათვის გადასაცემია ქედის სასწრაფო დახმარების სადგურისათვის და გახარჯული ელექტრო ენერჯის ღირებულებას დასახელებული ორგანიზაცია გადაიხდის.

საჭიროა ტერიტორიულ ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელებმა და საკრებულოსა და გამგეობის სამსახურებმა ეკონომიურად დახარჯონ ელექტრო ენერჯია, ამასთან მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტერიტორიულ ადმინისტრაციულ ერთეულისათვის დაწესდეს ელექტრო ენერჯის მოხმარების ყოველთვიური ლიმიტი.

ობიექტზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა:
 - _ შესაძლებლობის ფარგლებში მოამზადოს ხელშეკრულების პროექტი ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-სთან 2011 წლის 26 იანვრის №960-1/7-11 ხელშეკრულების განახლების თაობაზე, სადაც კონკრეტულად იქნება დაზუსტებული ელექტრო მრიცხველების ნომრები და მისამართები.
 - განისაზღვროს მატერიალური პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრო ენერჯის აღრიცხვაზე კონტროლის დაწესებას.
2. ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურმა მკაცრ კონტროლზე აიყვანოს ელექტრო ენერჯის ხარჯვისა და ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-სთან თანხების

ჩარიცხვის საქმე, ამასთან შესაძლებლობის ფარგლებში მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმების საფუძველზე გამგეობის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ორგანოებს განუსაზღვროს ელექტრო ენერჯის ხარჯვის ყოველთვიური ლიმიტი.

3. გამგეობის ქონების მართვის განყოფილებამ (თ. ბერიძემ) უმოკლეს დროში მოამზადოს დოკუმენტაცია სოფელ არსენაულში არსებული წყლის ბასეინების შ.პ.ს. „წყანკანალი“-ზე გადასაცემათ.

შ.პ.ს „ქედის წყალკანალი“-ს მონიტორინგი, სადაც მონიტორინგით გამოვლინდა შემდეგი, კერძოდ:

შ.პ.ს „ქედის წყალკანალი“-ს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები და მატერიალური ფასეულობები 2016 წლის 01 იანვრისათვის შეადგენს 870446,23 ლარს, კერძოდ:

- 1) მატერიალური მარაგი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 7871,58 ლარი.
- 2) მიწის ნაკვეთი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 472449,3 ლარი.
- 3) ადმინისტრაციული შენობა, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 19221,19 ლარი.
- 4) ნაგებობები (წყალსადენის აუზები და ჭები), ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 15672,64 ლარი.
- 5) წყალმომარაგების სისტემები, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 331907,46 ლარი.
- 6) მანქანა დანადგარები, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 4970,56 ლარი.
- 7) ოფისის აღჭურვილობა, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 854,33 ლარი.
- 8) კომპიუტერული ტექნიკა, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 1727,11 ლარი.
- 9) ავეჯი და სხვა ინვენტარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 3715,44 ლარი.
- 10) ტრანსპორტი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 12056,52 ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ შ.პ.ს „ქედის წყალკანალი“-ს დირექტორის 2015 წლის 31 დეკემბერის №01-02/13 ბრძანებით შექმნილია საინვენტარიზაციო კომისია, შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავჯდომარე არის დირექტორის მოადგილე რ. ცინცაძე, ხოლო კომისიის წევრებად არიან მ. ბერიძე მწე, ნ. დიასამიძე იურისტი და ნ. დიასამიძე საქმის მწარმოებელი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“-ს მე-5 მუხლის მე-5 ქვეპუნქტი გულისხმობს, რომ მატერიალურად პასუხისმგებელი პირი არ შეიძლება იყოს საინვენტარიზაციო კომისიის წევრი, შესაბამისად მ. ბერიძე მწე არ შეიძლება იყოს კომისიის წევრი, ამასთან საინვენტარიზაციო კომისიას მიერ ინვენტარიზაციის ჩატარების მიუხედავად არ დაუნმრია ინვენტარი.

მონიტორინგით დადგინდა, რომ შ.პ.ს „ქედის წყალკანალს“ გააჩნია საკუთრებაში ერთი ერთეული მსუბუქი ავტომანქანა UAZ-ი სახე № GQG-808, გამოშვებული 2005 წელს, რომლის ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 2785,28 ლარს და ერთი ერთეული მინი ბულდოზერი, რომლის ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 7602,24 ლარს.

ამასთან დადგინდა, რომ 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შ.პ.ს „ქედის წყალკანალს“ ნაშთად ერიცხებოდა ბანკში 314,89 ლარი, წლის მანძილზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან მას მიღებული აქვს 152740,3 ლარის სუბსიდია, ასევე მიღებული აქვს საკუთარი შემოსავალი 3446 ლარი (წყლის მიერთების), სულ წლიურმა შემოსულობებმა შეადგინა 156581,19 ლარი, საიდანაც ათვისებულ იქნა 153625,42 ლარი, ანუ 98 პროცენტი და ნაშთი წლის ბოლოს დარჩა 2875,77 ლარი.

2015 წლის მანძილზე ხარჯი შემდეგნაირადაა გადანაწილებული, კერძოდ: ხელფასებზე გახარჯულია 98326,98 ლარი, ფიზიკური პირების მომსახურებაზე 338,75 ლარი, პრემიაზე 1504 ლარი, საწვავის შეძენაზე 7320 ლარი, საბანკო მომსახურებაზე 77,63 ლარი, ელექტრო ენერჯის ხარჯზე 227,53 ლარი, ავტო ნაწილების შეძენაზე 1588 ლარი, მატერიალური მარაგების შეძენაზე 6551,37 ლარი, საკანცელარიო საქონელზე 232,4 ლარი, კომპიუტერულ მოწყობილობაზე 237 ლარი, მივლინებებზე გაიხარჯა 411 ლარი, სატელეკომუნიკაციო ხარჯზე 788,56 ლარი, მიწის გადასახადზე 34927 ლარი, ქონების გადასახადზე 436 ლარი, ტერიტორიის დასუფთავებაზე 660 ლარი.

როგორც აღნიშნეთ საწარმოს ჰყავს უაზის ტიპის ავტომობილი, 2015 წელს აღნიშნულ ავტომანქანაზე შეძენილია ავტოსათადარიგო ნაწილები 1588 ლარის, მაშინ, როცა 2014 წელს ამავე ავტომობილზე რემონტისათვის გახარჯული ქონდათ 1187 ლარი და ბოლო ორ წელიწადში ამ ავტომობილზე დაიხარჯა სულ 2775 ლარი, მაშინ როცა ავტომანქნის საბალანსო ღრებულება შეადგენს 2785,28 ლარს. აღნიშნულ ავტომანქანის რემონტზე ამ რაოდენობის თანხების ხარჯვა დიდი რისკის შემცველია.

ასევე საწვავის შესაძენად გაიხარჯა 7320 ლარი. ბენზინის ჩამოწერას ახდენენ დადგენილი ლიმიტით (100 კმ-ზე 17 ლიტრი) და ხდება გავლილი კილომეტრობის ჩვენება, ისე, რომ ავტომანქანაზე არ მუშაობს გავლილი კილომეტრობის მაჩვენებელი (სპიდომეტრი). კიდევ მეტი მძღოლი (რ. ბერიძე) მიმდინარე წელს არ ახდენს საგზაო ფურცლის შევსებას და არ ახდენს მასზე ხელმოწერით დამოწმებას.

უფრო ცუდი მდგომარეობაა ერთ ერთეულ მინი ბულდოზერის გამოყენების მხრივ, 2015 წელს მინი ბულდოზერით შესრულებული აქვთ მცირედი (2000 ლარამდე) სამუშაოები, მაშინ როცა მისი მძღოლი 2015 წლის ივლისის თვემდე ყავდათ ძირითად შტატში და მას მიღებული აქვს შრომის ანაზღაურება 1320 ლარი.

ამჟამად მინი ბულდოზერი არ მუშაობს რადგანაც მას ჭირდება ორივე მხარეს შალანგების შეცვლა, განმარტავენ შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს ხელმძღვანელობა და აღნიშნავენ, რომ შალანგების შეცვლას ჭირდება 6000 ლარამდე, მაშინ როცა ბულდოზერის საბალანსო ღირებულება 7602,24 ლარს შეადგენს, ამდენად მიზანშეწონილად თვლიან მის გასხვისებას.

რაც შეეხება ბუღალტრულ დოკუმენტების არსებობას, ისინი არის მემორიალური ორდერების მიხედვით დალაგებული, მაგრამ არაა აკინძული და დანომრილი, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ,, მე-5 მუხლის მე-13 პუნქტი.

პრემიის გაცემის მონიტორინგი.

მონიტორინგით დადგინდა, რომ შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს ყოფილმა დირექტორმა მ. დიასამიძემ 2014 წლის 29 დეკემბერს გამოსცა №01-02/22 ბრძანება საპრემიო კომისიის შექმნის თაობაზე. ამავე დღეს მან დაამტკიცა საპრემიო კომისიის მიერ შედგენილი ოქმი, რომელიც კომისიას მიღებული ქონდა 30 დეკემბერს. ამით დასტურდება, რომ საპრემიო კომისიას საერთოდ არ უმსჯელია მუშაკებზე პრემირების გაცემის შესახებ და ყოფილი დირექტორის მიერ თვითნებურად მოხდა 7540 ლარის საპრემიო თანხის გამოყოფა, საიდანაც 6036 ლარი შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს მუშაკებს ჩაერიცხათ 2014 წლის 31 დეკემბერს, ხოლო დარჩენილი 1504 ლარი კი 2015 წლის 6 იანვარს. აღნიშნული თანხების გამოყოფა და ჩარიცხვა მოხდა ისე, რომ პარტნიორთან (მუნიციპალიტეტის გამგებელთან) მისი შეთანხმება არ ყოფილა, მაშინ როცა შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს წესდების მე-6 მუხლის

მე-11 ქვეპუნქტი აღნიშნულს ითვალისწინებს.

მობილური ტელეფონების ნომრებზე ჩარიცხული თანხების მონიტორინგი

შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს მუშაკებზე გაცემულია 29 ცალი მობილურის ნომერი, რომელთაგან ექვს ნომერს ერიცხება ყოველთვიურად სულ 60 ლარი, კერძოდ: დირექტორს რამინ ჯიჯავამეს 20 ლარი, დირექტორის მოადგილეს რეზო ცინცამეს 15 ლარი, ბუღალტერს ილია ფარტენამეს 10 ლარი, მთავარ სპეციალისტს ქემალ აბაშიძეს 5 ლარი, იურისტ ნატო დიასამიძეს 5 ლარი, საქმის მწარმოებელ ნატო დიასამიძეს 5 ლარი. აღნიშნული ნომრების ანგარიშით უზრუნველყოფისათვის დირექტორს ბრძანება გამოცემული არ აქვს.

გაფორმებული ხელშეკრულებების მონიტორინგი

2015 წლის 3 აგვისტოს დადებულ იქნა №22 ხელშეკრულება ი/მ „რამაზ ბერიძე“-სა და შ.პ.ს. „ქედის წყალკანალ“-ს შორის, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ავტოსათადარიგო ნაწილების მოწოდება, ხელშეკრულების ღირებულება იყო 500 ლარი. ი/მ „რამაზ ბერიძე“-მ მიაწოდა 2015 წლის 4 აგვისტოს 474 ლარის საქონელი, რაზეც არსებობს ანგარიშფაქტურა, მაგრამ აღნიშნულ დოკუმენტაციას აკლია მიღება-ჩაბარების აქტი, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ამასთან უნდა აღნიშნოს, რომ წინა დღით დადებული ხელშეკრულება სრულდება მეორე დღეს რაც რისკის მატარებელია.

ასევე 2015 წლის 28 მაისს დადებული №15 ხელშეკრულების მიხედვით შ.პ.ს. „ნიკა-2002“-მა მიაწოდა მანქანის საბურავები შ.პ.ს. „ქედის წყალკანალ“-ს, რაზეც არსებობს ანგარიშფაქტურა, მაგრამ არაა შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის 6 აპრილს №01-02/7 ბრძანებით სამუშაოზე დაინიშნა მთავარი სპეციალისტად სახელმწიფო შესყიდვების დარგში ქემალ აბაშიძე, რომელმაც კორდინაცია უნდა გაუწიოს ყვალა ხელშეკრულების დადებას და სამუშაოების მიღებას, თუმცა შესრულებული სამუშაოებიდან მისი ქმედება ნაკლებად იგრძნობა.

საქმის წარმოების მონიტორინგი.

მონიტორინგით გაირკვა, რომ შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს ემსახურება ერთი ერთეული საქმის მწარმოებელი და იურისტი ყოველთვიური 300-300 ლარის ანაზღაურებით. უნდა აღინიშნოს, რომ მათ მიერ წარმოებული ბრძანების წიგნში ბევრი უზუსტობებია, ასე მაგალითად: ბრძანებით გაშვებული ყავთ მუშაკები, სადაც უწერია, რომ მიეცეს შვებულება ერთი კალენდარული თვით, მაშინ როცა ერთი კალენდარული თვით მხოლოდ საჯარო მოხელეები სარგებლობენ და ისინი შვებულებაში გაშვებული უნდა იქნას 24 სამუშაო დღით, ან კიდევ როცა წერენ მუშაკის მივლინებაში წასვლას კონკრეტულად უნდა ჩანდეს რომელ დაწესებულებაში ან სად მიდის და მას უნდა ქონდეს საფუძველი. ბრძანებით დამტკიცებული აქვთ საშტატო ნუსხა, მაგრამ თანამდებობრივი სარგოები და სახელობითი სია თან არ ერთვის და ა.შ.

ასევე მონიტორინგით დადგინდა, რომ 2014 და 2015 წლებში გაკეთდა და მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ მიღებულ იქნა, მაგრამ ჯერ კიდევ შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს ბალანსზე არ გადაცემულა მახუნცეთის, ზენდიდისა და სოფელ ცხმორისის წყალსადენები ღირებულებით 37777 ლარის, სოფელ ორცვაში არსებული სარეზერვო აუზი 123141 ლარის ღირებულების (მაშინ, როცა ობიექტი შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს საკუთრებას არ წარმოადგენს და ყოველთვიურად 3 მუშაკზე იხარჯება 900 ლარი). სრულყოფილად გადაცემული არ არის დ. ქედაში, აწვესში და ცხმორისში აშენებული საკანალიზაციო არხები, აწვესის წყალსადენი 308600 ლარის ღირებულებით, დ. ქედაში და აწვესში აშენებული სანიაღვრე არხები 394800 ლარის ღირებულების. ასევე გადაცემული არ

არის დ. ქედის და აწვევის წყალმომარაგების ქსელში აბონენტთა გამრიცხველიანობაზე გაწეული 85386 ლარის სამუშაოები, სოფელ მახუნცეთსა და ორცვის სასმელი წყლის სისტემაზე საქლორატორების მშენებლობები 5932 ლარის ღირებულების. აღნიშნული ობიექტები მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის განყოფილების მიერ უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში და გადაცემული უნდა იქნეს შ.პ.ს. „ქედის წყალკანალ“-ზე.

ობიექტზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს დირექტორმა და ბუღალტერმა:

– მკაცრად დაიცვას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ მე-5 მუხლის მე-13 პუნქტი, რაც ითვალისწინებს თვის გასვლის შემდეგ ყველა მემორიალური ორდერის შესაბამის დოკუმენტებთან ერთად დალაგებას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და აკინძვას, ასევე მკაცრად დაიცვას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანება “საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის” დამტკიცების შესახებ.

– გააზრებულად მიიღოს გადაწყვეტილებები და პარტნიორთან შეთანხმების საფუძველზე აწარმოოს საქმიანობის უკეთ წარმართვა, მოგების მიღების მიზნით.

– პარტნიორთან შეთანხმებით მოახდინოს ამჟამად უმოქმედო და შესაკეთებელი ბუღალტერის გასხვისება.

– მკაცრ კონტროლზე აიყვანოს საქმისწარმოება.

– დაიცვას დადებული ხელშეკრულების პირობები, საქონლისა და მომსახურების მიღებისას მიღება-ჩაბარების დოკუმენტის უნაკლოდ გაფორმების შემდეგ მოახდინოს თანხების ანაზღაურება.

– უაზის ტიპის ავტო მანქანაზე დამონტაჟდეს გავლილი კილომეტრაჟობის მაჩვენებელი (სპიდომეტრი) და რეალურად გავლილი კილომეტრობის მიხედვით ჩამოიწეროს საწვავი, ამასთან პარტნიორთან შეთანხმებით იზრუნოს მის გასხვისებაზე და უკეთესი ავტომობილის შეძენაზე.

2. ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის განყოფილების მიერ უმოკლეს ვადაში დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში და გადაცემული იქნას შ.პ.ს. „ქედის წყალკანალ“-ის ბალანსზე 2014-2015 წლებში განხორციელებულ პროექტებზე გაწეული დანახარჯები (წყალსადენების, სარეზერვო აუზების, სანიაღვრე არხების, აბონენტთა გამრიცხველიანობაზე გაწეული ხარჯები და სხვა).

ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს მონიტორინგი, სადაც მონიტორინგით გამოვლინდა შემდეგი, კერძოდ:

წარმოდგენილი ბალანსის მიხედვით ა(ა)იპ „ქედის ისტორიულ მუზეუმს“ 2014 წლის დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებებით (არაფინანსური აქტივების ჩათვლით) განესაზღვრა 56200 ლარი, ამავე პერიოდში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 56188,37 ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 99,97%-ით.

ა.ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმის“ 2014 ბიუჯეტის მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

შრომის ანაზღაურების მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 39400 ლარის ასიგნება, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 39616 ლარი, ანუ გეგმის 100,5 %-ია. 39616 ლარიდან 36366 ლარი წარმოადგენს თანამდებობრივ სარგოს, ხოლო 3250 ლარი პრემიას.

საქონელი და მომსახურეობის მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 13300 ლარი ასიგნირება, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 13077,57 ლარი, ანუ გეგმის 98,3%-ი, აქედან:

- _ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლით გაწეულია 2750 ლარი.
- _ საწვავის შეძენაზე გაიხარჯა 3330 ლარი.
- _ ელექტრო ენერჯის ხარჯზე გაწეულია 602,63 ლარი.
- _ ავტო ნაწილების შეძენაზე დაიხარჯა 1735 ლარი.
- _ მობილურის ნომრებზე გაწეულია 625,94 ლარის მომსახურეობა.
- _ ხაზის ტელეფონის მომსახურებაზე გაწეულია 126 ლარი.
- _ ჯეოსელისა და მაქთის ინტერნეტის მომსახურებისათვის დაიხარჯა 550,4 ლარი.
- _ კონდიციონერის დამონტაჟებაზე გაწეულია 680 ლარი.
- _ მივლინებების მუხლით გაწეულია 297 ლარი.
- _ დასუფთავების გადასახადზე გაიხარჯა 201,06 ლარი.
- _ სანიტარულ ჰიგიენაზე გაიხარჯა 145 ლარი.
- _ შეშის შესაძენად დაიხარჯა 600 ლარი.
- _ გაზეთისა და წიგნების შესაძენად 295,05 ლარი.
- _ კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად 280 ლარი.
- _ საკანცელარიო საქონლის შესაძენად გაიხარჯა 679,5 ლარი.
- _ კატრიჯის შესაძენად გაიხარჯა 180 ლარი.

არაფინანსური აქტივების მუხლით გეგმით გათვალისწინებული 3500 ლარიდან ათვისებულია 3495 ლარი, ანუ გეგმის 99,85%-ი, რაც წარმოადგენს ექსპონანტების შესაძენად გადახდილ თანხას.

2015 წლის ა(ა)იპ „ქედის ისტორიულ მუზეუმს“-ს დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებები (არაფინანსური აქტივების ჩათვლით) განესაზღვრა 52200 ლარით, ამავე პერიოდში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 51659.31 ლარი, ანუ გეგმის 98,97%.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

შრომის ანაზღაურების მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 29040 ლარის ასიგნება, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 29040 ლარი, ანუ გეგმის 100 %-ი.

საქონელი და მომსახურეობის მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 23160 ლარი ასიგნირება, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 22619,31 ლარი, ანუ გეგმის 97,66%-ი, აქედან:

- _ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლით გაწეულია 11760 ლარი.

- _ საწვავის შეძენაზე გაწეულია 3089 ლარი.
- _ ელექტრო ენერჯის ხარჯზე გაწეულია 586,67 ლარი.
- _ ავტო ნაწილების შეძენაზე გახარჯულია 500 ლარი.
- _ მობილურის ნომრებზე გაწეულია ხარჯი 678,73 ლარი.
- _ ხაზის ტელეფონის მომსახურებაზე გაწეულია 126 ლარი.
- _ ჯეოსელისა და მაქთის ინტერნეტის მომსახურებისათვის დაიხარჯა 480,4 ლარი.
- _ საკანცელარიო საქონლის შესაძენად გაიხარჯა 770 ლარი.
- _ კომპიუტერული ტექნიკის შეძენას მოხმარდა 1100 ლარი.
- _ მივლინებების მუხლით გაწეულია 300 ლარი.
- _ დასუფთავების გადასახადზე გაიხარჯა 988,7 ლარი.
- _ სანიტარულ ჰიგიენაზე დაიხარჯა 160 ლარი.
- _ შემის შესაძენად გაიხარჯა 600 ლარი.
- _ გაზეთისა და წიგნების შესაძენად 315 ლარი.
- _ საბანკო საკომისიო ხარჯმა შეადგინა 39,79 ლარი.
- _ სტაჟირებისათვის გაიხარჯა 1125 ლარი, რომელიც მთლიანად მოხმარდა ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს დირექტორის ვაჟა ფარტენაძის დოქტურანტურის დაფინანსებას.

საანგარიშო პერიოდის პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის აუდიტით დადგენილია:

ა(ა)იპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს დირექტორის №01-11/5 ბრძანებით 2014 წლის 20 ნოემბერს შეიქმნა ა(ა)იპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ში მცირეფასიანი ინვენტარისა და სხვა მატერიალური ფასეულობების საინვენტარიზაციო კომისია, შემდეგი შემადგენლობით: 1) კომისიის თავჯდომარე - მაია სირაბიძე, მთავარი სპეციალისტი ექსპედიცია გამომცემლობის დარგში. 2) კომისიის თავჯდომარის მოადგილე - მაია დევაძე, ფონდების მცველი. 3) კომისიის წევრი - ლიანა ასამბაძე, საქმისმწარმოებელი. 4) კომისიის წევრი - სოფიო დევაძე, ექსკურსიამძღვრელი. 5) კომისიის წევრი - ამირან ბერიძე, მწე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“-ს მე-5 მუხლის მე-5 ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ მატერიალური პასუხისმგებელი პირი არ შეიძლება იყოს საინვენტარიზაციო კომისიის წევრი, შესაბამისად ამირან ბერიძე მწე არ შეიძლება ყოფილიყო კომისიის წევრი.

2014 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით ა(ა)იპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს საინვენტარიზაციო კომისიის მიერ შედგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს აქვს 2861 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების ოფისის აღჭურვილობა, მაშინ როცა მთავარ წიგნში აღნიშნულ ანგარიშზე 2319 ლარია ასახული, ასევე ინვენტარიზაციის მასალებით მოცემულია, რომ ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს აქვს 26207 ლარის სამუზეუმო ექსპონანტები და ავეჯი, მაშინ როცა მთავარ წიგნში ასახულია 27325 ლარი.

აღსანიშნავია, რომ აქტივების ცვეთის გაანგარიშებისათვის გამოიყენება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდი, რაც გულისხმობს ყოველწლიურად აქტივზე ერთი და იგივე ოდენობით ცვეთის დარიცხვას, რაც იწვევს იმას, რომ აქტივების საბალანსო ღირებულება ყოველწლიურად შედარებით სწრაფად მცირდება, ამიტომ უკეთესია გამოიყენებულ იქნას შემცირებადი ნაშთის მეთოდი, რაც ითვალისწინებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობას კერძოდ: ცვეთის კლებადი თანხების დარიცხვას აქტივების მოხმარების ვადის განმელობაში.

მონიტორინგით დადგინდა, რომ 2014 წლის მკაცრი აღივსის ჟურნალში (მთავარ წიგნში) არის უამრავი გადასწორება კორექტორით, რაც დაუშვებელია, ასევე რიგი მონაცემები შევსილია ფანქრით. ამასთან გაირკვა, რომ საინვენტარიზაციო კომისიის მიერ არაა საოფისე ინვენტარი დანომრილი, ასევე შენობის ფართი, რომელშიც განთავსებულია ა(ა)იპ „ქედის ისტორიულ მუზეუმი“ საინვენტარიზაციო დოკუმენტებში და ბალანსში ასახული არ არის, რომელზეც შესაბამისად არ მიმდინარეობს ცვეთის დარიცხვა, რაც გამოწვეულია იმით რომ შენობა გადაცემული არაა ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის განყოფილების მიერ და შესაბამისი დოკუმენტაცია შენობის გადაცემაზე ვერ იქნა მოძიებული.

გაფორმებული ხელშეკრულებების მონიტორინგი

მონიტორინგით გაირკვა, რომ 2014 წლის 10 იანვარს დაიდო №3 ხელშეკრულება, ა(ა)იპ „ქედის ისტორიულ მუზეუმ“-სა და შ.პ.ს. „ლუკოილ ჯორჯია“-ს შორის. ხელშეკრულების საგანი იყო საწვავის მიწოდება, ღირებულებით 3330 ლარი. მიმწოდებელმა საწვავი ტალონური სისტემით მიაწოდა შემსყიდველს 2014 წლის 29 იანვარს სრულად, რაზეც შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტი, ამასთან საწვავის ტალონები ინახება მუზეუმის დირექტორთან და ის ჩაბარებული არ არის მატერიალურ პასუხისმგებელ პირზე.

ა(ა)იპ „ქედის ისტორიულ მუზეუმ“-ში მძღოლის არარსებობის გამო საწვავის მიღებასა და ხარჯვას ახდენს დირექტორი ვაჟა ფარტენაძე, ის საგზაო ფურცელში, ასახავს გასვლის ადგილს, დაბრუნების ადგილსა და გავლილ კილომეტრაჟობას.

მონიტორინგით დადგინდა, რომ ყოველთვიურად ერთიდა იგივე ოდენობით და მიმართულებით ხარჯავს საწვავს, ასეთივე მდგომარეობაა 2015 წელსაც და არ ხდება საწვავის ხარჯვის მიზნობრიობის დასაბუთება, ამასთან უნდა აღნიშნოს, რომ 2015 წლის 5 იანვრის ა(ა)იპ „ქედის ისტორიულ მუზეუმი“-ს დირექტორის მიერ დაწერილია №01-11/1 ბრძანება, რომელშიც რიგი უზუსტობებია, კერძოდ 2015 წლის 5 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საწვავის ლიმიტი განსაზღვრულია 150 ლიტრით, მაშინ როცა უნდა ყოფილიყო მოცემული 150 ლიტრი ყოველთვიურად წლის მანძილზე, უფრო მეტიც ბრძანებაში არაა მოცემული, თუ ავტომანქანა რამდენს წვას ყოველ გავლილ 100 კილომეტრზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ა(ა)იპ „ქედის ისტორიულ მუზეუმ“-ს ყავს „უაზ-31514“ სახ.№BMS-949 ტიპის ავტომანქანა, საბალანსო ღირებულებით 382 ლარით, აღნიშნულ ავტომანქანის რემონტზე და სათადარიგო ნაწილების შეძენაზე 2014-2015 წლებში სულ გახარჯულია 2235 ლარი, მიუხედავად ასეთი მაღალი ხარჯისა მონიტორინგის პერიოდში გაირკვა, რომ მწყობრში არ აქვს ავტომანქანას გავლილი კილომეტრაჟობის მაჩვენებელი და საწვავის ჩამოწერა მის გარეშე ხდება, საწვავის ხარჯვისა და მისი ჩამოწერის მხრივ მთელი რიგი ხარვეზებია, რაც მაღალი რისკის შემცველია.

2014 წლის 15 იანვარს №2 ხელშეკრულება გაფორმდა შ.პ.ს. აჭარაპრესა“სა და ა(ა)იპ „ქედის ისტორიულ მუზეუმ“-ს შორის. მომწოდებელმა საქონელი მიაწოდა 2014 წლის 10 ივლისს 127,5 ლარის ღირებულების, რაზეც არსებობს სასაქონლო ზედნადები, მაგრამ არაა შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი, რასაც ხელშეკრულება ითვალისწინებდა.

პრემიის გაცემის მონიტორინგი.

მუშაკთა პრემირებისათვის 2014 წელს ა(ა)იპ „ქედის ისტორიულ მუზეუმ“-ს ბიუჯეტით დამტკიცებული ქონდა 3000 ლარი. მონიტორინგით დადგინდა, რომ ა(ა)იპ „ქედის ისტორიულ მუზეუმი“-ს დირექტორმა ვ. ფარტენაძემ 2014 წლის დეკემბრის თვეში ბრძანებისა და პარტნიორთან შეთანხმების გარეშე გასცა ყველა თანამშრომელზე 100 პროცენტის პრემია, უფრო მეტიც ჩარიცხული პრემიის ოდენობამ 3250 ლარი შეადგინა, ნაცვლად ბიუჯეტით დამტკიცებული 3000 ლარისა, აღნიშნული გამოწვეული იყო იმით,

რომ ფოტოვიდეო რეპორტიორი მალხაზ ბერიძე ხელშეკრულებითაა აყვანილი და ბიუჯეტით გათვალისწინებული არ ყოფილა მასზე პრემიის გაცემა, თუმცა მას 250 ლარი გასცეს.

ა(ა)იპ „ქედის ისტორიულ მუზეუმ“-ში შექმნილი არაა საპრემიო კომისია, შესაბამისად პრემიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია ერთპიროვნულად, რაც დიდი რისკის შემცველია.

მობილური ტელეფონების ნომრებზე ჩარიცხული თანხების მონიტორინგი

ა(ა)იპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს დირექტორმა ვაჟა ფარტენაძემ 2014 წლის 15 იანვარს გამოსცა №01-11/3 ბრძანება, ა(ა)იპ „ქედის ისტორიულ მუზეუმი“-ს მოსამსახურეების მობილური ტელეფონით სარგებლობის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ. ბრძანებაში ასახული არაა, თუ რომელ თანამშრომლებს ერიცხებათ ტელეფონის ნომრებზე ანგარიში. მონიტორინგით გაირკვა, რომ ტელეფონის ნომრებზე თანხა ერიცხება დირექტორ ვაჟა ფარტენაძეს 30 ლარი, ბუღალტერ მზია სირაბიძეს 25 ლარი და მთავარ სპეციალისტ მაია სირაბიძეს 10 ლარი, სულ თვიური ლიმიტი სამ ნომერზე 65 ლარს შეადგენს, მაშინ, როცა ა.(ა).ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს ყავს 14 თანამშრომელი, მათი ტელეფონების სარგებლობაზე არცერთი ლარი ჩარიცხული არ არის. 2014 წლის მანძილზე აღნიშნული პირების ტელეფონის ნომრებზე საუბრისათვის ჩარიცხულია 625,94 ლარი, ხოლო 2015 წელს 678,73 ლარი, გარდა ამისა ტელეფონის ნომრებზე ინტერნეტის მომსახურებისათვის გახარჯულია ორი წლის მანძილზე 1030,81 ლარი, სულ ტელეფონის ნომრებზე სასაუბროდ და ტელეფონის ნომრებზე ინტერნეტის მომსახურებისათვის ორი წლის მანძილზე გახარჯულია 2335,48 ლარი.

ა(ა)იპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს „კადრების მომზადება გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯების მონიტორინგი.

2015 წლის 15 ოქტომბერს ა(ა)იპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-სა და სსიპ – „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს შორის გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება №14, რაც ითვალისწინებდა ა(ა)იპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს „კადრების მომზადება გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას“, ღირებულებით 1125 ლარი. ასეთივე ხელშეკრულება გაფორმდა 2016 წლის 14 მარტს, მსგავსი პირობებით 2250 ლარზე. 2015 და 2016 წლებში აღნიშნული თანხები სრულად მოხმარდა ა(ა)იპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს დირექტორის ვაჟა ფარტენაძის დოქტურანტურის სწავლების დაფინანსებას, კიდევ მეტი, მან 2016 წელს სამი თვის მანძილზე ოთხ შტატგარეშე მომუშავეს არ გაუფორმა ხელშეკრულება და შესაბამისად მოხდა ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში ეკონომია სულ 2490 ლარი, აღნიშნული ეკონომიის ხარჯზე ვაჟა ფარტენაძემ მოითხოვა გამგეობისაგან 2250 ლარის გადატანა კადრების მომზადება - გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტაჟირებასთან დაკავშირებულ ხარჯში (2016 წლის 25 მარტს №01-18/5 წერილით), რითაც მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მაგრამ მისი ხარჯვის მიზნობრიობაზე დირექტორს ვაჟა ფარტენაძეს უნდა ეზრუნა, მას ბიუჯეტში გაწერილი ქონდა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის თანხა და მას შეეძლო ამ თანხის მიზნობრივი გამოყენება, თუმცა მან ბოროტად გამოიყენა მისი უფლებამოსილება, ერთპიროვნულად გადაწყვიტა მისი დოქტურანტურაში სწავლის დაფინანსება და გამოყოფილი თანხა არ მოახმარა კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასთან და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას.

ობიექტზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. ა(ა)იპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს დირექტორმა და ბუღალტერმა:

– მკაცრად დაიცვას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანება “საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის” დამტკიცების შესახებ.

– ა.(ა).ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს ხელმძღვანელობამ პარტნიორთან შეთანხმებით შეიმუშაოს მუზეუმში ექსპონირებული ნივთებისა და კოლექციების დათვალიერებისათვის გადასახადის დაწესების წესი.

– ა.(ა).ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს დირექტორის ბრძანებით განისაზღვროს ავტომანქნის მიერ გავლილ ყოველ 100 კილომეტრზე გახარჯული საწვავის ოდენობის ნორმა და საწვავის ჩამოწერა მოხდეს ავტომანქნის გავლილი კილომეტრაჟობის რეალური მაჩვენებლების შესაბამისად.

– დაიცვას დადებული ხელშეკრულების პირობები, საქონლისა და მომსახურების მიღებისას მიღება-ჩაბარების დოკუმენტის უნაკლოდ გაფორმების შემდეგ მოახდინოს თანხების ანაზღაურება.

– გონივრულ ვადაში მოითხოვოს შენობის ფართის ა.(ა).ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს ბალანსზე გადაცემა.

2. ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის განყოფილებამ (თ. ბერიძე) უმოკლეს ვადაში დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში და ბალანსიდან-ბალანსზე გადასცეს შენობის ის ნაწილი რომელზედაც მუზეუმია განთავსებული.

ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლის“ მონიტორინგი, სადაც მონიტორინგით გამოვლინდა შემდეგი, კერძოდ:

წარმოდგენილი ბალანსის მიხედვით ა.(ა).ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლის“- 2014 წლის დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნება (არაფინანსური აქტივების ჩათვლით) განისაზღვრა 133140 ლარით, ამავე პერიოდში გაწეულია საკასო ხარჯი 132870.59 ლარის ოდენობით, ანუ გეგმა შესრულებულია 99.79%-ით.

მუხლობრივ ჭრილში 2014 წლის შესრულება შემდეგნაირია:

შრომის ანაზღაურების მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 91500 ლარის ასიგნება, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 94389.21 ლარი, ანუ გეგმის 103.15%-ი, აღნიშნული მეტობა 2889.21 ლარი გადმოტანილია საქონელი და მომსახურების მუხლიდან, რითაც თანამდებობრივი სარგოს მუხლი გაზრდილია გეგმასთან შედარებით 864.21 ლარით, ხოლო გაცემული პრემია გაზრდილია გეგმასთან შედარებით 2025 ლარით.

საქონელი და მომსახურების მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 35740 ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 32581,38 ლარი, ანუ გეგმის 91,16 %-ი, საიდანაც _შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლით გაწეულ იქნა 3000 ლარი.

_ მივლინებაზე გახარჯულია 2290,09 ლარი.

_ ოფისის ხარჯების მუხლით დაიხარჯა 18352,46 ლარი.

_ რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლით დაიხარჯა 2000 ლარი.

_ ტრანსპორტის ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვისათვის გახარჯულია 6938,83 ლარი.

არაფინანსური აქტივების მუხლით გეგმით გათვალისწინებული 5900 ლარიდან ათვისებულია 5900 ლარი, ანუ გეგმის 100 %-ი. 5900 ლარი გამოყენებულია არასაცხოვრებელი შენობების მუხლით, რაც გამოიხატება ა.(ა).ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლის“ დარბაზის სარემონტო სამუშაოების შესრულებაში.

2015 წლის ა.(ა).ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლის“ ბალანსის მიხედვით დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნება (არაფინანსური აქტივების ჩათვლით) განისაზღვრა 129800 ლარით, ამავე პერიოდში გაწეულია საკასო ხარჯი 117009 ლარის ოდენობით, ანუ გეგმა შესრულებულია 90.15 %-ით.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

შრომის ანაზღაურების მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 87000 ლარის ასიგნება, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 85720.46 ლარი, ანუ გეგმის 98.52 %-ი.

საქონელი და მომსახურების მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 35300 ლარი, გაწეულია საკასო ხარჯი 25863.58 ლარი, ანუ გეგმის 73.26 %-ი, აქედან:

- _ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლით გაწეულია 3000 ლარი.
- _ მივლინებაზე გახარჯულია 1405 ლარი.
- _ ოფისის ხარჯების მუხლით გაწეულია 15617.71 ლარი.
- _ სამედიცინო ხარჯებზე 131,85 ლარი.
- _ რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლით გაწეულია 745 ლარი.
- _ ტრანსპორტის ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვისათვის გახარჯულია 4964,02 ლარი.

არაფინანსური აქტივების მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 7500 ლარი, ხოლო გახარჯულია 5425 ლარი, ანუ გეგმის 72.33 %-ი. 5425 ლარიდან 2500 ლარი გახარჯულია ტენისის მაგიდაზე დასამონტაჟებელი რობიპონდის შესაძენად და 2925 ლარი სპორტსკოლის შენობაში ფანჯრების დამცავი გისოსების შეძენისათვის.

გაფორმებული ხელშეკრულებების მონიტორინგი

მონიტორინგით დადგინდა, რომ 2015 წელს ა.(ა).ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლის“-მიერ დაიდო სულ 26 ხელშეკრულება სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან სულ 20651,1 ლარზე, საიდანაც ათვისებულია 19559 ლარი. თითოეული ხელშეკრულების ნომერი, ღირებულება, გადახდილი თანხის ოდენობა, მომწოდებლის დასახელება იხილეთ დანართ №1-ში.

დანართი #1						
ganxorcielebuli saxelmwifo Sesyidvebis Sesaxeb						
#	შესყიდული საქონლის ან მომსახურების დასახელება	შესყიდვის საშუალება	მომწოდებლის დასახელება	ხელშეკრულება	ხელშეკრულების ღირებულება	ანაზღაურებული თანხა
				№	თანხა	თანხა
1	2	3	4	5	6	7
1	შიგა საქალაქო კავშირი	E	სილქნეტი	1	300	252
2	მობილური კავშირი	KT	ჯეოსელი	2	1200	932,94
3	საწვავი	KT	შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“	3	2361,6	2315
4	კომპიუტერული ტექნიკა და კარტრიჯები	E	შპს „ივიჯი“	4	835	771,5

5	საკანცელარიო საქონელი	E	შპს „e 2010“	5	1000	454,4
6	sameurneo saqoneli	E	i/m mirza gaTenaZe	6	1760	1677,5
7	სანიტარულ-ჰიგიენური საქონელი	E	ი/მ ემზარ გორგაძე	7	1000	980
8	კორესპოდენციის შტამპი ავტომატზე	E	შპს „პოლიგრაფსერვისი“	8	34	34
9	საოფისე ინვენტარი	E	შპს „ე 2010“	9	1330	1330
10	ავტომობილის სათადარიგო ნაწილები	E	შპს „პირამიდა 2003“	10	285	285
11	ავტომობილის სათადარიგო ნაწილები	E	შპს „მიგა“	11	1354	1354
12	აბრა ჩარჩოთი	E	შპს „პოლიგრაფსერვისი“	12	121	121
13	სპორტული ინვენტარი	E	შპს „ე 2010“	13	360,5	360,5
14	სპორტული ინვენტარი	E	შპს „ახალი სტილი“	14	745	745
15	ავტომობილის სათადარიგო ნაწილები	E	შპს „თედი 2011“	15	295	295
16	სპორტული ინვენტარი	E	შპს „ე 2010“	16	245	245
17	ავტომობილის სათადარიგო ნაწილები	E	შპს „თედი 2011“	17	125	125
18	დიოდური პროექტორები	E	შპს „ეკო ნათება“	18	500	500
19	მედიკამენტები და სამედიცინო ინვენტარი	E	შპს „დაისი“	19	150	131,85
20	ავტომობილის სათადარიგო ნაწილები	E	შპს „პირამიდა 2003“	20	70	70
21	ელექტრო ტენები	E	შპს „ეკო ნათება“	21	135	135
22	ავტომობილის სათადარიგო ნაწილები	E	შპს „მიგა“	22	470	470

23	რობოპონგი	E	ი/მ ზებურ ბერიძე	23	2500	2500
24	სპორტული ინვენტარი	E	შპს „ე 2010“	24	500	500
25	მინის დამცავი გისოსები	E	შპს „მიგა“	25	2925	2925
26	ავტომობილის სათადარიგო ნაწილები	E	შპს „პირამიდა 2003“	26	50	50
sum					20651	19559

ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლის“- მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მას ბალანსზე ყავს ერთი ერთეული მიკრო ავტობუსი „FORD TRANZITI“ სახ:№YEA-787, 2001 წელს გამოშვებული, რომლისთვისაც 2015 წლის საანგარიშო პერიოდში საწვავის ლიმიტებთან დაკავშირებით გამოცემულია ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლის“ დირექტორის (ა. გორგილაძე) 2015 წლის 5 იანვრის №01-02/1 ბრძანება, რომლის მიხედვით ავტო მანქანა „FORD TRANZITI“ სახ:№YEA-787-ს თვეში განესაზღვრა 160 ლიტრი დიზელი, მაგრამ ბრძანებაში არ არის მითითებული 100 კმ-ზე რამდენ ლიტრ დიზელს მოიხმარს ავტო მანქანა.

2014 წლის საბუღალტრო ჩანაწერების მიხედვით საწვავის (დიზელი) წლიურმა ხარჯმა შეადგინა 3441,8 ლარი, ხოლო 2015 წლის საანგარიშო პერიოდში საწვავის ხარჯი 2014 წელთან შედარებით შემცირდა 1126,8 ლარით და შეადგინა 2315 ლარი. საწვავის ჩამოწერას არ ახდენენ გავლილი კილომეტრების მიხედვით, რაც რისკის შემცველია.

ავტომანქანის რემონტისათვის 2014 წელს გახარჯულ იქნა 3453 ლარი, ხოლო 2015 წელს 2649 ლარი, სულ ორი წლის მანძილზე ავტომანქანის რემონტისათვის გაიხარჯა 6102 ლარი, მაშინ როცა ავტომობილის საბალანსო ღირებულება 9570 ლარს შეადგენს და მასზე გაწეული სარემონტო სამუშაოები ორი წლის მანძილზე ავტომანქანის ღირებულების 65 პროცენტს შეადგენს, რაც მაღალი რისკის მაჩვენებელია. თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ 2015 წელს შვიდ შემთხვევაში ავტომანქანის სათადარიგო ნაწილების შეძენაზე 2649 ლარი იქნა გახარჯული.

მონიტორინგის პერიოდში გაირკვა, რომ ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლის“ დირექტორის 2015 წლის 1 ოქტომბრის №01-02/07 ბრძანებით შექმნილია ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლა“-ში მცირეფასიანი ინვენტარისა და სხვა მატერიალური ფასეულობების საინვენტარიზაციო აღწერილობის კომისია, რომლის წევრებიც არიან: კომისიის თავჯდომარედ-სკოლის დირექტორის მოადგილე გივი ბარამიძე, კომისიის თავჯდომარის მოადგილედ მეთოდისტ კონსულტანტი ნაზიმ დევაძე, კომისიის წევრად სკოლის მწე აკაკი სურმანიძე. აღნიშნული ბრძანებით დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“-ს მე-5 მუხლის მე-5 ქვეპუნქტი, რაც ითვალისწინებს, რომ მატერიალური პასუხისმგებელი პირი არ შეიძლება იყოს საინვენტარიზაციო კომისიის წევრი, შესაბამისად მწედ მომუშავე აკაკი სურმანიძე არ შეიძლება ყოფილიყო კომისიის წევრი.

ასევე, მონიტორინგის დროს დადგინდა, რომ არ არის გაკეთებული სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე საინვენტარო ნომერი და მოსაწესრიგებელია საბუღალტრო დოკუმენტაცია, რომელიც გულისხმობს თვის გასვლის შემდეგ ყველა მემორიალური

ორდერის შესაბამის დოკუმენტებთან ერთად დალაგებას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აკინძვას, ყდაზე უნდა დაეწეროს ორგანიზაციის სრული დასახელება, საანგარიშგებო პერიოდი (წელი და თვე), მემორიალური ორდერის საწყისი და საბოლოო ნომრები, აღნიშნული მოთხოვნები ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლის“ ბუღალტრის (ჯ. ბერიძე) მიერ სრულად არაა გაკეთებული. რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების 5-ე მუხლის მე-13 პუნქტი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 დეკემბრის №605 ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

მუშაკთა მივლინების მონიტორინგი

ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლა“-ში 2015 წლისათვის შექმნილია თანამშრომელთა მივლინების ბრძანების წიგნი, რომლის მიხედვითაც 2015 წლის მანძილზე თანამშრომლები სულ 25 ჯერ მივლინებული იყვნენ სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად, რაზეც გაიხარჯა სულ 1405 ლარი, მივლინებული პირების ნუსხა, მივლინების ადგილი და დაფინანსების ოდენობა იხილეთ დანართ№2-ში.

დანართი №2

მივლინების გაწეული ხარჯის შესახებ

#	მივლინებული პირის სახელი გვარი და თანამდებობა	მივლინების შესახებ ბრძანება		ანაზღაურებული მივლინების თანხა				
		ნომერი	მივლინების დანიშნულების ადგილი	სულ მიღებული თანხა	მგზავრობა	დღიური	ღამისთევა	
1	2	3	4	5	6	7	8	
ქვეყნის შიგნით								
1	არჩილ გორგილაძე დირექტორი	1	ქ.ბათუმი	15		15		
2	ჯუმბერ ბერიძე ბუღალტერი	2	ქ.ბათუმი	15		15		
3	ჯუმბერ ბერიძე ბუღალტერი	3	ქ.ბათუმი	15		15		
4	ლევან სურმანიძე სპეციალისტი	4	ქ.ბათუმი	15		15		
5	ლევან სურმანიძე სპეციალისტი	6	ქ.ბათუმი	15		15		
6	ჯუმბერ ბერიძე ბუღალტერი	7	ქ.ბათუმი	15		15		
7	იმედა მახაჭაძე	11	ქ.თბილისი	215	40	75	100	

	მწვრთნელი							
8	ნიკოლას კასიტერიდი მწვრთნელი	12	q.Tbilisi	185	40	45	100	
9	იოსებ დიასამიძე მწვრთნელი	13	q.Tbilisi	455				
10	თენგიზ აბაშიძე მძღოლი	17	ქ.ბათუმი	15		15		
11	არჩილ გორგილაძე დირექტორი	18	ქ.თბილისი	65	20	45		
12	თენგიზ აბაშიძე მძღოლი	20	ქ.ბათუმი	15		15		
13	ჯუმბერ ბერიძე ბუღალტერი	46	ქ.თბილისი	110	50	60		
14	ლევან სურმანიძე სპეციალისტი	48	ქ.ბათუმი	15		15		
15	ლევან სურმანიძე სპეციალისტი	49	ქ.ბათუმი	15		15		
16	თენგიზ აბაშიძე მძღოლი	56	ქ.ბათუმი	15		15		
17	ლევან სურმანიძე სპეციალისტი	57	ქ.ბათუმი	15		15		
18	როსტომ ბერიძე დირექტორის მოადგილე	59	ქ.ბათუმი	15		15		
19	როსტომ ბერიძე დირექტორის მოადგილე	60	ქ.ბათუმი	15		15		
20	თენგიზ აბაშიძე მძღოლი	61	ქ.ბათუმი	15		15		
21	როსტომ ბერიძე დირექტორის მოადგილე	63	ქ.ბათუმი	15		15		
22	თენგიზ აბაშიძე მძღოლი	64	ქ.ბათუმი	15		15		
23	ნიკოლას კასიტერიდი მწვრთნელი	65	ქ.ბათუმი	45		45		

24	ზაზა ლოღობერიძე მწვრთნელი	66	ქ.ბათუმი	45		45		
25	არჩილ გორგილაძე დირექტორი	67	ქ.ბათუმი	30		30		
ჯამი				1405				

ბრძანების წიგნში ზოგიერთ შემთხვევაში არაა კონკრეტულად მოცემული მივლინების საფუძველი, ასე მაგალითად 2015 წლის 24 ივნისს თენგიზ აბაშიძე მძღოლი მივლინებული იყო ქალაქ ბათუმში სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლის“ დირექტორის №01-06/17 ბრძანების შესაბამისად, მაგრამ რა სამსახურეობრივი მოვალეობა უნდა შეესრულებინა არაა მოცემული ბრძანებაში. სამივლინებო ბარათით გაირკვა, რომ თენგიზ აბაშიძე იმყოფებოდა კლუბ შუქურაში, ანუ ქობულეთში.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლის“ დირექტორის №01-06/13 ბრძანების შესაბამისად მივლინებულ იქნა 2015 წლის 22 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით 3 (სამი) დღით ქედის სასპორტო სკოლის კიკბოქსის მწვრთნელი იოსებ დიასამიძე ქ. თბილისში (გლდანში), საქართველოს ჩემპიონატზე კიკბოქსში. ხარჯების ასანაზღაურებლად ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლის“ მიერ გახარჯულ იქნა 455 ლარი, მაგრამ მონიტორინგის პერიოდში აღნიშნული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ მოიძებნა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ორგანიზაციის ბუღალტრის განმარტებით დოკუმენტაცია გაბნეული იქნა სხვა მასალებში. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოიძებნა და არ დადგინდა მივლინების დოკუმენტაციის მოძიება, მაშინ აღნიშნული თანხა 455 ლარის დაბრუნება უნდა მოხდეს ორგანიზაციის ანგარიშზე პასუხისმგებელი პირების დირექტორისა და ბუღალტრის მიერ.

საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცულობისა და საკადრო პოლიტიკის მდგომარეობა

ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლა“-ში 2014 წელს დამტკიცებული იყო 28 საშტატო ერთეული სახელფასო ფონდით 91500 ლარი. 2014 წლის მანძილზე მუშა მოსამსახურეთა მიმართ დარიცხული შრომის ანაზღაურება შეადგენს 87864,21 ლარს, ხოლო გაცემული პრემიის ოდენობა 6525 ლარს, სულ თანამშრომლებს ხელფასისა და პრემიის სახით მიღებული აქვთ 94389,21 ლარი.

ხოლო 2015 წელს დამტკიცებულია 28 საშტატო ერთეული სახელფასო ფონდით 87000 ლარი. 2015 წლის განმავლობაში მუშა მოსამსახურეთა მიმართ დარიცხული შრომის ანაზღაურება შეადგენს 85719 ლარს, რაც 2014 წელთან შედარებით 8670,21 ლარით ნაკლებია.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლა“-ში 2016 წელს დამტკიცებულია 27 შტატი და 5 შტატგარეშე თანამშრომელი, რომელსაც დამტკიცებული აქვს 93605 ლარის სახელფასო ფონდი, საიდანაც 7 თვეში ათვისებულია 45590 ლარი, რაც სახელფასო ფონდის 48,78%-ს შეადგენს. 45590 ლარიდან 3550 ლარი წარმოადგენს პრემიის მუხლით გაცემულ სარგოს.

2015 წელს ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლა“-ში მუშაობდა 11 მწვრთნელი, აქედან 8 მწვრთნელი დასაქმებული იყო ადგილზე სპორტ სკოლაში, ხოლო 3 მწვრთნელი მუშაობდა ქედის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლებში და ყავდათ ჯგუფები. კერძოდ: ნესტანი მახაჭაძე ჭადრაკის მწვრთნელი მუშაობს პირველი მაისის საჯარო სკოლაში, ლიანა თედორაძე ასევე ჭადრაკის მწვრთნელი მუშაობს წონიარისის საჯარო სკოლაში და იმედა მახაჭაძე მაგიდის ჩოგბურთის მწვრთნელი მუშაობს ვაიოს საჯარო სკოლაში.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლა“-ში შექმნილი წრეების მუშაობის განრიგი, რაც დამტკიცებულია დირექტორის მიერ. აღნიშნული მოცემულია ცხრილის მიხედვით, კერძოდ:

2016 წლის ქედის სასპორტო სკოლის წრეების ვარჯიშის განრიგი

№	სახელი, გვარი	სპორტის სახეობა	მეცადინეობის ადგილი	კვირის დღეები							წრეში გაერთიანებულ მისწველეთა ოდენობა	
				ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა		
1	ირაკლი ბარამიძე	ფეხბურთი	ცენტრალური სტადიონი	16:00-17:00			16:00-17:00			12:00-13:00		18
2	ზურაბ დიასამიძე	ფეხბურთი	ცენტრალური სტადიონი				16:00-17:00	16:00-17:00			12:00-13:00	17
3	სულხან ჯიჯავაძე	თავ. ჭიდაობა	ქედის სასპორტო სკოლის დარბაზი	15:30-17:00	15:30-17:00	15:30-17:00	15:30-17:00	15:30-17:00				16
4	ზაზა ლოლობერიძე	თავ. ჭიდაობა	ქედის სასპორტო სკოლის დარბაზი	15:00-16:30	15:00-16:30	15:00-16:30	15:00-16:30	15:00-16:30				16
5	ზაზა თურმანიძე	ქართ. ჭიდაობა	ქედის სასპორტო სკოლის დარბაზი	16:00-17:30	16:00-17:30	16:00-17:30	16:00-17:30	16:00-17:30				10
6	იოსებ დიასამიძე	კიკბოქსინგი	ქედის სასპორტო სკოლის დარბაზი	16:00-18:00		16:00-18:00			16:00-18:00			15
7	ლიანა თედორაძე	ჭადრაკი	წონიარის საჯარო სკოლა	12:30-14:00		12:30-14:00			12:30-14:00			15
8	ნესტან მახაჭაძე	ჭადრაკი	პირველი მაისის საჯარო სკოლა	15:00-17:00	15:00-17:00	15:00-17:00			15:00-17:00			14
9	გიორგი ზოიძე	ფრენბურთი	ქედის სასპორტო სკოლის დარბაზი	16:00-17:00					15:00-16:00		16:00-17:00	10
10	ტარიელ ქაღიძე	მშვილდოსნობა	ქედის სასპორტო სკოლის დარბაზი	15:00-16:00	15:00-16:00	15:00-16:00						8

11	იმედა მახაჭაძე	მაგიდის ჩოგბურთი	ვაიოს საჯარო სკოლა		15:30- 17:00	15:30- 17:00	15:30- 17:00	15:30- 17:00			14
12	ვაჟა დიასამიძე	კალათბურთი	ქედის სასპორტო სკოლის დარბაზი		16:00- 17:00		15:00- 16:00		11:00- 12:00		11
13	ბათუ ნაკაშიძე	კალათბურთი	ქედის სასპორტო სკოლის დარბაზი		16:00- 17:00		15:00- 16:00		11:00- 12:00		15

მწვრთნელებს სამუშაო გეგმები შედგენილი აქვთ 2014 წლის 25 სექტემბრიდან 2015 წლის 15 ივნისამდე, შემდეგ მწვრთნელები გადიან შვებულებაში და ბრუნდებიან 7 სექტემბერს, ასე რომ 15 ივნისიდან 25 სექტემბრამდე მწვრთნელები ფაქტიურად წვრთნებს აღარ ატარებენ, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როცა ტურნირია ჩანიშნული მაშინ მიმდინარეობს მეცადინეობები.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლა“-ში თავისუფალი ჭიდაობის მთავარ მწვრთნელად მუშაობდა და ამჟამადც აგრძელებს მუშაობას ნიკოლას კასიტერიდი, რომელიც ამავდროულად ქედის ფეხბურთის გუნდ „ბეთლემი“-ში ამჟამად გუნდის დირექტორია, ასევე ირაკლი ბარამიძე სასპორტო სკოლაში არის ფეხბურთის მწვრთნელი და ამავდროულად არის ქედის ფეხბურთის გუნდ „ბეთლემი“-ს დამხმარე მწვრთნელი. აღნიშნული პიროვნებები ორივე ადგილზე სრულ განაკვეთზე მუშაობენ.

ობიექტზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლის“ დირექტორმა:

– აიყვანოს კონტროლზე და დაავალოს ბუღალტერს, რომ დროულად უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ მე-5 მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნები, რაც ითვალისწინებს თვის გასვლის შემდეგ ყველა მემორიალური ორდერის შესაბამის დოკუმენტებთან ერთად ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგებასა და აკინძვას.

– მკაცრად დაიცვას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანება “საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის” დამტკიცების შესახებ, რომელითაც იკრძალება საინვენტარიზაციო კომისიაში მატერიალური პასუხისმგებელი პირის დასაქმება.

– ყოველთვიურად მოახდინოს საწვავის ინვენტარიზაცია და ბრძანებით განისაზღვროს, თუ რამდენ საწვავს მოიხმარს ავტომანქანა „FORD TRANZITI“ სახ:№YEA-787-ი ყოველ გავლილ ას კილომეტრზე, ამასთან საწვავის ჩამოწერა აწარმოოს გარბენილი კილომეტრების მიხედვით.

– მუშაკების მივლინების დროს ბრძანების წიგნში ნათლად ჩამოაყალიბოს მივლინების საფუძველი და ის სამსახურეობრივი ვალდებულება რისთვისაც მივლინებულია თანამშრომელი.

– მომდევნო წლისათვის შეიმუშაოს ისეთი სამუშაო გეგმა, რომლითაც როგორც მწვრთნელები ასევე ბავშვები წლის განმავლობაში სრულყოფილად იქნებიან დაკავებულები წვრთნებით. ამასთან, მკაცრ კონტროლზე აიყვანოს თითოეული მწვრთნელის მუშაობის გრაფიკი და ისე დაგეგმოს პედაგოგთა სამუშაო საათები, რომ მათი სპორტსკოლაში ჩასატარებელი მეცადინეობების საათები არ ემთხვეოდეს სხვა ადგილზე მუშაობის საათებს.

– უზრუნველყოს მივლინებაზე გახარჯული 455 ლარის ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოძიება, ან კანონის შესაბამისად თავისი ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის ამოღება.

3) შ.პ.ს „ქედის წყალკანალი“-ს აუდიტი, სადაც მონიტორინგით გამოვლინდა შემდეგი, კერძოდ:

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შ.პ.ს „ქედის წყალკანალს“ ნაშთად ერიცხებოდა ნაღდი ფული რეზიდენტ ბანკში 2875,77 ლარი, მას 6 თვის მანძილზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული აქვს 69136.94 ლარის სუბსიდია, ასევე საწარმოს საკუთარი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული აქვს 731,85 ლარის შემოსავალი, სულ მთლიანმა ფულადმა რესურსმა მ/წლის 6 თვეში შეადგინა 72744.56 ლარი.

2016 წლის პირველ 6 თვეში ხარჯი შემდეგნაირადაა გადანაწილებული, კერძოდ: საშტატო ერთეულით გათვალისწინებულ მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 19100 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 30511,88 ლარი, მივლინებებზე გაიხარჯა 168 ლარი, საკანცელარიო საქონელზე 231,6 ლარი, მცირეფასიან საოფისე ინვენტარზე 12331.21 ლარი, კავშირგაბმულობის მომსახურებაზე 428,7 ლარი, საფოსტო მომსახურებაზე 21,1 ლარი, ელექტრო ენერჯის ხარჯზე 223,1 ლარი, საკანალიზაციო სისტემის რემონტზე გახარჯულია 372,3 ლარი, დასუფთავების გადასახადზე 162,33 ლარი, რბილი ივენტარისა და უნიფორმის შეძენაზე 2740 ლარი, საწვავის შეძენაზე 4081.5 ლარი, მიმდინარე ავტო მანქნის რემონტზე 1368,5 ლარი, საბანკო მომსახურებაზე 51,15 ლარი, სხვა დანარჩენ მომსახურებაზე 57,85 ლარი. სულ 6 თვის მთლიანმა ხარჯმა შეადგინა 71849,22 ლარი.

შ.პ.ს „ქედის წყალკანალი“-ს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები და მატერიალური ფასეულობები 2016 წლის 01 ივლისისათვის შეადგენს 874490,90 ლარს, კერძოდ:

- 11) მატერიალური მარაგი არის 12638,33 ლარი.
- 12) მიწის ნაკვეთი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 472449,3 ლარი.
- 13) ადმინისტრაციული შენობა, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 19221,19 ლარი.
- 14) ნაგებობები (წყალსადენის აუზები და ქები), ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 15672,64 ლარი.
- 15) წყალმომარაგების სისტემები, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 331907,40 ლარი.
- 16) მანქანა დანადგარები, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 5445,56 ლარი.
- 17) ოფისის აღჭურვილობა, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 874,33 ლარი.
- 18) კომპიუტერული ტექნიკა, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 1727,21 ლარი.
- 19) ავეჯი და სხვა ინვენტარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 3715,44 ლარი.
- 20) ტრანსპორტი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 10707 ლარი.
- 21) საწვავი 127,39 ლარის.

ასევე დადგინდა, რომ შ.პ.ს „ქედის წყალკანალს“ გააჩნია საკუთრებაში ერთი ერთეული მსუბუქი ავტომანქანა UAZ-ი სახN^o GQG-808, გამოშვებული 2005 წელს, რომლის

ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 2785,28 ლარს და ერთი ერთეული მინი ბულდოზერი, რომლის ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 7602,24 ლარს.

შ.პ.ს „ქედის წყალკანალი“-ს საკუთრებაში არსებული მინი ბულდოზერი, არ მუშაობს, რადგანაც მას ჭირდება ორივე მხარეს შალანგების შეცვლა და რემონტი, რომ ვარგისი გახდეს სამუშაო პროცესისათვის.

რაც შეეხება ბუღალტრულ დოკუმენტების არსებობას, ისინი არის მემორიალური ორდერების მიხედვით დალაგებული, მაგრამ არაა აკინძული და დანომრილი, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, მე-5 მუხლის მე-13 პუნქტი.

შ.პ.ს „ქედის წყალკანალი“-ს ბუღალტერი ბენზინის ჩამოწერას ახდენს დადგენილი ლიმიტით (100 კმ-ზე 17 ლიტრი), ხდება გავლილი კილომეტრობის ჩვენება საგზაო ფურცელზე ისე, რომ ავტომანქანაზე არ მუშაობს გავლილი კილომეტრობის მაჩვენებელი (სპიდომეტრი). აღნიშნულის თაობაზე წყალკანალის ხელმძღვანელობას რეკომენდაციები ადრე შემოწმების დროს მიეცა, მაგრამ მათ ჩვენს მიერ მიცემული რეკომენდაციები არ გაითვალისწინეს და ბენზინის ჩამოწერას ახდენენ კანონის დარღვევით, რაც დიდი რისკის შემცველია.

2016 წლის 6 თვეში საწვავის ფაქტიურმა მიღებამ შეადგინა 3925 ლარი, კერძოდ თებერვალში მიღებულია 980 ლარის საწვავი, აპრილში 770 ლარის საწვავი, ივნისში 2175 ლარის საწვავი, საიდანაც გახარჯულია სულ 3797,61 ლარის საწვავი და ნაშთად დარჩენილია 127,39 ლარის საწვავი.

მობილური ტელეფონების ნომრებზე ჩარიცხული თანხების მონიტორინგი

შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-სა და შ.პ.ს. „ჯეოსელი“-ს შორის 2016 წლის 01 თებერვალს გაფორმდა №2 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით შ.პ.ს. „ჯეოსელი“-მა ხელშეკრულების შესაბამისად მიაწოდა 39 ცალი მობილურის ნომერი, აქედან შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს დირექტორმა თავის მუშაკებზე გასცა 32 ცალი მობილურის ნომერი, ხოლო 7 ცალი მობილურის ნომერი დატოვა გაუცემელი, მიუხედავად ამისა აღნიშნულ 7 ნომრებზე დავალიანების თანხა მიმდინარე წლის ექვს თვეში ირიცხება 304,65 ლარი კერძოდ:

- 1) 577-22-58-60 დავალიანების თანხა ირიცხება 50,58 ლარი.
- 2) 577-22-58-61 დავალიანება ირიცხება 42,18 ლარი
- 3) 577-22-58-68 დავალიანება ირიცხება 72,72 ლარი
- 4) 577-22-58-77 დავალიანება ირიცხება 28,15 ლარი.
- 5) 577-22-58-78 დავალიანება ირიცხება 51,13 ლარი.
- 6) 577-22-58-79 დავალიანება ირიცხება 47,54 ლარი.
- 7) 577-54-45-32 დავალიანება ირიცხება 52,35 ლარი.

ამასთან დადგინდა, რომ შ.პ.ს. ქედის წყალკანალი“-ში მომუშავეთა რიცხოვნობა სულ შეადგენს 34 ერთეულს, ტელეფონების ნომრები გაცემული აქვს 32 მუშაკზე, საინტერესოა ყოფილმა დირექტორმა, რატომ შეინახა 7 ნომერი, რომლებზეც ირიცხება დავალიანება სულ 304,65 ლარი, სავარაუდოთ აღნიშნული 7 ნომერი არ გასცა ყოფილმა დირექტორმა რ. ჯიჯავაძემ თანამშრომლებს იმის გამო, რომ ის გამოეყენებინა პირადი სარგებლობისათვის, რაც დასტურდება იმით, რომ აღნიშნული ნომრების გაუცემლობის მიუხედავად მათზე ირიცხება დავალიანება, ამიტომ აღნიშნული დავალიანების დაფარვა უნდა მოხდეს ყოფილი დირექტორის რ. ჯიჯავაძის მიერ და არა საწარმოს ანგარიშიდან.

გამოუყენებელი შვიდი მობილური ტელეფონის ნომრის სარგებლობის

დასადასტურებლად აუდიტის სამსახურმა შემოწმების პერიოდში წერილობითი თხოვნით მიმართა შ.პ.ს. „ჯეოსელი“-ს ხელმძღვანელობას, რომ მოგვაწოდოს ინფორმაცია რა პერიოდში წარმოიშვა დავალიანება. ინფორმაციის მიღების შემდეგ აუდიტის სამსახური დამატებით დაუბრუნდება აღნიშნული საკითხის შესწავლას, რაზედაც დამატებით მოგახსენებთ.

2015 წლის 11 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის სააგენტომ შეამოწმა შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს ზენდიდის სათავე ნაგებობა და აღმოაჩინა რიგი შეუსაბამობები, კერძოდ: 1) არ არსებობს წყალსადენის პროექტი და შესაბამისად დადგენილი არ არის სანიტარული დაცვის ზონები;

2) ზენდიდის სათავე ნაგებობებზე არ არის განსაზღვრული სანიტარული დაცვის მე-2 ზონა და შესაბამისად არ სრულდება სანიტარული დაცვის მეორე ზონისათვის განსაზღვრული კეთილმოწყობის და სანიტარული რეჟიმის მოთხოვნები;

3) ზენდიდის სათავე ნაგებობაზე არ გააჩნიათ წყალსადენის სქემა რომელზეც დატანილია კანალიზაციის სისტემა.

4) წყლის ქლორთან კონტაქტის დრო არ შეადგენს 30 წუთს და მეტს(ზენდიდის სათავე ნაგებობა მოწყობილია იმგვარად, რომ შეუძლებელია წყლის ქლორთან კონტაქტის დროის აღრიცხვა);

5) არ წარმოებს გამწმენდი ნაგებობის ტექნიკური ექსპლუატაციის ჟურნალი, სადაც აღნიშნული იქნება მონაცემები დამუშავებული წყლის და დახარჯული რეაგენტების რაოდენობის, ასევე მათი დოზების შესახებ, მონაცემები მუშა მდგომარეობაში მყოფი მოწყობილობების და აგრეგატების გაწმენდაზე, რემონტზე, გარეცხვასა და ა. შ.:

6) წყლის სამარაგო რეზერვები არ არის აღჭურვილი ორმაგი ჰერმეტიკული თავსახურიანი ლუქით;

7) წყლის სამარაგო რეზერვუარების ლუქი არ არის დალუქული;

8) არ წარმოებს გამანაწილებელი ქსელის შეკეთებული მონაკვეთების დეზინფექცია;

9) შ.პ.ს. ქედის წყალკანალს არ გააჩნია შიდა ლაბორატორია სასმელი წყლის ხარისხის კონტროლისათვის;

10) საკმარისი სიხშირით არ ტარდება სინჯების აღება წყალაღების ადგილებში, ქსელში გაწვევების წინ, გამანაწილებელი ქსელიდან (ქიმიური, მიკრობიოლოგიური, ორგანოლექტიკური მაჩვენებლების განსაზღვრის მიზნით);

11) არ არის უზრუნველყოფილი სასმელ წყალში ნარჩენი თავისუფალი ქლორის კონცენტრაცია 0,3-0,5 მგ/ლ (არ ტარდება ნარჩენი ქლორის განსაზღვრა სასმელი წყლის ქსელში გაწვევების წინ);

12) სათავე ნაგებობებზე მომუშავე პერსონალს არ აქვს გავლილი შესაბამისი სწავლება ჰიგიენის საკითხებთან დაკავშირებით.

აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების ვადა იყო 2016 წლის 1 ივნისამდე, შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს ყოფილი ხელმძღვანელის მიერ რეკომენდაციები არ შესრულდა და შეუსრულებლობის გამო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯარიმებულ იქნა შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“ 400 ლარის ოდენობით, ამასთან შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს მისცა გონივრული ვადა 2016 წლის 21 ნოემბრამდე აღნიშნული რეკომენდაციების გამოსასწორებლად.

იმის გამო, რომ შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს ყოფილმა დირექტორმა რ. ჯიჯავამე არ განიხილა და არ დასახა ქმედითი ღონისძიებები რეკომენდაციების შესასრულებლად, ასევე პარტნიორს ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელს თავის დროზე არ აცნობა სურსათის უვნებლობის სააგენტოს შემოწმების მასალები, ამ და სხვა ნაკლოვანებებისათვის შ.პ.ს. ქედის წყალკანალის დირექტორი რ. ჯიჯავამე გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან. საჯარიმო სანქცია 400 ლარის ოდენობით, რომელიც დაკისრებულია

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ უნდა გადაიხადოს საწარმო.

ასევე, მონიტორინგით დადგინდა, რომ 2014, 2015 და 2016 წლებში გაკეთდა და მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ მიღებულ იქნა, მაგრამ ჯერ კიდევ შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს ბალანსზე არ გადაცემულა მახუნცეთის, ზენდიდისა და სოფელ ცხმორისის წყალსადენები ღირებულებით 37777 ლარის, სოფელ ორცვაში არსებული სარეზერვო აუზი 123141 ლარის ღირებულების (მაშინ, როცა ობიექტი შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს საკუთრებას არ წარმოადგენს და ყოველთვიურად 3 მუშაკზე იხარჯება 900 ლარი). სრულყოფილად გადაცემული არ არის დ. ქედაში, აწქესში და ცხმორისში აშენებული საკანალიზაციო არხები, აწქესის წყალსადენი 308600 ლარის ღირებულებით, დ. ქედაში და აწქესში აშენებული სანიაღვრე არხები 394800 ლარის ღირებულების. ასევე გადაცემული არ არის დ. ქედის და აწქესის წყალმომარაგების ქსელში აბონენტთა გამრიცხველიანობაზე გაწეული 85386 ლარის სამუშაოები, სოფელ მახუნცეთსა და ორცვის სასმელი წყლის სისტემაზე საქლორატორების მშენებლობები 5932 ლარის ღირებულების. აღნიშნული ობიექტები მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის განყოფილების მიერ უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში და გადაცემული უნდა იქნეს შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ზე.

ობიექტზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1) შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს დირექტორმა ემზარ ბერიძემ:

– დაჩქარებულად (გონივრულ ვადაში) ყოფილი ხელმძღვანელისაგან მოახდინოს მატერიალური და ფინანსური საშუალებების მიღება-ჩაბარება, დადგენილი წესის შესაბამისად:

– მკაცრად დაიცვას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ მე-5 მუხლის მე-13 პუნქტი, რაც ითვალისწინებს თვის გასვლის შემდეგ ყველა მემორიალური ორდერის შესაბამის დოკუმენტებთან ერთად დალაგებას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და აკინძვას, ასევე მკაცრად დაიცვას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანება “საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის” დამტკიცების შესახებ.

– გააზრებულად მიიღოს გადაწყვეტილებები და პარტნიორთან შეთანხმების საფუძველზე აწარმოოს საქმიანობის უკეთ წარმართვა, მოგების მიღების მიზნით.

– პარტნიორთან შეთანხმებით მოახდინოს ამჟამად უმოქმედო და შესაკეთებელი ბუღალტრის გასხვისება ან შეკეთება.

– უაზის ტიპის ავტო მანქანაზე დამონტაჟდეს გავლილი კილომეტრაჟობის მაჩვენებელი (სპიდომეტრი) და რეალურად გავლილი კილომეტრობის მიხედვით ჩამოიწეროს საწვავი.

– 2016 წლის 21 ნოემბრამდე სრულად შესრულებულ იქნას სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ მიცემული რეკომენდაციები.

2) ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის განყოფილების მიერ უმოკლეს ვადაში დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში და გადაცემული იქნას შ.პ.ს. „ქედის წყალკანალ“-ის ბალანსზე 2014-2015 წლებში განხორციელებულ პროექტებზე გაწეული დანახარჯები (წყალსადენების, სარეზერვო აუზების, სანიაღვრე არხების, აბონენტთა გამრიცხველიანობაზე გაწეული ხარჯები და სხვა).

4) ა.(ა.)ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრი“-ს აუდიტი, სადაც მონიტორინგით გამოვლინდა შემდეგი, კერძოდ:

ა.(ა.)ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრი“-ს 2014 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 დეკემბრის №20 დადგენილებით 384300 ლარის ოდენობით, რომელშიც წლის განმავლობაში 3-ჯერ განხორციელდა ცვლილება და საბოლოოდ განისაზღვრა 413150 ლარით.

წარმოდგენილი ბალანსის მიხედვით ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრი“-ს 2014 წლის დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებით (არაფინანსური აქტივების ჩათვლით) განსაზღვრული 413150 ლარიდან, გაწეული საკასო ხარჯი 411458 ლარია, რაც გეგმის 99,59%-ი შეადგენს.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

შრომის ანაზღაურების მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 325920 ლარის ასიგნება, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 324934 ლარი. ანუ გეგმის 99,69%-ი.

საქონელი და მომსახურეობის მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 87230 ლარი, გაწეულია საკასო ხარჯი 86524 ლარი, ანუ გეგმის 99,19%-ი, აქედან:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გაიხარჯა 54543 ლარი.
- ოფისის ხარჯების მუხლით გაწეულია 21726 ლარი.
- მივლინებებზე გახარჯული იქნა 1224 ლარი.
- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა 1810 ლარი შეადგინა.
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვაზე დაიხარჯა 7221 ლარი.

არაფინანსური აქტივების მუხლით გეგმით გათვალისწინებული თანხა არ იყო.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრი“-ს 2015 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 დეკემბრის №44 დადგენილებით 387250 ლარის ოდენობით, ბიუჯეტში წლის განმავლობაში 4-ჯერ განხორციელდა ცვლილება და საბოლოოდ იგი განისაზღვრა 395100 ლარით.

2015 წლის ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრი“-ს წარმოდგენილი ბალანსის მიხედვით, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 387976 ლარს, ანუ გეგმა შესრულებულია 98.19%-ით.

მუხლობრივ ჭრილში 2015 წლის შესრულება შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

შრომის ანაზღაურების მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 305400 ლარის ასიგნება, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 303732 ლარი. ანუ გეგმის 99,45%-ი.

საქონელი და მომსახურების მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 89800 ლარი, გაწეულია საკასო ხარჯი 84244 ლარი, ანუ გეგმის 93.81%-ი, აქედან:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გაიხარჯა 57181 ლარი.
- ოფისის ხარჯების მუხლით გაწეულია 20290 ლარი.
- მივლინებების მუხლით გაწეულია 1615 ლარი.
- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები გაწეული არ აქვს.
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯმა 5158 ლარი შეადგინა.

არაფინანსური აქტივების მუხლით გეგმით გათვალისწინებული თანხა იყო 2000 ლარი, საიდანაც ათვისებულია 1929 ლარი, ანუ 96,45 %-ი.

თუ შევადარებთ 2015 წელს 2014 წელთან ნათლად ჩანს, რომ 2015 წელს შრომის ანაზღაურებაზე გახარჯული იქნა 21202 ლარით ნაკლები, საქონელსა და მომსახურების მუხლით დაიხარჯა 2280 ლარით ნაკლები, ოფისის ხარჯების მუხლით 1438 ლარით ნაკლები, მივლინებაზე გახარჯული იქნა 391 ლარით ნაკლები, ტრანსპორტის ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვაზე გახარჯული იქნა 2063 ლარით ნაკლები.

2014-2015 წლის საანგარიშო პერიოდის პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის აუდიტით დადგენილია, რომ 2015 წლის 12 ნოემბერს ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრ“-ში შექმნილია მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის კომისია. კომისიის მიერ გაკეთებული ინვენტარიზაციის შედეგად ირკვევა, რომ არ არის გაკეთებული მატერიალურ ფასეულობებზე საინვენტარო ნომერი. რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების 18-ე მუხლი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 20 დეკემბრის №622 ბრძანება. მაშინ როცა წინა 2013 წლის აუდიტორული შემოწმების შედეგად ხელმძღვანელობას მიცემული ქონდათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია, მაგრამ აღნიშნული რეკომენდაცია როგორც ყოფილმა დირექტორმა ვაჟა ბალაძემ, ასევე ბუღალტერმა თამაზ შავლიძემ და საინვენტარიზაციო კომისიამ გაცემული რეკომენდაციები არ შეასრულეს და არ გააკეთეს თითოეულ ინვენტარზე საინვენტარო ნომერი.

ხარჯების ნაწილში, შრომის ანაზღაურების მუხლში, არასწორად არის ასახული ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულების ხარჯი 262,8 ლარი. კერძოდ: ა.(ა.)ი.პ. ქედის კულტურის ცენტრის დირექტორის 2015 წლის 27 აპრილის №01-04/10 ბრძანების საფუძველზე სპეციალისტ თამარ ცინცაძეს ორსულობისა და მშობიარობის გამო მიეცა უფასო შვებულებაში გასვლის უფლება და შრომით გასამრჯელოს სრულ ოდენობამდე შესავსებად გაცემულ იქნა კომპენსაცია 262,8 ლარი. 2015 წლის ფინანსური ანგარიშგებით ზემო აღნიშნული ხარჯი, საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული სოციალური შენატანების მუხლის ნაცვლად, დაფინანსებულია შრომის ანაზღაურების მუხლით, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №762 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ 24-ე თავის მოთხოვნები.

მონიტორინგით დადგინდა, რომ 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბუღალტრო ჩანაწერების მიხედვით ა.(ა.)ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრი“-ს მიერ 2014 წელს სრულად და

2015 წლის სექტემბრამდე იჯარის ხელშეკრულებით (მიმწოდებელი ფ/პ გენადი მახაჭაძე) აყვანილი იყო მსუბუქი ავტომობილი OPEL ASTRA, სახ№ DWD-011, რომლის გამოყენების საფასურად გათვალისწინებული იყო თვეში 100 ლარი, რაზეც სულ ორი წლის მანძილზე დაიხარჯა 2000 ლარი.

2014 წელს ა/მანქანა „OPEL ASTRA“, სახ№ DWD-011-ზე გაწეულია 500 ლარის სარემონტო სამუშაოები და ასევე 2015 წელს ამავე ავტომანქანაზე 500 ლარის სარემონტო სამუშაოები, მაშინ როცა პირველადი ბუღალტრული დოკუმენტებით ირკვევა, რომ ავტომანქანის ტექნიკური მდგომარეობის შემსწავლელი კომისიის მიერ შედგენილი დეფექტური აქტი არ არის და არც კომისია ყოფილა ამ მხრივ შექმნილი.

2015 წლის აგვისტოს თვეში ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ა.(ა.)ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრი“-ს გადაეცა ავტომანქანა ფორდ-ტრანზიტი 7830 ლარის საბალანსო ღირებულებით. აღნიშნულ ავტომანქანაზე საწვავის ჩამოწერა ხდება ავტომანქანის საგზურის საშუალებით, რომელიც ფაქტიურად ვერ პასუხოს კითხვას თუ რა მიზანს ემსახურება ტრანსპორტის გადაადგილება, ასე მაგალითად: 2015 წლის ნოემბრის თვეში ავტომანქანა 18 ჯერ იმყოფებოდა ქალაქ ბათუმში და გავლილი აქვს 1800 კილომეტრი, რაიონის ტერიტორიაზე ამავე თვეში გავლილი აქვს 1200 კილომეტრი, რაც სულ თვითურად შეადგენს 3000 კილომეტრს, რომელიც დაუჯერებლად მიგვაჩნია და რისკის შემცველია. ასევე არაა გაკეთებული ექსპერტიზის დასკვნა, თუ რა რაოდენობის საწვავს მოიხმარს ყოველ გავლილ 100 კილომეტრზე ავტომანქანა „ფორდ-ტრანზიტი“. სულ 2014 წელს გახარჯულია 5521 ლარის საწვავი, ხოლო 2015 წელს 3355 ლარის საწვავი.

გაფორმებული ხელშეკრულებების მონიტორინგი

მონიტორინგით დადგინდა, რომ 2015 წელს ა.(ა.)ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრი“-ს მიერ დაიდო სულ 20 ხელშეკრულება სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან სულ 20511,85 ლარზე, საიდანაც ათვისებულია 17177,05 ლარი. თითოეული ხელშეკრულების ნომერი, ღირებულება, გადახდილი თანხის ოდენობა, მომწოდებლის დასახელება იხილეთ დანართ №1-ში.

#	შესყიდული საქონლის ან მომსახურების დასახელება	შესყიდვის საშუალება	მომწოდებლის დასახელება	ხელშეკრულება	ხელშეკრულების ღირებულება	ჩარიცხვითი თანხა
				№	თანხა	თანხა
1	2		5	6	10	13
1	ჟურნალ გაზეთების შეძენა	E	შპს აჭარაპრესა	2	1697,85	1697,85
2	წიგნის შეძენა	E	შპს გაზეთი ბათუმელები	20	150	150
3	ჰიგიენური საშუალებები	E	ი/მ ემზარ გორგაძე	8	1500	1500
4	სამეურნეო მასალების შეძენა	E	ი/მ თამილა თურმანიძე	10	670	670

5	ნოუტბუქისა და გარე მყარი დისკის შეძენა	E	შპს ივიჯი	12	2100	2096
6	მობილური სატელეფონო მომსახურების ხარჯი	E	შპს მაგთიკომი	3	300	295
7	სამეურნეო მასალების შეძენა	E	ი/მ მირზა გათენაძე	9	940	908
8	სამეურნეო მასალების შეძენა	E	ი/მ მირზა გათენაძე	18	840	838
9	ავტომანქანების საბურავებისა და აკუმულატორის შეძენა	E	შპს ნიკა 2002	14	360	360
10	საკანცელარიო მასალები	E	შპს ორგსერვისი 2011	7	2400	2004.95
11	კავშირგაბმულობა	E	სს სილქნეტი	1	800	788
12	საწვავის შეძენა	E	შპს სოკარ პეტროლიუმ ჯორჯია	11	1014	1014
13	საწვავის შეძენა	E	შპს სოკარ პეტროლიუმ ჯორჯია	19	1400	989,9
14	საწვავის შეძენა	E	შპს სოკარ პეტროლიუმ ჯორჯია	4	954	954
15	შემოს შეძენა	E	შპს ნუკრი დ	17	1968	1968
16	ავტომანქანის სათადარიგო ნაწილების შეძენა	E	შპს მიგა	21	200	200
17	მობილური სატელეფონო მომსახურების ხარჯი	E	შპს ჯეოსელი	5	1000	1000
18	სამეურნეო მასალების შეძენა	E	ი/მ თამილა თურმანიძე	22	620	620
19	საკანცელარიო საქონელი	E	შპს ორგსერვისი 2011	23	1200	730,3
20	საწვავის შეძენა		შპს სოკარ პეტროლიუმ ჯორჯია	16	398	398
სულ					20511,85	17177,05

საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისწიპლინის დაცულობისა და საკადრო პოლიტიკის მდგომარეობა

ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრი“-ში 2015 წელს დამტკიცებულია 97 საშტატო ერთეული სახელფასო ფონდით 325920 ლარი. 2015 წლის განმავლობაში მუშა-მომსახურეთა მიმართ დარიცხული შრომის ანაზღაურება შეადგენს 324934 ლარს. ამასთან ხელშეკრულებით აყვანილი ყავთ 27 კაცი, რომელთა წლიური ანაზღაურება შეადგენს 54543 ლარს. ხელშეკრულებით აყვანილი პიროვნებები ძირითადად დასაქმებული არიან ანსანბლ „იაგუნდში“-ში რვა ქალი, რომელთაც ყოველთვიურად ეძლევათ შრომითი ანაზღაურება 1650 ლარი, ანსანბლ „ბეთლემში“ დასაქმებულია შტატით 17 და ექვსი კაცი ხელშეკრულებით, მათი შრომის ანაზღაურება თვეში შეადგენს 4250 ლარს, ანსანბლ „მოყვარში“ ხელშეკრულებით აყვანილია ცხრა კაცი, მათი თვიური შრომის ანაზღაურება შეადგენს 900 ლარს, ანსანბლ „ელესა“-ში შტატით მუშაობს 11 კაცი და ხელშეკრულებით აყვანილია ერთი კაცი, მათი თვიური შრომის ანაზღაურება შეადგენს 3850 ლარს.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრის წესდებიდან გამომდინარე ა.(ა.)ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრი“-ს დირექტორს უფლება აქვს მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით განსაზღვროს დამხმარე სამეწარმეო საქმიანობიდან შემოსავლების საფასური და გამართოს კულტურული მომსახურების სხვადასხვა ჟანრის ფასიანი კონცერტები. აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები მოახმაროს ცენტრის მიზნების განხორციელებას, მაგრამ ასეთი გეგმა ჯერ ცენტრის ხელმძღვანელობას შედგენილი არ აქვს.

ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრი“-ში აგრეთვე არის მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილება 13 საშტატო ერთეულით, რომლებიც ხელმძღვანელობენ 15 სხვადასხვა წრეებს, ესენია:

- სახალისო მათემატიკის წრე (8 მოსწავლე)
- ჭრა-კერვის შემსწავლელი წრე (6 მოსწავლე)
- დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების შემსწავლელი წრე (6 მოსწავლე)
- დაწყებითი მოდელირების და ხელგარჯილობის წრე (7 მოსწავლე)
- ნორჩ დეკლამატორთა წრე (6 მოსწავლე)
- ხის მხატვრულად დამუშავების შემსწავლელი წრე (8 მოსწავლე)
- აჭარული ორნამენტით ქარგვის შემსწავლელი წრე (7 მოსწავლე)
- ჯვარედინი ქარგვის შემსწავლელი წრე (8 მოსწავლე)
- ქარგვის შემსწავლელი წრე (8 მოსწავლე)
- ქსოვის შემსწავლელი წრე (6 მოსწავლე)
- საბან-ლეიბის დამზადების შემსწავლელი წრე (5 მოსწავლე)
- გობელინის შემსწავლელი წრე (6 მოსწავლე)
- სამკურნალო მცენარეები და მათი გამოყენების შემსწავლელი წრე (6 - მოსწავლე)
- აჭარული ტრადიციული კერძების შემსწავლელი წრე (5 მოსწავლე)
- მინანქრის შემსწავლელი წრე (4 მოსწავლე)

ა.(ა.)ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრი“-ს მიერ სამეურნეო საქონლის (საქსოვი ძაფი, საკერავი ძაფი, სილიკონის წებო, აბრეშუმის ძაფი და ა.შ.) შექმნისათვის 2014 წელს დადებულია ი/მ „თამილა თურმანიძე“-სთან ხელშეკრულებები №6 და №32, საერთო ღირებულებით 800 ლარზე, ასევე 2015 წელს №10 და №22 ხელშეკრულებები ისევ ი/მ „თამილა თურმანიძე“-სთან ღირებულებით 1290 ლარზე, სულ გახარჯული თანხის ოდენობა ორი წლის მანძილზე შეადგენს 2090 ლარს. შექმნილი სამეურნეო საქონელი ზემოთ დასახელებული წრეების მიერ გახარჯულია სხვადასხვა თოჯინებისა და ნახატების გასაკეთებლად, შესრულებული ნაშრომები განლაგებულია საგამოფენო ოთახში, მაგრამ არაა გაკეთებული აღწერა, რომლის საფუძველზეც შეიძლება გაკეთებული ნახატებისა და თოჯინების ოდენობის დადგენა, ასევე არაა ღირებულებით შეფასებული ნამუშევრები, რაზეც შესაბამისი კომისიის შექმნაა საჭირო. ამასთან წრეებიდან გამომდინარე შეიძლება

დამზადებული საქონლის რეალიზაცია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომლის რეალიზაციით მიღებული თანხა შეიძლება გამოყენებული იქნას ცენტრის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრი“-ს საქმიანობის ძირითად მიმართულებას ასევე, წარმოადგენს საბიბლიოთეკო საქმიანობა. მონიტორინგის დროს ბიბლიოთეკაში მიმდინარეობდა წიგნადი ფონდის ინვენტარიზაცია, აღწერილი იყო 34426 ცალი წიგნი და დარჩენილია აღსაწერი 9529 ცალი წიგნი, სულ აღწერის შემდეგ უნდა იყოს 43955 ცალი წიგნი 91683 ლარის ღირებულების. აღნიშნული საქმიანობა უნდა დასრულდეს მ/წლის 10 დეკემბერს.

მონიტორინგით დადგინდა, რომ ბიბლიოთეკაში დასაქმებული 7 თანამშრომლიდან ყველა მუშაკი სამუშაოზე დაგვიანებით 10 საათზე ცხადდება, მაშინ როცა მათთვის ნება ამისთვის არავის მიუცემია, რაც შინაგანაწესის უხეში დარღვევაა.

ბიბლიოთეკის გარკვეულ ნაწილში სახურავიდან ჩამოდის წვიმის წყალი, რაც საფრთხეს უქმნის წიგნად ფონდს.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში არის 24 სოფლის კლუბი და 4 სოფლის კულტურის სახლი, სადაც დასაქმებულია 34 თანამშრომელი, რომელთა 2015 წლის წლიურმა სახელფასო ხარჯმა შეადგინა 91402 ლარი.

აუდიტის სამსახურისა და ა.(ა.)ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრი“-ს ხელმძღვანელობის მიერ ერთობლივად შესწავლილ იქნა სოფლის კლუბებსა და კულტურის სახლების მდგომარეობა, შესწავლის შედეგად სასოფლო კლუბები და კულტურის სახლები ჩვენს მიერ პირობითად დაჯგუფდა ოთხ კატეგორიად პირველი, რომელსაც შენობა საერთოდ არააქვს, მეორე, რომელსაც ისეთი ავარიული შენობა აქვს, რომ მასში მუშაობა არ შეიძლება, მესამე კატეგორია რომელშიც შედარებით კარგი მდგომარეობაა და მეოთხე, რომელიც კარგ მდგომარეობაშია.

პირველ კატეგორიაა ის, რომელსაც შენობა არ აქვს, კერძოდ ასეთებია:

ა) **დოლოგნის კლუბი**- არ აქვს კლუბის შენობა, რის გამოც კლუბის ხელმძღვანელს არსებული ინვენტარი განთავსებული აქვს სახლში. ყოველთვიურად ღებულობს ხელფასს 120 ლარს.

ბ) **ზესოფლის კლუბი**- შენობა არ აქვს და ფაქტიურად არ მიმდინარეობს წრეების მუშაობა, კლუბის ხელმძღვანელს ინვენტარი საკუთარ სახლში აქვს განთავსებული, მისი მოთხოვნაა, რომ სკოლის შენობაში არსებული ფართი გადაეცეს კლუბს სადაც ამჟამად მიმდინარეობს რემონტი. ყოველთვიურად კლუბის ხელმძღვანელი ღებულობს ხელფასს 240 ლარს.

გ) **სოფ. დანდალოს კლუბი**- სოფელ დანდალოს კლუბს შენობა არ აქვს და ის განთავსებულია სოფლის სახლში, რომელიც ფაქტიურად გამოყენებულია სოფლის ინვენტარის საწყობად, შენობას არ აქვს შუქი.

მეორე კატეგორიას მიეკუთვნება ავარიული შენობები, ასეთებია:

ა) **უჩხითის კლუბი**- შენობა მდებარეობს ყოფილი კოლმეურნეობის კანტორის პირველ სართულზე, რომელიც არის ავარიული და შენობაში წრეების საქმიანობის განხორციელება სახიფათოა, შენობაში დასაწყობებულია სოფლის სარიტუალო ინვენტარი. ფაქტიურად შენობა ისეთ მდგომარეობაშია, რომ იქ რაიმე ღონისძიების ჩატარება სახიფათოა.

ბ) **მეძიბნის კლუბი**- შენობა არის ხის ძველ შენობაში განთავსებული, რომელიც ავარიულ მდგომარეობაშია, შენობაში წრეების მუშაობა დაუშვებელია.

გ) **ცენტრ დანდალოს სასოფლო კლუბი** განთავსებულია ორსართულიან ქვის შენობაში, რომლის პირველ სართულზე არის დარბაზი, სადაც არ შეისვლება, არაა არავითარი

ინფრასტრუქტურა, სახურავიდან ჩამოდის წვიმა და უყურადღებოთაა დარჩენილი შენობა, ამასთან, გადატანილია ტენისის მაგიდა სკოლაში, ხელმძღვანელის კაბინეტში განთავსებულია საარჩევნო ინვენტარი.

მესამე კატეგორიაა, რომელიც პირობითად შედარებით კარგ მდგომარეობაშია, ასეთებია:

ა) მახუნცეთი კულტურის სახლი, რომელიც განთავსებულია მახუნცეთის ცენტრში ზუნდაგას ბაგა-ბაღის შენობის მეორე სართულზე ერთ პატარა სარემონტო ოთახში. კულტურის სახლის ხელმძღვანელს ფართის სიმცირის გამო ინვენტარის ნაწილი დასაწყობებული აქვს ბაგა-ბაღის მიმდებარედ სატყეო სააგენტოს კუთვნილ შენობაში, რომელსაც სააგენტო არ სარგებლობს და ამჟამად იგი დაკეტილია.

ბ) კვამტის კლუბი არის ერთ სართულიან ქვის შენობაში განთავსებული, რომელიც საჭიროებს რემონტს და ინვენტარის განახლებას.

გ) სოფ. ზუნდაგას კლუბის შენობა საჭიროებს რემონტს და ახალი ინვენტარით აღჭურვას.

დ) ვაიოს კლუბი განთავსებულია ორსართულიან ძველ შენობაში, კლუბის სცენა არის ავარიულ მდგომარეობაში, შესაცვლელია პირველი სართულის შესასვლელი კარები და ფანჯრები. მეორე სართულზე კლუბის გამგის ოთახში ელექტროენერგია არ მიეწოდება.

ე) სოფელ აგარის კლუბის შენობა არის შედარებით კარგ მდგომარეობაში, მონიტორინგის პერიოდში არ აღმოჩნდა ტენისის მაგიდა კლუბში და ის დროებით გადაცემული იყო სკოლაზე.

ვ) სოფელ ორცვის კლუბის შენობა არის გარემონტებული და მასში წრეების მუშაობა მიზანშეწონილია.

ზ) სოფელ ხარაულას კლუბის შენობა არის შედარებით მოწყობილი, მაგრამ არ მიეწოდება ელექტრო ენერგია და არააქვს გათბობა. ჩოგბურთის მაგიდა გადატანილია სკოლაში.

მეოთხე კატეგორიას მიეკუთვნება:

ა) ცენტრ ცხმორისის კულტურის სახლის შენობა ახალ გარემონტებულია და არის კარგ მდგომარეობაში.

ბ) ზვარის კლუბი- არის ახალ გარემონტებული.

გ) პირველ მათისის სასოფლო კლუბი- არის ორ სართულიანი ახალ აშენებული და გარემონტებული შენობა, მიუხედავად ამისა მეორე სართულზე იატაკზე არის მეტლახი ნაწილობრივ ამოცვენილი, ამასთან შენობას არ მიეწოდება ელექტრო ენერგია. ინვენტარიდან მუსიკალური ცენტრი და ტელევიზორი ადგილზე არ აღმოჩნდა, კლუბის ხელმძღვანელის განმარტებით ინვენტარი წაღებული იყო სარემონტოდ, მაგრამ ცენტრის ხელმძღვანელობა ამის შესახებ ინფორმირებული არ იყო.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრი“-ს კაპიტალური დაბანდება 2016 წლის 01 იანვრისათვის შეადგენს 753528 ლარს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ არის სოფლის კლუბები და კულტურის სახლები რომელთა შენობებიც ა.(ა.)ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრი“-ს მიერ ასახული არაა ბალანსში და საჭიროებს ბალანსიდან ბალანსზე გადაცემას, აღნიშნული კლუბებია:

ხარაულის, ს. დანდალოს, გეგელიძეების, კოკოტაურის, ახოს, ზვარის, ორცვის, მახუნცეთისა და ინაშარიძეების კლუბები.

ობიექტზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. ა.(ა.)ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრი“-ს დირექტორმა:

მკაცრად დაიცვას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება, ამასთან, უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25

ავგისტოს №762 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ 24-ე თავის მოთხოვნები.

2. წლის დასაწყისში ისე შეიმუშაოს და დაგეგმოს წლიური ბიუჯეტი, რომ შემდგომი თვეებისათვის არ ქონდეს ადგილი ბიუჯეტის ცვლილებას.
3. დაადგინოს ა.ა.ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრი“-ს კუთვნილ ავტომანქანაზე წვის ნორმა და საწვავის ჩამოწერა აწარმოოს რეალურად გავლილი კილომეტრების მიხედვით.
4. შექმნას ავტომანქანის ტექნიკური მდგომარეობის შემსწავლელი კომისია და სარემონტო სამუშაოები აწარმოოს დეფექტური აქტის შედგენის შემდეგ.
5. აღრიცხოს და ღირებულებით შეაფასოს მოსწავლე ახალგაზრდობის წრეების მიერ შექმნილი ნაკეთობები და კანონის სრული დაცვით უზრუნველყოს მისი რეალიზაციიდან ამონაგები თანხების მიზნობრივად გამოყენება.
6. მკაცრ კონტროლზე აიყვანოს ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციის მიმდინარეობისა და დასრულების პროცესი, წიგნადი ფონდის ინვენტარიზაცია დაასრულოს მიმდინარე წლის 10 დეკემბრამდე.
7. შინაგანაწესის მოთხოვნებიდან გამომდინარე მკაცრ კონტროლზე აიყვანოს მუშაკების სამუშაო გრაფიკი (გამოცხადებისა და წასვლის დროულობა).
8. კანონის სრული დაცვით განახორციელოს სოფლების: ხარაულის, ს. დანდალოს, გეგელიძეების, კოკოტაურის, ახოს, ზვარის, ორცვის, მახუნცეთისა და ინაშარიძეების კლუბების ბალანსზე ასახვა.
9. ყველა ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებში გააერთიანოს თემებში შემავალი სოფლის კლუბების ხელმძღვანელები და ერთობლივი მუშაობით უზრუნველყონ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება.
10. ყველა კლუბი უზრუნველყოს ელექტრო ენერჯის მიწოდებით.
11. მკაცრ კონტროლზე აიყვანოს კლუბებში არსებული ინვენტარის მოვლა-შენახვის პროცესი.
12. მეტი ყურადღება იქნას მიქცეული ტურისტული (და არამარტო ტურისტული) სეზონის დროს არსებული ანსამბლების მიერ ფასიანი კონცერტების გამართვას და შემოსული თანხების კანონიერად განკარგვას.

ა.ა.ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის“ აუდიტი, სადაც მონიტორინგით გამოვლინდა შემდეგი, კერძოდ:

ა.ა.ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის“ 2014 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 დეკემბრის №20 დადგენილებით 125000 ლარის ოდენობით, ბიუჯეტში 2014 წლის განმავლობაში 1-ჯერ განხორციელდა ცვლილება და საბოლოოდ იგი განისაზღვრა 126400 ლარით.

ა.ა.ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის“ მიერ 2014 წელს გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 125854,71 ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 99,5%-ით.

ა.ა.ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის“ 2015 წლის ბიუჯეტი დამტკიცა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 დეკემბრის №44 დადგენილებით 115605 ლარის ოდენობით, ბიუჯეტში 2015 წლის განმავლობაში 2-ჯერ განხორციელდა ცვლილება და საბოლოოდ იგი განისაზღვრა 117800 ლარით.

2015 წლის ა.ა.ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის“ გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 116436 ლარს, ანუ გეგმა შესრულებულია 98.8%-ით.

მუხლობრივ ჭრილში 2015 წლის შესრულება შემდგენიარადაა წარმოდგენილი:

შრომის ანაზღაურების მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 110340 ლარის ასიგნება, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 110361 ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 100%-ით.

საქონელი და მომსახურების მუხლით გეგმით გათვალისწინებული 7010 ლარის, ნაცვლად გაწეულია საკასო ხარჯი 6075,25 ლარი, ანუ გეგმის 81,66%-ით.

2014-2015 წლის საანგარიშო პერიოდის პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის მონიტორინგით დადგენილია, რომ 2014 წლის 10 დეკემბერს ა.ა.ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლა“-ში შექმნილია მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის კომისია, შემდეგი შემადგენლობით: ა) კომისიის თავჯდომარედ-შორენა თურმანიძე ა.ა.ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის“ კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზატორი, ბ) კომისიის წევრებად-მურმან ზაქარაძე ა.ა.ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის“ ბუღალტერი, გ) ბადრი კონცელიძე ა.ა.ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის“ პედაგოგი და დ) ნოდარი გორგაძე- ა.ა.ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის“ კონცერმისტერი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“-ს მე-5 მუხლის მე-5 ქვეპუნქტით მითითებულია, რომ მატერიალურად პასუხისმგებელი პირი არ შეიძლება იყოს საინვენტარიზაციო კომისიის წევრი, შესაბამისად მურმან ზაქარაძე- ა.ა.ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის“ ბუღალტერი არ შეიძლება ყოფილიყო კომისიის წევრი, ამასთან კომისიის მიერ სრულად გაკეთებული არ არის მატერიალურ ფასეულობებზე საინვენტარო ნომერი. მაშინ, როცა წინა 2013 წლის აუდიტორული შემოწმების შედეგად ხელმძღვანელობას მიცემული ქონდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია, მაგრამ 2013 წელს გაცემული რეკომენდაციები არ შეასრულეს და არ გააკეთეს თითოეულ ინვენტარზე საინვენტარო ნომერი. ასევე, მონიტორინგის დროს დადგინდა, რომ მოსაწესრიგებელია საბუღალტრო დოკუმენტაცია, რომელიც გულისხმობს თვის გასვლის შემდეგ ყველა მემორიალური ორდერის შესაბამის დოკუმენტებთან ერთად დალაგებას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და აკინძვას, რაც ბუღალტრის მიერ გაკეთებული არ არის, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების მე-5 მუხლის მე-13 პუნქტი.

ასევე დარღვეულია ა.ა.ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლა“-ში წესდების მე-4 მუხლის მე-4 ქვეპუნქტი, რომელიც გულისხმობს „სკოლაში აღსაზრდელთა მიღების შემთხვევაში დაწესებულებასა და აღსაზრდელ მშობელს (კანონიერი წარმომადგენლი) შორის წერილობითი ხელშეკრულების გაფორმებას, რომელშიც დეტალურად უნდა განისაზღვროს მხარეთა უფლება-მოვალეობანი“, რაც ფაქტიურად არ სრულდება და არ არის დადებული ხელშეკრულება პასუხისმგებელ პირებს შორის.

2014 წლის 01 ოქტომბერს დაიდო ხელშეკრულება ა.ა.ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლა“-სა და ფ/პ მერაბ დუმბაძეს შორის 4კვ/მ შეშის შეძენაზე, დახერხვასა და დაჩეხვაზე, რომლის ღირებულებაც იყო 700 ლარი, აღნიშნული მომსახურების შესრულებაზე შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტი, რომელშიც არაა მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ოდენობა, გადახდილი თანხის ოდენობა, ასევე არაფერი არაა მოცემული შეშის დახერხვასა და დაჩეხვაზე გაწეული მომსახურების შესახებ, თუმცა დოკუმენტურად მომწოდებელ ფ/პ მერაბ დუმბაძეს 700 ლარი მიღებული აქვს.

2014 წლის 04 მარტს დაიდო ხელშეკრულება ა.ა.ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლა“-სა და ი/მ „მირზა გათენაძე“-ს შორის სამეურნეო მასალების შეძენაზე ღირებულებით 500 ლარის

ოდენებით. ი/მ „მირზა გათენაძე“-მ სამეურნეო საქონელი მიაწოდა 2014 წლის 22 ოქტომბერს, მიწოდებული სამეურნეო საქონლის ჩამონათვალში იყო ელექტრო ღუმელი 50 ლარის ღირებულების, რომელიც 2015 წლის საინვენტარიზაციო მასალებში ასახული არ იყო.

საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის, დაცულობისა და საკადრო პოლიტიკის მდგომარეობა

ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლა“-ს 2015 წელს დამტკიცებული აქვს 28 საშტატო ერთეული სახელფასო ფონდით 110340 ლარი, თანამშრომლებზე დარიცხულმა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 110361,35 ლარი.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლა“-ში მუშაობს სულ 20 პედაგოგი, რომლებიც ემსახურებიან 184 მოსწავლის აღზრდას, აღნიშნული პედაგოგები მუშაობენ შემდეგი მიმართულებით, კერძოდ:

1- **ქორეოგრაფიულ განყოფილება**, სადაც სწავლობს 94 მოსწავლე, ისინი სწავლობენ შემდეგ საგნებს:

- ა) ქართული ცეკვა
- ბ) საუბრები ქორეოგრაფიის ისტორიაში
- გ) საკრავი შერჩევით (გულისხმობს სხვადასხვა მუსიკალურ საკრავებზე სწავლებას).
- დ) ხელოვნების ისტორია

2- **საფორტეპიანო განყოფილება**, სწავლობს სულ 66 მოსწავლე, რომლებიც ეუფლებიან შემდეგ საგნებს:

- ა) ფორტეპიანო
- ბ) სოლფეჯიო
- გ) მუსიკის სამყარო
- დ) მუსიკის ლიტერატურა
- ე) ქართული ხალხური მუსიკის შემოქმედება
- ვ) გუნდი
- ზ) ხელოვნების ისტორია

3- **ჩასაბერი საკრავების განყოფილება (ფლეიტა, კლარნეტი)**, სწავლობს 24 მოსწავლე, რომლებიც სწავლობენ შემდეგ საგნებს:

- ა) საკრავი კლარნეტი
- ბ) ანსანმბლი
- გ) სოლფეჯიო
- დ) მუს. ლიტერატურა
- ე) ქართული ხალხური მუს. შემოქმედება
- ვ) სავალდებულო ფორტეპიანო
- ზ) გუნდი
- თ) მუსიკის სამყარო

ხელოვნების სკოლაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სულ სწავლობს 184 მოსწავლე და მათი მუსიკალური განათლების მისაღებად დასაქმებულია 20 პედაგოგი, რომელთა საათობრივი დატვირთვა შემდეგნაირად არის განაწილებული:

- 1) მზია ტუნაძე 20 სთ.

- 2) ბადრი კონცელიძე 20 სთ.
- 3) მარინა ჯიჯავაძე 11 სთ.
- 4) მაია ლორთქიფანიძე 18 სთ.
- 1) ნაზიკო სურმანიძე 11 სთ.
- 2) ირინა დევაძე 11 სთ.
- 7) ლამზირა ქაჯაია 34 სთ.
- 8) გურანდა თოდრაძე 20,5 სთ.
- 9) ირმა ბერიძე 25 სთ.
- 10) ნონა ჭყონია 25 სთ.
- 11) სურიე ჩიკვაძე 12 სთ.
- 12) მალხაზ გორგილაძე 12სთ.
- 13) თამაზ დავითაძე 22 სთ.
- 14) დონარი გორგაძე 23 სთ.
- 15) თამარ ძველაია 21 სთ.
- 16) ლელა დუმბაძე 7 სთ.
- 17) ეთერ სარიშვილი 17,5 სთ.
- 18) სალომე ხაბაზი 14 სთ.
- 19) ნოდარი კახიძე 14 სთ.
- 20) ნოდარი გორგაძე 14 სთ.

შემოწმებული იქნა დამტკიცებული საშტატო ნუსხა და აღმოჩნდა, რომ შტატით აყვანილი ყავს ბიბლიოთეკარი, თუმცა სახელოვნებო სკოლას ბიბლიოთეკა არ გააჩნია და არც რაიმე სახის წიგნადი ფონდია აღრიცხული ინვენტარიზაციის მასალებში. ამდენად გაურკვეველია თუ რად ჭირდება ხელოვნების სკოლას აღნიშნული შტატი. ამასთან გამოვლენილ იქნა, რომ მასწავლებელი მარინა ჯიჯავაძე, რომელიც ძირითად შტატშია ა.ა.)ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრში“ ამავდროულად მუშაობს სახელოვნებო სკოლაში და აქვს 11 საათი, ასევე ნოდარ კახიძე მუშაობს კულტურის ცენტრში და ხელოვნების სკოლაში მისი დატვირთვა 14 საათს შეადგენს.

ჩვენს მიერ 2013 წელს ჩატარებული მონიტორინგის დროს წარმოდგენილ ანგარიშში გამოვლენილი იყო ნაკლოვანება, კერძოდ: სახელოვნებო სკოლის დარბაზში ყრუ კედლიდან ჟონავდა წყალი, რისთვისაც ცეკვის წრეების მუშაობა დარბაზში თითქმის შეუძლებელი იყო, იმ მომენტისათვის ჩვენს მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ აღმოფხვრილიყო სარემონტო სამუშაოების დროს დაშვებული ხარვეზები, მაგრამ ხელმძღვანელობამ მისი შესრულება ვერ უზრუნველყო თანხების არ ქონის გამო. ამჟამად მდგომარეობა სკოლის დარბაზში თითქმის იგივეა და საჭიროებს აღნიშნული საკითხი მოგვარებას.

ობიექტზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- 1) ა.ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის“ დირექტორმა:
 - მკაცრად დაიცვას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ მე-5 მუხლის მე-13 პუნქტი, რაც ითვალისწინებს თვის გასვლის შემდეგ ყველა მემორიალური ორდერის შესაბამის დოკუმენტებთან ერთად დალაგებას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და აკინძვას, ასევე მკაცრად დაიცვას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანება “საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის” დამტკიცების შესახებ.
 - დაწესებულებაში აღსაზრდელის მიღება განახორციელოს წესდებით

განზაზღვრული პირობების დაცვით.

– ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების მიღებისას სრულად და გარკვევით შეადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი.

– საშტატო ნუსხა დაამტკიცოს მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა განახორციელოს ისე, რომ მასწავლებლებს შორის არ იყოს უკმაყოფილება. ამასთან მათი სახელოვნებო სკოლაში ჩასატარებელი მეცადინეობები არ ემთხვეოდეს კულტურის ცენტრში ჩასატარებელი წრეების მუშაობის გრაფიკს.

– შინაგანაწესიდან გამომდინარე უზრუნველყოს მუშაკებზე ფუნქციების გადანაწილება.

– სათანადო სპეციალისტების მოწვევით დაადგინოს, დარბაზის ყრუ კედლიდან წყლის გაჟონვის საკითხი და სათანადო წესების დაცვით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

ქედის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის 2016 წლის ანგარიშის შესახებ

შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა რა „საქართველოს კონსტიტუციით“, „ადგილობრივი თვითმართვებლობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებით, ქედის საკრებულოს ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით, გარკვეული მუშაობა აქვს ჩატარებული გამგეობის წინაშე არსებული რისკების დადგენა-შეფასებისათვის, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასებისათვის. მოსალოდნელი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით გამგებლისათვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენისათვის, გამგეობის სტრუქტურულ ორგანოებში დისციპლინის და კანონიერ ინტერესების დაცვისათვის. ასევე შიდა აუდიტის სამსახური კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ადგენდა შიდა აუდიტორულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, კერძოდ: მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 28 დეკემბრის #899 ბრძანების შესაბამისად ჩატარდა: სპორტული და კულტურული ღონისძიებების მიზნობრივი პროგრამების აუდიტი, სატელეკომუნიკაციო ხარჯების, ა.ა.ი.პ. „ქედის ბაგა-ბაღები“-ში, შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ში, მოხმარებულ ელექტრო ენერჯიაზე გაწეული ხარჯების აუდიტი, შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ში, ა.ა.ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ში, შ.პ.ს. „ქედის სასპორტო სკოლა“-ში, ა.ა.ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრი“-ში, ა.ა.ი.პ. „ქედის ხელოვნების სკოლა“-ში აუდიტი. ჩატარებულ ობიექტებზე აუდიტის თემა იყო „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრივად ხარჯვის შესახებ“.

შიდა აუდიტის მიერ ყველა ზემოთ დასახელებულ ობიექტზე გაკეთდა დასკვნები და რეკომენდაციები. შიდა აუდიტის შედეგების განხილვა ხდებოდა მუნიციპალიტეტის გამგებელთან და შესაბამისად რეკომენდაციები იგზავნებოდა თითოეულ შემსრულებელამდე. აუდიტს სამსახურს გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე დაწესებული აქვს კონტროლი.

2016 წლის შიდა აუდიტორული ანგარიშები წერილს 68 ფურცლად თან ერთვის.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტის პერიოდში დაფიქსირებულია შემთხვევები, როცა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვაში განხორციელდა ცვლილებები, რომელთა შესაბამისად შეიცვალა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული

სამუშაოთა მოცულობები, ჩვენი დასკვნისა და რეკომენდაციების საფუძველზე ამოღებული და დამატებული იქნა ხარჯთაღრიცხვაში ახალი სამუშაოები, რომელთა ღირებულებებიც ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასების შესაბამისად განისაზღვრებოდა.

მოტივირებული დასკვნის საფუძველზე ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხის გამოყენება შესაძლებელი იყო შემსყიდველთან შეთანხმებით, რომელიც ჩვენი დასკვნის საფუძველზე თანხები გაცემულ იქნა.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებულ კონტროლზე ავიყვანეთ დასუფთავების მოსაკრებლის გაწერისა და მისი ამოღების საქმე. გასულ 2016 წელს ბიუჯეტის შესაბამის შემოსავლებში ჩარიცხულ იქნა 22301,79 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 89,21 პროცენტია. დასუფთავების მოსაკრებელი შემოღებულია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 20 მარტის #39 დადგენილებით, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური ახდენს გადამხდელებთან ხელშეკრულებების გაფორმებასა და მასვე ეკისრება აღნიშნული მოსაკრებლის ამოღება. 2016 წელს დასუფთავების მოსაკრებლის გადასახადს დაექვემდებარა 146 ობიექტი თანხით 56420 ლარი, საიდანაც 2016 წლის 31 დეკემბრისათვის გადასახდელი დარჩა 34118 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული დადგენილებით ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული მექანიზმი ცალკეულ გადამხდელების მიერ მოსაკრებლის გადახდისა და დავალიანების იძულებითი გადახდის თაობაზე, რომელიც 2017 წლისათვის ეკონომიკური სამსახურის მიერ შემუშავებული უნდა იქნას და დასამტკიცებლად წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

შიდა აუდიტის სამსახურს მის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად დაწესებული აქვს კონტროლი, მაგრამ გაცემული რეკომენდაციები ქონების მართვისა და განკარგვის საქმეში ჯერ კიდევ სრულყოფილად შესრულებული არ არის. ასე მაგალითად: 2014-2015 და 2016 წლებში ბიუჯეტის სახსრებით შესყიდული ქონება დოლოგნის, დაბა ქედის #2, ვაიოს, ცენტრი ცხმორისისა და დანდალოს ბაგა-ბაღების შენობა ნაგებობები და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემული არ არის ა.(ა.)ი.პ. „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ზე.

შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს ბალანსზე დასარეგისტრირებელია და გადასაცემია 2014-2015 წლებში ბალანსიდან-ბალანსზე წყალსადენების, სარეზერვო აუზების, სანიაღვრე არხების მშენებლობებზე გაწეული ხარჯები.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ზე დასარეგისტრირებელია და გადასაცემია შენობის ის ნაწილი რომელზედაც მუზეუმი განთავსებული.

ქონების მართვის განყოფილების მიერ მოსაწესრიგებელია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, რომელიც იჯარით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის წესითაა გაცემული, ასევე სახელმწიფოსაგან უსასყიდლოთაა მიღებული და სახელმწიფოზე უსასყიდლოთაა გადაცემული. ასევე დასადგენია შენობა-ნაგებობის ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთები, რომლის დარეგისტრირებაც საჯარო რეესტრში პერიოდულად უნდა განხორციელდეს.

ქონების მართვის განყოფილების მიერ მომზადებული იქნა მასალები ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (უძრავი/მოძრავი ქონების) ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელიც შემდეგ დამტკიცებული იქნა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის #33 განკარგულებით. საპრივატიზაციო 49(ობიექტიდან) 2016 წელს ელექტრონული აუქციონის წესით გაყიდული იქნა 7 (შვიდი) დასახელების ქონება, საიდანაც ბიუჯეტის სასარგებლოდ 18202 ლარი შემოვიდა, ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საპრივატიზაციო ნუსხაში არის ისეთი ქონება რომელიც მოწვეული აუდიტის შეფასების შემდეგ შეიძლება გატანილი იქნას აუქციონზე, ასე მაგალითად: დტ-75 ტიპის (მარკის) ოთხი ერთეული ტრაქტორი, ავტომანქნები უაზის ტიპის სამი ერთეული, ზილის ტიპის 2 ერთეული, გაზ-52 ტიპის ერთი ერთეული და გაზ-2121 ტიპის ერთი ერთეული ავტომანქანები.

ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მცირეფასიანი ინვენტარისა და სხვა მატერიალური ფასეულობების საინვენტარიზაციო კომისიის მიერ სრულყოფილი ფორმით გამგეობის ბუღალტერიაში მ/წლის 3 იანვრისათვის არ იყო წარმოდგენილი ინვენტარიზაციის მასალები, მაშინ, როცა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის #605 ბრძანებით „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ჩატარების წესის“ შესაბამისად ინვენტარიზაცია უნდა დასრულდეს საანგარიშგებო წლის ბოლოს. ამასთან არის შემთხვევები, რომ საბუღალტრო დავთრებში არ ინახება ძირითადი საშუალებების (ავტომანქნების) პასპორტები და მცირე ფასიანი საგნების წარმომავლობის საბუთები.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილებამ დროულად მოაწესრიგოს ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებები.

2016 წელს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ შემუშავებული და საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებული იქნა სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა, რომლის საერთო ღირებულებამ 55 ათასი ლარი შეადგინა, ასევე კულტურულ ღონისძიებებზე გათვალისწინებული იქნა 45840 ლარი.

დაგეგმილი სპორტული ღონისძიებების ჩატარებაში ხშირად ხდებოდა კალენდარში მითითებული ჩასატარებელი ღონისძიების ადგილმდებარეობისა და თარიღის შეცვლა, რაც გამოწვეული იყო როგორც სამსახურის ინფორმირებულობის ნაკლებობის, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის ფედერაციიდან დაგვიანებით გამოგზავნილი ჩასატარებელი ღონისძიებების კალენდარის შეცვლით, ასე მაგალითად: გასულ 2016 წელს როსტომ მელაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში უნდა ჩატარებულიყო ქ. ბათუმში, ფაქტიურად ჩატარდა ქ. ქობულეთში.

ქართული ჭიდაობა აჭარის აბსოლიტური პირველობა „ფალავნობაში“ კალენდრით მისი ჩატარება დაგეგმილი იყო ქედაში, ფაქტიურად ღონისძიება ჩატარდა ქ. ბათუმში.

ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესაბამისი სამსახურის მიერ შემუშავებული და შემდეგ დამტკიცებული იქნას მიზნობრივი პროგრამების სრულყოფილი ფორმა, სადაც დეტალურად გაწერილი იქნება პროგრამის განხორციელების აუცილებლობა, პროგრამის მიზნები, სამოქმედო გეგმა, გასაწვი ხარჯების დეტალური შესწავლა და გაწერა, რომელიც უზრუნველყოფს ღონისძიების სრულ და თავის დროულ შესრულებას, რომ ტენდერების

ჩატარების შემდეგ არ იყოს საჭირო პროგრამებში ცვლილებების შეტანა, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს.

2016 წელს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ შემუშავებული და საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა ცხრა მიზნობრივი პროგრამა 233631 ლარის ღირებულებით. პროგრამის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვების უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც 2016 წლის ბიუჯეტით განისაზღვრა 28500 ლარით, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 18892 ლარი, ანუ 66,3 პროცენტი. პროგრამით სარგებლობდა 26 მოქალაქე. ერთი ბენეფიციარის დღიურმა მომსახურებამ შეადგინა 2 ლარი. სამსახურის მიერ სისტემატურად ტარდებოდა მონიტორინგი (სულ 8 ჯერ), რის შედეგადაც ნაკლოვანებები არ გამოვლენილა.

ამ პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისათვის 2017 წელს სამსახურის მიერ უფრო მეტი კონტროლი იქნება გასაწევი იმდენად, რამდენადაც შ.პ.ს. „არსი2“-მა, რომელმაც ტენდერი მოიგო 41,3 პროცენტის ფასდაკლებით 16708 ლარად, ბენეფიციარებს მათზე განკუთვნილი ულუფა, რომ არ დააკლდეთ.

ასევე, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2016 წლის განმავლობაში შესწავლილ იქნა ფიზიკური და იურიდიული პირების წერილები, რომლებიც მოითხოვდნენ სხვადასხვა საკითხების მოწესრიგებას, ასე მაგალითად: ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან დადებულ ხელშეკრულებებში ცვლილებების განხორციელებას, ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების შეტანას, ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას, ტექნიკური ხარვეზების შესწორებასა და ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულებისათვის თანხების ანაზღაურებას. ყოველივე ამ საკითხებზე შიდა აუდიტის სამსახურის მიერ დროულად ჩატარდა მონიტორინგი და გაცემული იქნა რეკომენდაციები.

შიდა აუდიტის მიერ შემოწმებული იქნა ზოგიერთი ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობა და გამოვლინდა ნაკლოვანებები, კერძოდ: 2016 წლის 24 თებერვალს დაიდო №22, №23 და №24 ხელშეკრულებები შ.პ.ს. „აგროსერვისთან“, რომელიც ეხებოდა ადმინისტრაციულ ერთეულებში მეწყერსაწინაღმდეგო გასატარებელი ღონისძიებების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას, მიღებას და თანხების ანაზღაურებას. კერძოდ, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის კონსტანტინე გუმბერიძისა და ამ სამსახურის მთავარი სპეციალისტის ხვიჩა ბერიძის მიერ მექანიკურად დაშვებული იქნა შეცდომები 2016 წლის 24 თებერვალს №22 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტი-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ფორმა №2-ის მიღებისა და გამგებლის სახელზე ელექტრონული ვერსიით მოხსენებითი ბარათის ატვირთვის დროს. კერძოდ, სამსახურის უფროსს მოხსენებით ბარათში მითითებული ქონდა, რომ შ.პ.ს. „აგროსერვისი“ -ს ჩაერიცხოს №22 ხელშეკრულებით გათვალისწინებული 4199 ლარი და მოხსენებით ბარათს მიამაგრეს 2016 წლის 24 თებერვლის №24 ხელშეკრულებით გათვალისწინებული 4899 ლარის ანაზღაურება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გაცემულ იქნა რეკომენდაცია, რომ სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსს კონსტანტინე გუმბერიძესა და მთავარ სპეციალისტს ხვიჩა ბერიძეს სამსახურის გულგრილი დამოკიდებულებისათვის მისცემოდათ შენიშვნა.

ანალოგიური ხარვეზის დარღვევას ქონდა ადგილი განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის ეკატერინე ქაჯაია-კომახიძის მხრიდან, რომელიც ეხება შ.პ.ს. „ზენდიდი 2015“-ის და ქედის

მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 11 თებერვლის №14 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას.

ზემოთ ხსენებული ხელშეკრულების თანახმად შ.პ.ს. „ზენდიდი 2015“-ს აღებული ქონდა ვალდებულება „საკვალიფიკაციო ტურნირი თანრიგის მინიჭება“-ზე გაეწია მომსახურეობა 6 სპორტსმენზე 8 დღის განმავლობაში, თანხით 1452 ლარის ოდენობით. საკვალიფიკაციო ტური გაიმართა 2016 წლის 6-7 თებერვალს, შემდეგ 13-14 თებერვალს და ბოლო ტური ჩატარდა 5-6-12-13 მარტს. ამასთან ხელშეკრულება შ.პ.ს. „ზენდიდი 2015“-თან გაფორმდა 2016 წლის 11 თებერვალს მაშინ, როცა პირველი ტურნირი 6 და 7 თებერვალს ჩატარებული იყო. „საკვალიფიკაციო ტურნირი თანრიგის მინიჭება“ დამთავრდა მ/წლის 13 მარტს და შ.პ.ს. „ზენდიდი 2015“-ის დირექტორმა ზვიად დიასამიძემ ტურნირის დამთავრებიდან სამი დღის დაგვიანებით 16 მარტს გამოგზავნა წერილი მუნიციპალიტეტის გამგეობაში და მოითხოვა №14 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა მაშინ, როცა ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მას წერილი ტურნირის დამთავრებამდე უნდა წარმოედგინა, თუმცა მან ეს არ შეასრულა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის უფროსმა დროულად არ გააკეთა რეაგირება და მოხსენებითი ბარათი გამგებელს დაგვიანებით წარუდგინა შ.პ.ს. „ზენდიდი 2015“-ის დირექტორის წერილის წარმოდგენის შემდეგ მაშინ, როცა ხელშეკრულება №11-ის 4.2.4. მუხლით განსაზღვრული ქონდა „მიმწოდებლისგან“ მოეთხოვა გაწეული მომსახურეობის შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გაიცა რეკომენდაცია გაფრთხილებულიყო სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე, რათა შემდგომში დროულად და ხარისხიანად შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობა.

ჩვენს მიერ განხორციელებული შემოწმებები გვამლევს დასკვნის საფუძველს, რომ ქედის მუნიციპალიტეტისა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ფინანსური მდგომარეობა და ბიუჯეტიდან მასზე გამოყოფილი სახსრების ხარჯვა 2016 წელს განხორციელდა მიზნობრივად.